ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  შაბათი, 21 ივნისი 1997 №71 (436)  ფასი 50 თეთრი



ქართული რაგბის საძმო ბოლო ხანს ახლებურ ცხოვრებას შეუდგა — წესრიგს ყველგან და ყველაფერში ამყარებს. სამშაბათს რკინიგზის „ქორების“ მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა „სარბიელის სინის“ გათამაშების წესების დახვეწაც მოითხოვა, რასაც ამერის სხვა ბობოლა კლუბებმაც აუბეს მხარი. ჩვენ ამაზე მხოლოდ ის გვეთქმის, რომ კანონთა სრულყოფა, ერთი, რომ უსასრულოდ შეიძლება და მეორეც, პროგრესისათვის აუცილებელია, მაგრამ ის კი ცუდად გვენიშნა, რომ იმავე ბენდიაშვილმა სინის გუშინდელი გათამაშების მსაჯი ერთი პირობა მოედნიდან გააქცია, თამაში კი ისე ჩამთავრდა, რომ ჯილდოს მფლობელმა „ყოჩებმა“ სინი საერთოდ არ გამოაჩინეს. როგორც კლუბის პრეზიდენტმა თემურ გაფრინდაშვილმა გვითხრა, გუნდის მავან წევრს სინი სტადიონის შემოგარენში დაყენებულ მანქანაში შეენახა.

## მსაჯს თავი გაანებეთ!



### ყოჩები 15:12 ქორები

ახლა თამაშზეცა ვთქვათ. იგი მეტისმეტად დაძაბული და ულიმღამო იყო. ლელო რომ ვერ გავიდა, კანონზომიერია! ეს ფაქტი ქართული რაგბის საზოგადო დონეზე მწარედ დააფიქრებდა ოვალური ბურთაობის ქომაგ ხალხს.

ხალხი სტადიონზე ძალზედ მრავლად იყო. თამაშიც გულთან ახლოს მიქონდა. ბოლო წუთებზე საზოგადოება მთლად გადაირია, დამრტყმელებმა — ჯერ „ყოჩების“ გამობრძმედილმა, მერე კი „ქორების“ ნორჩმა გადამწყვეტი გოლების გატანა შორიდან რომ ცადეს. ბესო ტეფნაძემ 34 მეტრიდან დიდებულად დაკრა, ბობა კვინიხიძეს კი თუმც ფეხში ძალა ვერ ეყო, უთუოდ ფრიადი მოთამაშე უნდა დადგეს.

„ქორები“ თავიდან 6:0 იგებდნენ, მეორე ნახევრის შუაწელში კი უკვე „ყოჩები“ გაიჭრნენ წინ 12:6. ტეფნაძემ მანამდე სამი ისეთი საჯარიმო გააფუჭა, ჩვეულებრივ რომ გააქვს ხოლმე, მაგრამ როგორცა ვთქვით, კრიტიკულ მომენტში სასწაულად დაარტყა და გუნდს სინი და ქვეყნის პირველობის ლიდერობაც შეურანჩუნა.

პირველ წუთზე იერიშში ეშხიანად ჩაერთო „ყოჩი“ ალეკო ენუქიძე. შემდეგი ღირსშესანიშნაობა 54-ე წუთზეღა ალინუსხა, როცა „ყოჩმა“ კახა მხეიძემ მეტოქის ლელოს ვერ უწია. მანამდეც და მერეც „ქორთაგან“ აშკარად გამოირჩეოდნენ კვინიხიძე, სანდრო ჩხენკელი, დათო ვართანიანი, რეზო ჯაფარაშვილი და განსაკუთრებით აჩიკო კობახიძე, ვინაც 64-ე წუთზე მეტოქეები ტანკივით გაიტანა. „ყოჩთაგან“ ვინმეს გამოყოფა ჭირს, რადგან გუნდი ერთობ პრაგმატულად, დინჯად და თავდაჯერებული თამაშობდა.

73-ე წუთზე, როცა „ქორები“ 9:12 აგებდნენ, „ყოჩები“ კი რკინიგზელთა ნახევარზე გადავიდნენ, ბენდიაშვილმა ბოლო წლების მანძილზე უკვე მერამდენედ მსაჯ პაატა ნარიმანაშვილს მიკერძოება დააბრალა და არბიტრი მოედნის კიდიდან უღიერი სიტყვებით შეამკო. ამან მუდამ წესიერად მომსაჯე პაატას მოთმინების ფიალა აუვსო და მოედანი მიატოვა, მაგრამ თამაშის კომისრისა და ღვაწლმოსილი მსაჯის — გოჩა აბაშიძის გამოქომაგების შემდეგ თამაში მაინც ჩაამთავრა. „ქორებმა“ გადამწყვეტი ლელოს გატანის შანსი ხელიდან გაუშვეს, მაგრამ ანგარიში კი გაათანაბრეს. მერე კი იყო დრამატული ფინალი, სადაც გამოცდილმა აჯობა ახალბედას.

**ზაზა ფხაკაძე**

შემადგენლობები და ცხრილები
იხილეთ ბოლო გვერდზე

## მერანი — ტორპედო



გუშინ დილის ბაზაზე: დემურ კაკუბავა, დავით გოდერძიშვილი, კოტე მელქაძე, გელა ქორიძე, შალვა ივანიშვილი და თემურ მახარაძე

**ხვალ ღირსსახსოვარი დღეა: თბილისის მეორე გუნდი პირველად ჩაებმება უეფას ოფიციალურ საკლუბო ტურნირში. საღამოს 7 საათზე ეროვნულ სტადიონზე „მერანის“ წინააღმდეგ მოსკოვის „ტორპედო“ გამოვა.**

მომავალი მატჩის მონაწილეთა შესახებ იხილეთ მესამე გვერდზე

## ...რაღა ქნან ცოდვილთ?

ალმასკომი წუთი-წუთზე, დათქმულ დროს შეიკრიბა. ფედერაციის პრეზიდენტის სამუშაო ოთახში ჟურნალისტთაგან ოდენ ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელი ნოდარ კობერიძე შეუშვეს. მანამდე მან დაგვაიმედა, დანარჩენებმა სულ ცოტა ხანი, დაახლოებით ოთხიოდ საათი მომიცადეთ, მერე თქვენთვის ცალკე პრესკონფერენციას მოვაწყობ და ყველა კითხვაზე ამომწურავად გიპასუხებთო. დრომ რომ მოატანა, კობერიძე ისე დაგვეკარგა, მისი მნახველი კაციშვილი ვერ ვნახეთ. ალმასკომის სხდომაზე მხოლოდ ტელევიზიის ოპერატორები დაისწრეს... ორიოდ წუთით — „სამუშაო ატმოსფერო“ გადაალებინეს. სხვა დანარჩენნი, რაღა დაგვრჩენოდა, გარეთ ვიცდიდით.

უკვე ვწერდით, რომ ალმასკომის წევრთა ბჭობის უმთავრეს თემად დღის წესრიგში ბოლოსღა შეტანილი ნაკრების საკითხი იქნებაო. ეროვნული გუნდის მწვრთნელები დავით ყიფიანი და რეზო ძოძუაშვილი ფედერაციაში წინა დღესაც ყოფილან დაბარებულნი და ახალკაცთან გვარიანად უსაუბრ-უთათბირიათ. ძოძუაშვილი ალმასკომზეც გამოცხადდა, ყიფიანი კი იგვიანებდა, ამიტომ ნაკრების საკითხი ბოლოსთვის შემოინახეს.

იხილეთ მეორე გვერდი

## „დინამო“ თუ „აუგსბურგი“?

ჩემპიონთა ლიგიდან „დინამოს“ შესაძლო დათხოვნის ამბავმა ლამის ყველაფერი გადაავიწყა ქართველ გულშემატკივრებს. ახლა, როცა სექტემბრამდე ეროვნული ნაკრები აღარ შეიკრიბება, მთელი გულისყური ევროთასებისკენაა მიპყრობილი, თანაც პირველად გვქონდა შანსი, ჩემპიონთა ლიგის კარი შეგვეღო.

რა ელის „დინამოს“?! — უკვე მერამდენედ დგას ეს ალარცთუ რიტორიკული კითხვა. თუ იგი მართლა მოკვეთეს, მაშინ დალუპულა ქართული ფეხბურთი და ისაა. „დინამო“ ხომ დიდ ფეხბურთთან დაკავშირების ერთადერთი იმედია.

წინა „სარბიელში“ გამოქვეყნებული წერილის შემდგომ ზოგ რამეს მოეფინა ნათელი. „დინამოს“ თურმე გერმანული მხარე უჩივის, კერძოდ, რეგიონალლიგაში მოასპარეზე „აუგსბურგის“ ხელმძღვანელობა, რადგან ვაჟა ჩხაიძეს „მრეტების“ აქციები ამ კლუბის მეპატრონეთათვის მიუყიდია. გერმანელებს სარჩელი შეუტანიათ ფიფაში, ფიფას კი თავის მხრივ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის მოუთხოვია საქმის გარჩევა და მტყუან-მართლის გარკვევა. მის იურიდიულ სამსახურს კი „დინამოსთვის“ დაუკისრებია ვალის გასტუმრება და ფიფაშიც ასე გაუგზავნია პასუხი. ამ გადაწყვეტილებით გულმოცემული გერმანელებიც „დინამოსგან“ ითხოვენ ფულს.

მტყუან-მართლის გარჩევა „სარბიელის“ საქმე არ არის, ჩვენ მხოლოდ მოპოვებულ ინფორმაციას გაწვდით. ისიც შევიტყვეთ, რომ 1995 წლის ივლისისთვის, როცა გიორგი ქინქლაძემ „მანჩესტერ სიტისთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი, მას „დინამოსთან“ კონტრაქტის ვადა, ფაქტობრივად, გასრულებული ჰქონდა და ინგლისელებთან დაკავშირება მერაბ ჟორდანიას ხელშეწყობით მოხდა. გავიგეთ ისიც, რომ „დინამოს“ დირექტორატი ყველაფერში გარკვევის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრას აპირებს...

## აშვეთიას ალოდინებენ

ერთი კვირის წინ ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, აშვეთიასა და „ალანიას“ შორის ურთიერთობა 18 ივნისს გაირკვევაო. ოთხშაბათ საღამოს ვალერი გაზაევს რომ შევეხმიანეთ, გვითხრა, აშვეთიასთან მოლაპარაკება „ფაკელთან“ მატჩის გამო ვერ მოვახერხე და უახლოეს დღეებში მოვილაპარაკებთო. წუხელ გაზაევმა თითქმის იგივე გაგვიმეორა, იმ განსხვავებით, რომ თან გუშინდელ „სპორტ-ექსპრესში“ დაბეჭდილი ინფორმაციის გაბათილებაც მოაყოლა. „ალანიის“ თავკაცის თქმით, გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება: მართალია, „ალანია“ დაინტერესებულია აშვეთიას შეძენით და იმედი აქვს, რომ სხვა ქართველებივით ისიც საუკეთესო თვისებებს გამოავლენს, მაგრამ ჯერ არც კონტრაქტი გაგვიფორმებია და არც 300 ათასი დოლარი გადაგვიხდია. არ მესმის, ასეთი თანხა საიდან მოიტანეს, ამხელა ფული რუსეთში არავინ ღირსო.

ვალერი გაზაევი მოლაპარაკების დასრულებას და საქმის გარკვევას მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ ვარაუდობს, მანამდე კი მიხოს ავარჯიშებს და კიდევ აკვირდება.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

23 ივნისს ორშაბათს, დილას, ათის ნახევარზე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (ალმაშენებლის, 65) პრესკონფერენციას გამართავენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და კომპანია „დაიმლერ-ბენცის“ ხელმძღვანელები.

**წუხელ**

**მსოფლიოს ჩემპიონატი.**

აზიის ზონის მეცხრე შესარჩევ ჯგუფში ერაყის ეროვნულმა გუნდმა ბაღდადში პაკისტანის ნაკრებს უმასპინძლა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 6:1.

დღევანდელი „სარბიელი“ თორმეტგვერდიანია და ფასიც შესაბამისი აქვს

# რაღა ქნან ცოდვილთ...

თათბირის დასრულების მომლოდინეებმა ათასგვარი ვერსია მოვისმინეთ. ზოგი, ცოტა აკლდა, ამტკიცებდა, ყიფიანმა გუშინ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, ალმასკომი დღეს ახალ მწვრთნელს დაამტკიცებს და ყიფიანი რატოლა მოვაო. სხვები კვერს უკრავდნენ, სათქმელი და გასარკვევი ნამდვილად გუშინ ითქვაო. არადა, რა ითქვა ხუთშაბათ საღამოს, ეს არავინ იცოდა.

ალმასკომიდან პირველები მსაჯთა და საშეჯიბრო განყოფილებების მუშაკნი გამოვიდნენ. ნუ გეშინიათ, მალე მორჩება, ბოლოს, ნაკრების საკითხს იხილავენო, დაგვიბარეს და კვლავაც გაგრძელდა უკვე ტანჯვად ქცეული ლოდინი. ყიფიანიც არა და არ მოდიოდა. ალმასკომელებს რეზო ძოძუაშვილი და ვლადიმერ გუცაევი წარუდგნენ. პირველი, მეორისგან განსხვავებით, ცუდ დღეში იყო — ყველამ უწყოდა, გუცაევს არავინ გაკიცხავდა. ახალგაზრდული ნაკრების პროგრესი აშკარაა და აკი მისი მწვრთნელის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. ისე, უპრიანი იქნებოდა, ისიც ეთქვათ, რომ სწორედ ახალგაზრდულს სჭირდებოდა პოლონეთში დახმარება. გუცაევის გუნდს გამარჯვების შემთხვევაში პირველი ადგილის დაკავების შანსი უჩნდებოდა, ამიტომ, იქნებ სჯობნებოდა, ყველაშანსდაკარგული ეროვნული გუნდის თავკაცებს კიკნაძე, კობიაშვილი და კალაძე გუცაევისთვის დაეთმოთ. გახოკიძე ტრავმირებულიაო და ვლადიკავკაზს გავუშვით. მაშ თუ კაცი შეუძლოდ იყო, გაზაევმა „ეემჩუქინსთან" გასვლით მატჩში როგორღა დააყენა? ისაც ვთქვათ, რომ თუ ახალგაზრდული ქვეჯგუფში გაიმარჯვებდა, უეფა ამისთვის სოლიდურ თანხას ჩაგვირიცხავდა. ნეტავ ამაზე რატომ არ დაფიქრდნენ ჩვენი ფეხბურთის თავკაცები. დავა-კამათი სხვაზეც შეიძლება, მაგრამ ამჯერად ის ვიკმაროთ, რომ გუცაევს საქმიანობა შეუქეს და მადლობა მოახსენეს.

ახალგაზრდულისგან განსხვავებით ალმასკომმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ეროვნული გუნდის გამოსვლა. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობსო და, თუ ვინმეს ჩემი პირადი აზრი დაგაინტერესებთ, მოგახსენებთ: ნაკრების გამოსვლის თაობაზე სჯა-ბაასის იმით დასრულება, რომ ყოველივე ოდენ არადამაკმაყოფილებლად შეფასებულიყო, ამდენი პატივსაცემი პიროვნების მოცდენად არც ღირდა — ეროვნული გუნდის დაღმასვლა უფრო საფუძვლიან განსჯასა და უფრო ზუსტ შეფასებას იმსახურებს. დღეს ეს საყოველთაო აზრია და ვისაც არ სჯერა, კარგად გაიკითხოს.

როგორც იქნა, სხდომა დამთავრდა და ჟურნალისტებმა რეზო ძოძუაშვილი მოვიხელთეთ:

— ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა მუშაობას გააგრძელებს. ჩვენს გადაყენებაზე საუბარი არც ყოფილა. ჩვენ ფეხბურთელებს უსაფუძვლოდ არაფერს დავაბრალებთ, პასუხისმგებლობასაც თანაბრად გავინაწილებთ. იმას ვერაფრით ვიტყვით, რომ ბიჭებმა შეგნებულად არ ითამაშეს, მაგრამ კატოვიცემ დაგვანახა, რომ ნაკრების რამდენიმე წევრი ეროვნული გუნდის წინაშე მდგარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და მათ აღარ მოვიწვევთ. ცვლილებები სხვაც იქნება, კერძოდ, შეიქმნება ეგრეთ წოდებული მწვრთნელთა საბჭო. საქართველოში ბევრი გამოცდილი სპეციალისტია და მათი აზრი ზოგ საკითხში აუცილებლად შეგვეშველება.

**— რატომ არ მოვიდა ყიფიანი?**

— ვერ გეტყვით. გუშინ ისე შევთანხმდით, რომ ალმასკომის სხდომაზე ორივე ვიქნებოდით, მიზეზიც არ ჩანდა ყიფიანის არმოსვლისა. ალბათ შეუძლოდ შეიქნა, თორემ აუცილებლად მოვიდოდა.

**— თქვენი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ სექტემბერში იტალიას სხვა ნაკრები დაუხვდება...**

— მე გითხარით, რომ ცვლილებები იქნება და ნაკრებში რამდენიმე ახალ ფეხბურთელს მოვიწვევთ.

მეტი კონკრეტული ძოძუაშვილს არაფერი უთქვამს, თავაზიანად დაგვემშვიდობა და გაგვეცალა.

რახან კობერიძემ პირი გვიტეხა და შეპირებული პრესკონფერენციაც თან გაიყოლა, რაღა დაგვრჩენოდა, ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე მოვიქციეთ ალყაში, იგიც თავაზიანად დაგვეთანხმდა საუბარზე, რომლის უმთავრესი თემა, ცხადია, ნაკრების თაობაზე გამოტანილი ვერდიქტი გახლდათ.

— ეროვნული გუნდის რამდენიმე წევრი სასჯელს ვერ ასცდება. ბევრმა ვერ გაითავისა, რას ნიშნავს ნაკრების მაისურით თამაში. რეგრესი აშკარაა. არ ვიცი, რა უნდა ვუწოდოთ ზოგიერთების საქციელს — სმა, აყალმაყალი, შეკრებაზე დაგვიანება ან სულაც არ დარჩენა... ამათ დისკვალიფიკაცია არ ასცდებათ.

**— ხომ ვერ გვეტყვით, კონკრეტულად ვინ იგულისხმებიან?**

— დღეს არა, მაგრამ მალე შეიტყობთ.

**— სასჯელს „ცოდვილთ" ვინ გამოუტანს?**

— ნაკრების მწვრთნელები.

**— კი მაგრამ, დარღვევა თუ ამდენი იყო, აქამდე რატომ დუმდა ფედერაცია ან მწვრთნელები სად იყვნენ. მათაც ხომ უნდა მოეკითხოთ?**

— ბევრი დარღვევის თაობაზე ჩვენ გვიან შევიტყვეთ, ან ფედერაციამ რა ქნას?! შეკრება მოვუწყვეთ, ყველაფერი შევუსრულეთ და რომ გვეგონა, ემზადებიანო, ზოგიერთები თურმე კაზინოებში და რესტორნებში ერთობოდნენ. მწვრთნელებს კი გუშინ მოეკითხათ. ესენიც დაიტუქსნენ.

**— როგორ, რანაირად?**

— ყური ავუწიეთ, გავწკეპლეთ.

... ზოგჯერ იუმორიც მოსწრებაა, დაძაბულობას განმუხტავს ხოლმე, მაგრამ თუ ეს ჩვენი „ზოგიერთები" ქვეყანას აქცევდნენ, ყველა და ყველაფერი ფეხზე ეკიდათ, რაღა მაშინ ალაპარაკდა ფედერაცია, როცა ურემი გადაბრუნდა. მწვრთნელები სად იყვნენ? მათ ხომ თვალწინ უნდა ჰყოლოდათ ფეხბურთელები. რატომ დუმდნენ? ყველას კარგად მოეხსენება, შეუცვლელი არავინაა. რამდენიმე წელია, ნაკრებში ერთსა და იმავე მოთამაშეებს ვეძახით. თუ ზოგიერთმა ამათგანმა დღემდე ვერ შეიგნო, რას ნიშნავს ეროვნულ გუნდში თამაში, მაშინ რაღად ვიწვევთ? რაში გვარგია ფეხბურთელი, რომელიც ქვეყნის ღირსებას ფეხებზე იკიდებს? სანამ საქვეყნოდ თავი არ მოგვეჭრა, მანამდე არაფერი თქმულა. ხომ არ შიშობდნენ ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელები, ფეხბურთელები არ აგვიჯანყდნენ, არ ალაპარაკდნენ და ბევრი დაფარულ-მიჩქმალული არ გაცხადდესო. სხვა გამართლება ამ დუმილისა პირადად მე ვერ მიპოვია. სათქმელი დროულად და ბოლომდე უნდა ითქვას, თორემ ამნაირად მიკიბულ-მოკიბული თავის მართლებით და ლაბირინთებში გაძრომ-გამოძრომით ჩვენი ფეხბურთი ლამის დავასამაროთ. ფედერაცias ჰკითხავ — ცამდე მართლები არიან, მწვრთნელები — რას ამბობთ, ყველაფერი რიგზეა, ფეხბურთელებისთვის ხან წვიმს, ხან მზე აცხუნებს, ზოგი საქეიფოდ გახლავთ და ზოგიც უქეიფოდ. შედეგი კი ესაა — სირცხვილი და თავისმოჭრა.

ნოდარ ანდრიაძემ პრეს-ატაშეობა ბოლომდე იკისრა და ალმასკომზე განხილული სხვა საკითხებიც დაგვიკონკრეტა:

— ალმასკომმა ახალი ჩემპიონატისთვის სიახლეებით გაჯერებული დებულება დაამტკიცა. პირველ ჯგუფში გუნდების რაოდენობა უცვლელი დარჩა. ჩემპიონატის დასასრულს ორი ნაბოლარა გუნდი ავტომატურად გავარდება. მე-13 და მე-14 ადგილებზე გასულნი ერთმანეთში გადათამაშებას მოაწყობენ. გამარჯვებული ჯგუფში დარჩება, დამარცხებულს კი შანსი კიდევ მიეცემა — მეორე ჯგუფში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულთა შორის გამარჯვებულთან გაარკვევს უძლიერესთა შორის დამრჩენის ვინაობას. სიახლეები იქნება თამაშის ოქმშიც. კერძოდ, იქ 16-ის ნაცვლად 18 მოთამაშე ჩაიწერება. ხელუხლებელი დარჩა მინუს ხუთი ქულის პრინციპი. განვიხილეთ ჩემპიონატის პირველი წრის კალენდარიც, რომელიც უეფას და ფიფას პრინციპებს დავუქვემდებარეთ. ახალი კალენდრის მიხედვით, ნაკრებებს მოსამზადებლად მეტი დრო ექნებათ. დებულებაში შეტანილი იქნება ასეთი მუხლიც: თუ რაიონებისა და ქალაქების სამართალდამცავი ორგანოები მატჩების წესით და რიგით ჩატარების გარანტიას არ წარმოადგენენ, იქ თამაშები არ გაიმართება. ფედერაცია პირველ ჯგუფში მოთამაშე გუნდებს აუცილებლად მოსთხოვს საფეხბურთო ბაზებს, სტადიონებზე მინიმუმ 6 ათას ინდივიდუალურ სკამს და სხვა სიკეთეებსაც. დროებით



ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე

გამოირიცხა საუბარი 250-ათასიან ფინანსურ გარანტიაზე. ყველაფერი ეს ახალ დებულებაშია ჩადებული. გაგრძელდება მსჯელობა თასის გათამაშების თაობაზე. ადრინდელი, ტერიტორიული პრინციპი, ალბათ, ჩვეულებრივი წილისყრით შეიცვლება, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ დასახვეწია. ჩემპიონატი 8 აგვისტოს დაიწყება, ხოლო სუპერთასი 4 აგვისტოსთვის ქუთაისში არის დაგეგმილი. მოკლედ, სამშაბათისთვის ყველაფერი მზად გვექნება და ჟურნალისტები დებულება-კალენდარს უპრობლემოდ მიიღებთ...

ბოლოს ვიცე-პრეზიდენტს „დინამოსა" და „მრეტების" ხელმძღვანელთა შორის არსებული პრობლემებისა და უსიამოვნო ამბების თაობაზეც ვკითხეთ.

— ფიფას სიმართლე ვაცნობეთ. მათ საქმეში გარკვევა სურდათ და ჩვენც ეს გავაკეთეთ. ფედერაციამ ეს საქმე ადრე გაარჩია და იურიდიულად „მრეტები" სცნო მართლად. „დინამო" ალბათ ყველაფერს გაასწორებს, თუ არა, სასჯელი არ ასცდება. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ქართული ფეხბურთი ერთი გუნდის ინტერესებს ვანაცვალოთ.

**— რა სასჯელს გულისხმობთ?**

— სასჯელი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ჯერ ვერაფერს ვიტყვით. ვიმედოვნებთ, საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, „ყველა სიკეთესთან" ერთად, არ არის გამორიცხული, „დინამო" პირველი ჯგუფიდან ჩამოვაქვეითოთ.

ყველაფერი ახე მორჩა და ფედერაციიდან რედაქციებს მივაშურეთ. ბევრი რამ კი შევიტყვეთ, მაგრამ იმის იმედი, ქართულ ფეხბურთს ეშველებაო, რატომღაც არ ამყოლია. ჯერჯერობით, უპერსპექტივობის შეგრძნება უფრო მოგვძალებია. ვითომ გამძაფრდება ბრძოლები ჩვენს ჩემპიონატში? არ იქნება ჩაწყობილი, უაზრო თამაშები? კითხვა სხვაც ბევრია. ფეხბურთის ფედერაციას თუ ვერწმუნებით, საქმის წალმა შემობრუნების გარანტი ახალი დებულება გახლავთ. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო, ნათქვამია და ახალი დებულების სიკეთეზე მაშინ მოგახსენებთ, როცა მის ეგზემპლარებს ფედერაცია გვაღირსებს.

**მამუკა ძგანტალიანი**

**გთავაზობთ დასვენებას**

ციხისძირის დასასვენებელ სახლში (ქობულეთთან ახლოს),

*კარგ პირობებში:*

სამჯერადი კვება, ცხელი შხაპი კვირაში ორჯერ, სპორტული კომპლექსი ერთი დღის დასვენების საფასური—10 ლარი

ცნობისათვის დარეკეთ 98-46-54

# იმერული ესკიზები

იმერული კლუბების საფეხბურთო მეურნეობა რომ ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული, ეს ამ ზაფხულსაც ნათლად გამოჩნდა. ეგაა, წელს იმერლებს ექს-ვიცე-ჩემპიონი „სამტრედია" ეზარალათ და, რომ არა პირველ ჯგუფში გადასული „მაღაროელი", ოთხეულს ტრიომდე შეკვეცა ელოდა. სხვა საქმეა, რამდენად შეძლებენ ჭიათურელები სამტრედიელთა შეცვლას, ანაც სხვა იმერული გუნდები ვიცე-ჩემპიონის მიღწევის გამეორებას მაინც. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც „სამტრედიამ" ორი წლის წინ მოახერხა, აქამდე მხოლოდ „მარგვეთმა" შეძლო და წელს, უარეს შემთხვევაში, მეორე ადგილს „ტორპედოც" უმიზნებს.

„ტორპედოში" შარშანდელთან შედარებით, ვერ ვიტყვით, რომ დიდი, მაგრამ გვარიანი ცვლილებები კია. მწვრთნელთა კორპუსს შეუერთდა მერაბ მეგრელაძე. ქუთაისურ კლუბში „სიგმაბანკის" მისვლის შემდეგ იმდენმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი, რომ „ტორპედო" უზომო, საჰაერო ბურთივით გაიბერა. ამის მიზეზი ახალწვეულთა სიმრავლის გარდა ისიც იყო, რომ ძველი მოთამაშეებიდან კლუბი მხოლოდ ერთეულებმა დატოვეს. ამათ წლევანდელი ახალი მოთამაშენიც რომ დავამატოთ, იმდენი გამოდის, ერთ კარგ და ერთსაც საშუალო გუნდს რომ ეყოფა.

ჩემს კითხვას, რა ცვლილებებია „ტორპედოში", მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ ასე უპასუხა: გუნდიდან ჯერ არავინ წასულა, ახალმოსულებზე კი კიდევ ერთ კვირას მაინც ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „მარგვეთიდან" მირიან გეწაძე დაგვემატაო. გეწაძის გარდა, „ტორპედოს" ალბათ გორელი გიორგი რევაზიშვილიც შეემატება, თუ ინტერტოტოზე „მერანის" რიგებში თამაშისას რომელიმე უცხოურმა კლუბმა არ დაადგა თვალი.

ამჟამად „ტორპედოსთან" ერთად კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს. ამათგან ზოგს ოდესღაც ქუთაისში უთამაშია. „ტორპედოსთან" ერთად ვარჯიში განუახლებია ყოფილ ფრესკელსა და ტორპედოელს ილია ჯავახაძეს, რომელიც ბოლოს უნგრულ „კიშვარდაში" თამაშობდა. აქვე ვარჯიშობს სამგურალელი მცველი ლევან ქობულაძეც. ქუთაისელებთან ერთად მომზადება გადაუწყვეტიათ მეკარეებს — ნიკა ხელაძეს და გიორგი მაკასარაშვილს. ამ უკანასკნელს ბოლო თვეში 20 კილო დაუკლია და ჩვეული ფორმის აღდგენას ფიქრობს. ქუთაისელებს გერმანული რეგიონალლიგიდან დაბრუნებულმა გიორგი სუხიაშვილმაც მიაკითხა, რომელსაც ზუგდიდის „ოდიში" და რუსეთის პირველჯგუფელი „ურალმაშიც" ეპატიჟებიან. ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებში ბევრი ნაცნობი გვარია. და მაინც, „ტორპედო" მათთან ურთიერთობის გარკვევას არ ჩქარობს, ლოდინის პოლიტიკა აურჩევია, მოამზადებს და ნახავს, ეგებ მართლა დასჭირდეს ეს მოთამაშეები.

ვარჯიში დაუწყია და უკვე ძველი ფორმაც აღუდგენია კახა ჩხეტიანსაც, რომელსაც ცოტა ხნის წინ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ აქამდე ტრავმამ შეაფერხა. „ტორპედოსთან" ერთად ვარჯიშობენ ტორპედო-2-ელები გაბუნია, გიორგაძე, მერებაშვილი და აბაუთიძეც. რაკი „ტორპედოს" ზღურბლთან მდგომებზე ვთქვით, ის მოთამაშენიც ვახსენოთ, ვისაც შესაძლოა გუნდის დატოვება მოუხდეს.

დანამდვილებით ჯერ მწვრთნელმაც არ იცის, ვინ დატოვებს გუნდს, მაგრამ რამდენიმე მოთამაშის მსურველი გუნდი უკვე გამოჩნდა.

„ტორპედო" და „სამგურალი" ოდითგან დაძმობილებულნი იყვნენ და ამათში უფროს-უმცროსობაც გარკვეული გახლდათ. ყოველთვის „სამგურალის" ინტერესები „ტორპედოსას" ეწირებოდა და ასე იყო მანამ, სანამ მთელი „ტორპედო" წყალტუბოში არ გადაბარგდა და ამ პატარა ქალაქის გუნდი მეოთხე ადგილზე არ გავიდა. თუმცა, მალე ამ ფეხბურთელებმაც დატოვეს „სამგურალი" და სუბორდინაციაც აღდგა. „სამგურალი" მალე მაინც ეურჩა „ტორპედოს", როცა გავარდნამდე სენსაციური მარცხი აგემა და მერე აშვეთია — ჩხეტიანის დათმობაც არ სურდა. წყალტუბოელებს იმ წელს ურჩობა არ გაუვიდათ, შარშან კი, გეგონებოდათ, საბოლოოდ შეირისხნენო, როცა ქუთაისელებს არც გივი ჯანელიძე და გელაშვილი დაუთმეს და აშვეთიას დაბრუნებასაც ადმინისტრაციული დირექტივებით შეეცადნენ. და აი, შარშანდელი ჩემპიონატის ბოლოს მეზობლები შერიგდნენ, რამაც „სამგურალი" გავარდნას გადაარჩინა, და ურთიერთდახმარების თაობაზე მორიგდნენ. ამან წყალტუბოელები დიდად გაახარა და ახლა სწორედ ისინი არიან იმ მოთამაშეთა მთხოვნელი, რომლებიც „ტორპედოს" ეზედმეტება, თუ აღარ დასჭირდება. „სამგურალის" პრეზიდენტს გრიგოლ ქათამაძეს ასეთთა შორის მეკარე ნიშნიანიძე, ნახევარმცველები მუმლაძე, ხაჭაპურიძე და ტყუპი გიგიაძეები წარმოუდგენია. თავად „სამგურალის" რიგები ჯერჯერობით კახა ჯანაშიასა და გოგელიძეს დაუტოვებიათ, რომლებიც ტოლიატის „ლადაში" წასულან გასასინჯად. ამათ გარდა „სამგურალი" „სამტრედიიდანაც" ცდილობს შევსებას. ამათგან წყალტუბოელებს ფრანგიშვილი და დარსაძე დაემატებიან.

დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი „მარგვეთშიც", რომელსაც, შესაძლოა, გაისისთვის დიდი მიზანი ჰქონდეს და ამაში გავარდნილი „კახეთის" მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე დაიხმაროს. ჯანელიძის გადაბირება „მაღაროელსაც" სდომნია. მისით ასეთი დაინტერესება იმითაცაა განპირობებული, რომ ჯანელიძეს „კახეთში" მიყვანილ ნიჭიერ მოთამაშეთა ჯგუფის ახალ გუნდში გადაბირება ხელეწიფება.

უკლებლივ ყველა გუნდში საკმარი ფინანსური პრობლემებია, მაგრამ ეს საკითხი ყველაზე ნაკლებად მაინც „ტორპედოს" აწუხებს. ამას მხოლოდ ერთმა დამფუძნებელმა — მერიამ უგანა და სამი თვის პრემიებს 22 ათას ლარს რომ შეადგენს, ჯერაც უგვიანებს. სამაგიეროდ, მეორე დამფუძნებელი „სიგმაბანკი" თავის დანაპირებს ჯერჯერობით ასრულებს, რისი დასტურის მოწმე წინა შაბათს თავადვე შევიქენი. „ტორპედოს" ავტოფარეხი გაფართოვდა. აშვეთიას, მეგრელაძის, შალვა ხუჯაძის უცხოური მარკის მანქანებს გვერდით კვეტენაძისთვის საკონტრაქტო თანხაში ჩათვლილი BMW ამოუდგა.

„ტორპედო" ისე სერიოზულად ემზადება, რომ ვარჯიში 8 ივნისს განუახლებია, ამასობაში ორდღიანი შესვენებაც მოასწრო და დიდად არც იმ მოთამაშეთა გაშვება ეხალისება, რომლებსაც ევროტურნირებზე მოთამაშე „კოლხეთი" და „მერანი" სთხოვენ — ემანდ, ეგენი აწი ჩვენც გვჭირდებაო.

**ვახტანგ ბზიკაძე**



კახა კვეტენაძე (№7) — მოთმინებითა შენითა მოიპოვე BMW შენი

# ნუგზარ ნავაძე: „მერანი“ სახელს უფრთხილდება

**პარლამენტის შენობის 526-ე ოთახში მხოლოდ ღამის საათებში ისადგურებს სიმშვიდე. გაუთავებელი ზარები, სტუმრები, იქეთ პარლამენტარის საფიქრალ-საზრუნავი და აქეთ კლუბის პრეზიდენტის... სულ ნახევარი საათი დავყავი „მერანის“ თავკაცის ნუგზარ ნავაძის კაბინეტში და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, ბატონ ნუგზარის მოუცლელობაში რომ დავრწმუნებულიყავი. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თავდაპირველად სხვა კითხვას ვერც დავუსვამდი:**

**— დაიღალეთ?**

*...არადა, ჯერ მხოლოდ დილის 11 საათი იყო. ყველაფერთან ერთად, ნავაძის ტრადიციულ საზრუნავს ინტერტოტოს გათამაშებაში „მერანის“ პირველი მეტოქის — „ტორპედო — ლუჟნიკის“ დელეგაციის დახვედრა-დაბინავებაც დაემატა...*



ბადრი კეთილაძის ფოტო

თემურ მახარაძე, კახა სიდამონიძე და რომეო გოგიტაძე

— მე ისეთ ადგილებზე და თანამდებობებზე მიმსახურია და, საერთოდ, ისეთი ცხოვრების გზა გამომივლია, ასე ადვილად არ ვიღლები. მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და დაღლილობამდე ბევრი აღარ მაკლია. მძიმე და დატვირთული დღეები მაქვს, ეს იმანაც განაპირობა, რომ პირველად მიწევს საერთაშორისო თამაშის ორგანიზება. აქ ყველა ნიუანსს ვგულისხმობ. შვიდ მოთამაშეს პასპორტი და პირადობის მოწმობაა რაა, ისიც კი არ აღმოაჩნდა და ესაც ჩემი მოსაგვარებელი შეიქმნა. თანაც, თამაშები ისეთ მოკლე ვადებში ტარდება, რომ ერთი მატჩის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებიდან უცებ უნდა გადავერთო მეორეზე. სოლიდურ სამსახურებში მუშაობის გამოცდილება და ჩემი დეპუტატობა რომ არა, ასე მცირე ხანში ყველა საკითხის გადაწყვეტა მეტად გამიჭირდებოდა.

*...ამ გაწამაწიას ნავაძე ექვსი წელი ელოდა. მაშინ, 1991 წელს, „თბილტრანსში“ ფეხბურთის მოყვარულთა წრემ — ზურაბ ბაბუნაშვილმა, პეტრე მამარიაშვილმა, გელა კასრელიშვილმა და მიხეილ დადუნაშვილმა გაერთიანების მაშინდელი ხელმძღვანელის ნუგზარ ნავაძის თავკაცობით საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბება განიზრახა. გუნდი „მერანი-91“-ად მონათლეს. თანდათან თანამზრახველებმა სხვებიც შემოიკრიბეს, „მერანს“ რამდენიმე ფირმაც ამოუდგა მხარში და გუნდის აღმასვლაც დაიწყო.*

— მაშინ რთული პერიოდი იდგა, — იგონებს ნუგზარ ნავაძე, — საქართველოში იარაღიანი ხალხი ბოგინობდა და საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბება, მავანთა აზრით, გაუმართლებელი იყო. თუმცა, მე მწამდა, რომ ქვეყანა დაწყნარდებოდა, ქართველები იარაღს გადააგდებდნენ და კულტურას, ხელოვნებასა და სპორტს კვლავ გაიხსენებდნენ. „მერანი“ ფეხბურთის სიყვარულითა და მომავალში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში თამაშის იმედით ჩამოყალიბდა. ჩვენ თავიდანვე დავგეგმეთ გარკვეული საფეხურის გავლის შემდეგ უმაღლეს ჯგუფში მოხვედრა. მხოლოდ ერთ წელიწადში მოვტყუვდით. I ჯგუფში გადმოსულებმა დიდი მიზნები თავიდან არ დავისახავს. მხოლოდ ჯგუფში დამკვიდრებას ვფიქრობდით. საბედნიეროდ, ჩვენი განზრახვა ჩემპიონატის დასაწყისში გუნდის წარმატებულმა გამოსვლამ შეცვალა, გავთამამდით და უკვე ათეულში მოხვედრაზე დავიწყეთ ფიქრი, მაგრამ რა ბედენად იყო მხოლოდ ათეულზე ფიქრი, როცა გუნდი აშკარად ათამაშდა. პირველი წრის შემდეგ ევროპულ ტურნირებში თამაშის რეალური პერსპექტივაც გაგვიჩნდა, რაც უკვე ჩემთვის მოულოდნელი გახლდათ. რა თქმა უნდა, გუნდს რომ ვქმნიდი, იმას არ ვფიქრობდი, მხოლოდ ხაშურსა და ბოლნისში მოგვიწევს თამაში-მეთქი, თუმცა, იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, ასე სწრაფად თუ მოვხვდებოდით ევროტურნირებში.

**— ეტყობა, თავის დროზე ამანაც დაბადა ეჭვი, შესაძლოა, „მერანის“ ხელმძღვანელობამ ინტერტოტოს თავი აარიდოსო. რაც უნდა იყოს, ეს გათამაშება ნაკლებად პრესტიჟულია, ბევრს ხარჯს კი ითხოვს.**

— თუ სპორტული თვალსაზრისით შევხედავთ, ინტერტოტოს გათამაშება სულაც არ არის არაპრესტიჟული. უეფას თასზე შეიძლება მხოლოდ ერთი წრე ითამაშო, ტოტოზე კი ერთბაშად ოთხ მეტოქეს ხვდები. თანაც, მოთამაშეთათვის მომზადების, დაოსტატებისა და გამოცდილების შეძენის კარგი საშუალებაა. მაგრამ არის მეორე ფაქტორიც — ფინანსური. ამ მხრივ ინტერტოტო ყველა დანარჩენ ევროტურნირს ჩამოუვარდება. უეფა ინტერტოტოსთვის მცირე თანხებს გამოყოფს და ეს განაპირობებს მის არაპრესტიჟულობას. სწორედ ამის გამო ვყოყმანობდი, ღირდა თუ არა მასში მონაწილეობა. ეს აზრი მხოლოდ 30 მაისს, ჩემპიონატის დასრულებისას არ გაგვიჩენია. ამაზე ჯერ კიდევ მაშინ დავფიქრდით, როდესაც უკვე რეალურად შეგვეძლო ოთხეულში მოხვედრა. მაგრამ ჩემპიონატის ბოლოს უეფას თასზე გასვლის შანსიც გაგვიჩნდა და მოთამაშეებისთვის წარმოუდგენელი გახდა, ერთ-ერთ თასზე მაინც რომ არ ეთამაშათ, მოკლედ გუნდში ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, უმადურობა იქნებოდა ნაბრძოლ-ნათამაშევი ბიჭების დალალატება. ერთი სიტყვით, ინტერტოტოზე მონაწილეობა გადავწყვიტეთ. გუნდის დამფუძნებლების — „თბილტრანსის“, „თერგის“, „ბიზნესის“, „თეთრი ქალაქის“, „კოლხას“ თანადგომით ფინანსური გაჭირვება შეგვიმსუბუქდა. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები და ფირმებიც, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი მდგომარეობა — სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია „საქნავთობპროდუქტი“ და ქართულ-იტალიური ბანკი „ინდუსტრიაბანკი“ „მერანში“ დამფუძნებლის სტატუსით შემოვიდნენ, დაგვეხმარა „კავკასატრანსექსპედიციის“ ხელმძღვანელობა და სახაზინო საწარმო „საქინტერავტოსერვისის“ თავკაცობა. სხვა ორგანიზაციებიც დაგვპირდნენ შემწეობას. იმედი გვაქვს, მაქსიმალურად გავასაღებთ „ტორპედოსთან“ მატჩზე დასასწრებ ბილეთებს. იმედია, სტადიონზე უბილეთო ვერ მოხვდება. თუ ასე მოხდა, უცხოეთში გასამგზავრებელ თანხასაც ავინაზღაურებთ. ხოლო თუ ეს ვერ შევძელით, მეტად გაგვიჭირდება. „სარბიელის“ საშუალებითაც მსურს ვთხოვო გულშემატკივრებს, გაითვალისწინონ ჩვენი მდგომარეობა და თამაშზე უბილეთოდ შესვლას ნუ ეცდებიან. მით უფრო, რომ ბილეთი მხოლოდ 3 ლარი ღირს.

**— კატოვიცეში ნაკრების მარცხის შემდეგ, შესაძლოა, ბევრს სტადიონზე მისვლის სურვილიც აღარ ჰქონდეს. თქვენ თვითონ რა რაოდენობის მაყურებლის მხარდაჭერას ვარაუდობთ?**

— რა თქმა უნდა, ჩვენი გულშემატკივარი ყველა მარცხს მძიმედ განიცდის, მაგრამ არა მგონია, ასე უცებ ყველამ ერთბაშად აქციოს ფეხბურთს ზურგი. მე დაახლოებით 25-30 ათასი კაცის მხარდაჭერის იმედი მაქვს. რაც უნდა იყოს, მოსკოვის „ტორპედოს“ ვხვდებით, საინტერესოა, ძალთა რა თანაფარდობა იქნება გუნდებს შორის, და ბევრი სხვა რამ, ასე, რომ ინტერესი მაინც ექნება გულშემატკივარს. იქნებ გულგატეხილ ადამიანებს „მერანის“ კარგმა თამაშმა გული მოუბრუნოს. თუ ამას შევძლებთ, ბედნიერები ვიქნებით და თქვენ რომ მკითხეთ, ხომ არ დაიღალეთო, ეს სათვალავში ჩასაგდებიც არ იქნება...

**— ტოტოზე გამოსვლა მომდევნო ჩემპიონატში გუნდის ფინანსურ მდგომარეობას ხომ არ გააუარესებს?**

— სასიკეთოდ რომ არ დაგვეტყობა, ეს ცხადია, განსაკუთრებით — წარუმატებლად გამოსვლის შემთხვევაში. თუ რამდენიმე თამაშის მოგებას შევძლებთ, უეფადან გადმოსარიცხი თანხის რაოდენობა ავტომატურად გაიზრდება. პირველ ადგილზე გასულს 50 ათასი შვეიცარიული ფრანკი ერგება, მეორეზე გასულს — 45 ათასი, მესამეს — 40 ათასი, მეოთხეს — 35 ათასი და სულ ბოლო გუნდს კი — 30 ათასი. ეს არის უეფასაგან გადმოსარიცხი თანხის გარანტირებული მინიმუმი, თუმცა, გუნდები უფრო მეტსაც იღებენ. შარშან ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გასულმა „კოლხეთმა“ მონაწილეობისთვის 53 ათასი ფრანკი მიითვალა. ამ ფაქტის მოშველიებით იმის თქმა მსურს, რომ, არ მგონია, ტოტოზე თამაშმა იმდენად გვაზარალოს, ჩემპიონატის მსვლელობისას მოთამაშეებს ხელფასი და პრემია ვერ გადავუხადოთ. ამას ფეხბურთელებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენი ავტორიტეტისთვის. ჩვენი პრინციპია — ხელფასებისა და პრემიების გადახდა არ დავაგვიანოთ. ყველანაირად ვეცდებით, კვლავაც ასე გავაგრძელოთ. „მერანის“ ყველა წევრთან უკვე 12 ივნისს გავისტუმრეთ ანგარიში — ჩვენ ხომ სახელს ვუფრთხილდებით. რა თქმა უნდა, ამის გარდა არის სხვა საკითხიც — სეზონის წინ მოთამაშეთა დამატებისას მათ საკონტრაქტო თანხაც უნდა მივცეთ. თუმცა, ჩვენთან თამაშის მსურველი ისედაც ბევრია, რაც უპირველესად იმითაა გამოწვეული, რომ უკმაყოფილო არავინ გვრჩება. შესაძლოა, ზოგიერთი გუნდი მოთამაშეს წინასწარ აძლევს თანხას, ჩვენ ეს არ შეგვიძლია, მაგრამ რასაც ვპირდებით, ფეხბურთელს ყოველთვის ვუსრულებთ.

**— რა მიზანს ისახავთ ინტორტოტოს გათამაშებაში?**

— ეს ნაწილობრივ საუბრის დასაწყისშიც ვთქვი — მოთამაშეებისთვის უფრო მნიშვნელოვანი საერთაშორისო თამაშებში მონაწილეობაა, „მერანის“ საქართველოს გარეთ გაიცნობენ, გარდა ამისა, მოთამაშეებს უცხოეთში სურთ კარიერის გაგრძელება და ინტერტოტოზე თამაში თავის გამოჩენის და უფრო ძლიერ გუნდში გადასვლის მშვენიერი წინაპირობაა.

**— ამით თქვენც უნდა იყოთ დაინტერესებული — ბევრი გუნდი ხომ თავს სწორედ მოთამაშეთა გაყიდვით ინახავს...**

— რა თქმა უნდა. თუ კარგ მოთამაშეს გავზრდით და უკეთეს გუნდში გავუშვებთ, ეს ჩვენი სახელიც არის და აქედან ხეირსაც ვნახავთ. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საქმე. ძნელია, წინასწარ დაგეგმო შედეგი, მაშინ, როცა ფაქტობრივად, მეტოქეებს არ იცნობ. მაგრამ, მაქსიმალურად შევეცდებით, ჩვენი გამოსვლით ქართული ფეხბურთს სიკეთე მოვუტანოთ და თუ ეს ვერ მოვახერხეთ, არ შევარცხვინოთ მაინც.

**— რუსებთან ჩვენი ყოველი თამაში პრინციპულია. ამან, შესაძლოა, გუნდის დანარჩენი შეხვედრების შედეგი გადაწონოს...**

— მეტსაც გეტყვით, წარმატების შემთხვევაში, შესაძლოა, მაყურებელთა ნაწილმა ნაკრების წარუმატებლობაც კი დაივიწყოს. „მერანის“ წევრებს ისეთი განწყობა აქვთ, რომ მჯერა მეტოქეს უბრძოლველად მოედნის არც ერთ გოჯს არ დაუთმობთ, „ტორპედოსთან“ ღირსეულად ვითამაშებთ და სტადიონს შერცხვენილი არ დავტოვებთ.

**— წარმატებაც რომ თავსატეხად გექცეთ? გავიგე, თითქოს, მოგების შემთხვევაში ყველა ფეხბურთელს ათას ლარს შეპირდით...**

— კონკრეტულად არავის არაფერს შევპირებივარ, მაგრამ თუ მოვიგეთ, უკმაყოფილო არავინ დარჩება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტორპედო: ფრთხილი ოპტიმიზმი

**საქართველოში** თბილისის „მერანთან“ ინტერტოტოს თასზე სათამაშოდ წასვლამდე „ტორპედო-ლუჟნიკმა“ თანაქალაქელ „დინამოსთან“ ფრედ, 1:1 ითამაშა, მაგრამ ტორპედოელთა თავკაცს ალექსანდრ ტარხანოვს ქულათა დაკარგვა არც განუცდია. ამ თამაშამდე ერთი კვირის წინ დასრულებულ რუსეთის თასის ფინალისტთან მოგებას „ტორპედოს“ ცოტა თუ უწინასწარმეტყველებდა. ამიტომაც ლიდერთან მატჩში მიღწეული ფრე საკმაოდ ღირსეულ შედეგად მოინათლა. ალექსანდრ ტარხანოვი, როგორც ყოველთვის, თავაზიანი გახლდათ და ინტერვიუს შესახებ თხოვნას კეთილმოსურნედ შეხვდა. „დინამოსთან“ მატჩის დამთავრებიდან ნახევარ საათში ჩვენ „დინამოს“ სტადიონის სავარძლებში მოვთავსდით და საუბარი დავიწყეთ.

— მე ყოველთვის მომწონდა თბილისი — ინტერესით ჩაერთო საუბარში „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი — ძალიან ლამაზი, ძველი ქალაქია. ქართველი ხალხიც ყოველთვის იყო ცნობილი თავისი სტუმართმოყვარეობით. ვაღიარებ, მე კარგა ხანია (10 წელი მაინც, თუ მეტი არა) იქ აღარ ვყოფილვარ. კავშირის დაშლის შემდეგ ხომ არც ისე ხშირად გვაქვს ყოფილ რესპუბლიკებში მოხვედრის შესაძლებლობა. ამიტომაცაა, თბილისში უდიდესი სიამოვნებით მივდივარ. მე აქ ბევრი მეგობარი მყავს. უბრალოდ, რამდენიმე დღით იქ ყოფნა, სუფთა, კავკასიური ჰაერის ჩასუნთქვა, მეგობრებთან ერთად ჭიქა ღვინით წარსულის გახსენება მსურს. მართალი გითხრათ, არცთუ იშვიათად ვუბრუნდები წარსულს ფიქრებით, ნოსტალგიას განვიცდი ტკბილად მოსაგონარი საკავშირო ჩემპიონატის გამო, მაგრამ რასაც ვერ დაიბრუნებ, ვერ დაიბრუნებ. ახლა ყველაფერი სხვაგვარად, ახლებურადაა.

**— მეტოქეც აბსოლუტურად უცნობია. რა იცით „მერანზე“?**

— სრულიად არაფერი, მაგრამ, ვფიქრობ, თბილისში ჩასვლისას გუნდის შესახებ ინფორმაცია გაჩნდება. ჩვენ იქ საკმაოდ ბევრი მეგობარი გვყავს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, დახმარებას შეძლებენ. შევეცდებით ვიდეოჩანაწერის მოპოვებას, მაგრამ თუ არ გამოგვივიდა, დიდი უბედურება არ იქნება. საკმაოდ იოლი იქნება მოთამაშეებზე, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე ინფორმაციის მოპოვება.

**— თბილისში როდის უნდა გელოდონ?**

— თბილისში მატჩის წინა დღეს, შაბათს მივფრინავთ. მიჭირს თქმა, მეტოქე ძლიერია თუ სუსტი. მე ვიცნობ თბილისის, ბათუმის „დინამოს“, ამ გუნდზე კი არანაირი ცნობა არ გამაჩნია. ერთადერთი ის ვიცი, რომ გუნდი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.

**— ინტერტოტოს თასზე „ტორპედოს“ როგორი პერსპექტივა აქვს? რა აზრისა ხართ ამ ტურნირზე?**

— დამოკიდებულება, ერთი მხრივ, სავსებით სერიოზულია, მეორე მხრივ, იმ მოთამაშეთა გამოცდაა აუცილებელი, რომლებსაც უმაღლეს ჯგუფში თამაშის შესაძლებლობა არა აქვთ. ჩანს, ყველა ასეთ მოთამაშეს ამ ტურნირში მივცემ თამაშის საშუალებას. უფრო სწორად, მიზანი ერთი იქნება, შემდეგ ეტაპზე გასვლა, მაგრამ უახლოესი რეზერვის ნახვასაც შევეცდებით.

**— ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის გამო საგრძნობლად შემჭიდროვებული და გადატვირთული კალენდარი გუნდის წინაშე ბევრ პრობლემას არ წამოჭრის?**

— ალბათ, იმ ფეხბურთელებს დავასვენებ, ვინც ახლა ბევრს თამაშობს. ამავე დროს მათი საქმეში ნახვაც მსურს, ვინც რეზერვშია. ესენი არიან მცველები კორნაუხოვი და მახმუტოვი, ნახევარმცველი რაჟანაუსკასი. ყოველ შემთხვევაში, „ტორპედო“ თბილისში წარმატებით გამოსვლას ვარაუდობს. შარშანდელი „ტორპედოს“ შემადგენლობიდან გუნდში ახლა რამდენიმე კაციღა დარჩა. ამასთან, მუდმივად ძირითადში მხოლოდ კამოლცევი და ბოლო დროს ბურჩენკოვი არიან. დანარჩენები შეცვლაზე თუ გამოდიან. „ტორპედო-96“-ის კიდევ ორი ბურჯი-მეკარე პჩელნიკოვი და ნახევარმცველი სმერტინი, სამწუხაროდ, ტრავმირებულნი არიან და თბილისში თამაშს ვერ შეძლებენ.

— გულდასაწყვეტია — ამბობს ევგენი სმერტინი — თბილისში წასვლა ძლიერ მინდოდა. იქ თამაში ყოველთვის სასიამოვნო და საინტერესოა. ფეხბურთის გარშემოც ისეთი სიტუაცია სუფევს, რომ მაშინვე გეგონება, ჩვენს ძველ, საკავშირო ჩემპიონატში ბრუნდები. აი მაშინ კი იცოდნენ ქომაგობა! თითქმის ყველა მატჩზე ივსებოდა ტრიბუნები. რუსეთში ასეთი რამ ახლა იშვიათად ხდება, საქართველოში კი შარშან უეფას თასის განმეორებით მატჩზე სტადიონი ლამის გაივსო. ჩვენც გულშემატკივრებს საინტერესო თამაში ვაჩვენეთ. აი, მოსკოვში კი სანახავი ბევრი არაფერი იყო, თანაც უსიამოვნო მოგონებაც დატოვა — ჯამარაულის საჯარიმო დარტყმამ მატჩის შედეგი განაპირობა. არადა, როგორ გვსურდა მოგება!

**— როგორ წარმოგიდგენიათ „მერანთან“ საკვირაო მატჩი?**

— ვფიქრობ, თამაში საინტერესო და მიმზიდველი გამოვა. ქართულ ფეხბურთს ბოლო დროს წინსვლა ეტყობა, თბილისის „დინამოს“ გარდა კიდევ რამდენიმე საინტერსო გუნდი გამოჩნდა. მე „მერანს“ არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი ყველა ფეხბურთელი ინდივიდუალური თამაშის მაღალ კულტურას ფლობს, რასაც ქართველ ფეხბურთელებს ყოველთვის გამოარჩევდა. ჩვენი მხრიდან კი საინტერესო, კომბინაციურ თამაშს შევთავაზებთ, რისი მიმდევარიც ჩვენი თავკაცი ტარხანოვია. ვფიქრობ, მატჩი მაინც ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდება.

„ტორპედოს“ სახელგანთქმული ფორვარდი ვალენტინ ივანოვი, ვისი ხელმძღვანელობითაც თამაშობდნენ შარშან მოსკოველები, წლეულს მწვრთნელიდან საპატიო პრეზიდენტად გარდაისახა. კოზმინისთვის სტუმრობა ძველ მეგობრებთან შეხვედრის შესაძლებლობაცაა. თბილისში კი მეგობრები საკმარისზე მეტი ჰყავს.

— შარშან უეფას თასის მატჩზე ჩასულმა ავადმყოფი სლავა მეტრეველი მოვინახულე, რომელსაც კლუბისგან სამკურნალოდ 2 000 დოლარი გადავეცი. წელს დავით ყიფიანთან შეხვედრის იმედიც მაქვს. რაც შეეხება თავად მატჩს, ვფიქრობ, შარშანდელისგან განსხვავებით გაგვიმართლებს. „მერანი“ თბილისის „დინამო“ არაა, თუმცა, მჯერა, როგორც ყველა ქართველი მოთამაშე, ჩვენი მეტოქენიც ტექნიკურნი იქნებიან და საკმაო საფიქრალის გაჩენა შეეძლებათ.

**რომან გოლუბევი**
**„სპორტ-ექსპრესი“,**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

გინდათ გქონდეთ საკუთარი ბიზნესი?
შეიძინეთ რუსეთ-იტალიის მაკარონის გამოსაშვები დანადგარი.
დახარჯულ თანხას აანაზღაურებთ 2 თვეში
Tel: 72 32 93
64 27 69

# საიუბილეო უცხოს ერგო

## კოპა ამერიკა

### B ჯგუფი

**ბოლივია 1:0 ურუგვაი**

**ბოლივია:** ტრუკო, რიმბა, პენია (ს. კასტილიო 46), ო. სანჩესი, სანდი, კრისტალდო, ბალდივიესო (მორენო 89), სორია, რ. კასტილიო, ეჩევერი, კოიმბრა (ე. სანჩესი 61)

**ურუგვაი:** სიბოლდი, როდრიგესი, მონსი, დე ლოს სანტოსი, რამოსი, გომესი, სილვა (აბიხონი 78), სარალეგი, რომერო, რეკობა (დე სილვა 59), დელგადო (მარტინესი 59)

**გოლი:** 1:0 ბალდივიესო (29)

ლა-პასში იმ დღეს ერთობ ცხელოდა. უჰაერობით ისედაც გაწამებული ურუგვაელები ბოლივიურმა ხვატმა სულ მოთენთა და „კოპა ამერიკის" წინა ტურნირის გამარჯვებულნიც უსახელოდ გამოეთიშნენ ტურნირს. სტუმრებს ყაიმის შემთხვევაშიც უჩნდებოდათ მეოთხედფინალში გასვლის შანსი, მაგრამ მთელი შეხვედრა ბოლივიელებს მიჰყავდათ. სიცხით გათანგულმა ურუგვაელებმა ვერაფერი გააწყეს. ერთადერთი გოლი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა დაცვის უყურადღებობით გაუშვეს: მცველებმა ბალდივიესო მეურვის გარეშე დატოვეს. მანაც დრო იხელთა, სიბოლდი გააპამპულავა და ცარიელ კარში სამი ქულის მომტანი შეაგდო. ბოლივიელების გოლს ამ ტურნირზე თავისიანების მხარდასაჭერად მისული 35 ათასი დასიცხული გულშემატკივარი არც ისე დიდი სიხარულით შეხვდა — მზემ აქაც თავისი გაიტანა. ეგ კი არა, საათნახევრის განმავლობაში ათამდე გულწასული კაცი მოასულიერეს. დარჩენილ დროში მასპინძლებს გოლის გასატანად დიდად თავი აღარ მოუკლავთ, მაგრამ კონტრკონტრად მაინც იქმნებოდა სახიფათო მომენტები. მატჩის შემდეგ მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელობა გახარებული ამბობდა, ასეთ ძლიერ ჯგუფში სამივე მატჩს მშრალზე თუ მოვიგებდით, არ გვეგონაო. შეცვლაზე შესულმა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბოლივიელთა ერთადერთი გოლის ავტორმა, პლატინად მონათლულმა ერვინ სანჩესმა თქვა, ნამდვილად კარგი გუნდი გვაქვს და ამ ტურნირში გამარჯვება კი არა, თვით მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მიღწევაც შეგვიძლიაო. ფეხბურთელებმა თავის ქებით გული რომ იჯერეს, ბოლივიელთა პრესატაშე წარსდგა ჟურნალისტების წინაშე და სიამაყით განაცხადა, რომ ბალდივიესოს გოლი „კოპა ამერიკას" ისტორიაში საიუბილეო — მე-2000 იყო. ცნობა ელვის სისწრაფით მოედო ბოლივიას, მაგრამ შებინდებისას ტურნირის ორგანიზატორები ტელევიზიით გამოვიდნენ და თქვეს, ბალდივიესომ 1999-ე შეაგდოო. იქვე დასძინეს, რომ მათი კონტინენტის ჩემპიონატების საიუბილეო გოლს ნამდვილი სამხრეთამერიკელი ველარ გაიტანს, რადგან შემდეგი მატჩი მექსიკა — კოსტა რიკას შორის ტარდებაო.

**პერუ 2:0 ვენესუელა**

**პერუ:** მ. მირანდა, იდალგო (პრადო 73), დულანტო, რებოსიო, კასტილიო, ტორესი, მაგალანესი, პალაციოსი (კარაზასი 71), მუნიოსი, კომინგესი (პალომინიო 65), სენსი

**ვენესუელა:** დუდამელი, მაკინტოში, ეჩენიკე, რეი, ვალენილა, ლ. გონსალესი, დიასი (პალენსია 82), გ. მირანდა (უ. გონსალესი 57), ურბანეხა, კასტელიანი, სოკორო (როდრიგესი 67)

**გოლი:** 1:0, 2:0 კომინგესი (13, 59)

პერუმ „კოპა ამერიკაზე" 23 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ჩაიყვანა, თუმცა შედეგებიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ ურიგოდ არ იასპარეზა. ამჯერადაც მათ იოლად სძლიეს სამხრეთ ამერიკის უსუსტესი ნაკრები და მეოთხედფინალის საგზურს დაეუფლნენ. ვენესუელელები კი ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ ბრუნდებიან სამშობლოში შერცხვენილები. მათ, ქულაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბურთიც ვერ გაიტანეს. არადა, ამ შეხვედრის მე-6 წუთზე პერუელთა კარი ურბანეხას დარტყმულს გადაურჩა: ბურთი ხარიხას მოხვდა. პერუმ საფრთხე რომ იგრძნო, ამოქმედდა და დაწინაურდა. ტაიმის ბოლოს ახალგაზრდებს მწვრთნელმა შეუძახა, ბურთების მარაგი გვჭირდებაო, მაგრამ შეგირდებმა აინუნშიც არ ჩააგდეს და მინიმალურ უპირატესობას დასჯერდნენ. თამაშის განახლების შემდეგ ვენესუელელები კარს მიეჯაჭვნენ და მალე მეორე ბურთიც გაუშვეს, თუმცა, ერთი რამ მაინც აღსანიშნავია: 1993 და 1995 წლების „კოპა ამერიკასთან" შედარებით, გუნდის დაცვამ აშკარად გააუმჯობესა თამაში და შესაბამისად, 13-ისა და 10-ის ნაცვლად, წელს მხოლოდ 5 ბურთი გაუშვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლივია | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| პერუ | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

### C ჯგუფი

**მექსიკა 1:1 კოსტა რიკა**

**მექსიკა:** რიოსი, ვილა, დავინო, სუარესი, რომერო, ლარა, ნ. რამირესი, ჩავესი, პალენსია (ებუნდისი 46; სანჩესი 73), ერნანდესი, ბლანკო (გარსია 85)

**კოსტა რიკა:** ბარანტესი, ვალესი, გონსალესი, რაიტი, ალფარო, სოლისი, მეიერსი (ოვიედო 60), ლოპესი, რამირესი, ფონსეკა, მედფორდი

**გოლი:** 1:0 ერნანდესი (15 პ), 1:1 მედფორდი (61)

ბრაზილიელებთან ბრწყინვალედ ჩატარებულ, მაგრამ მაინც 2:3 წაგებულ მატჩს თუ დავაბრალებთ, რომ მექსიკელები კოსტა რიკასთან რატომღაც ძალაგამოცლილად გამოიყურებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ კოსტა რიკამ „კოპა ამერიკის" ტურნირზე პირველი ქულა მოიპოვა, თამაშის მიხედვით კი მოგებაც შეეძლოთ. მათ შეტევებს ბოლო არ უჩანდა. ამას რიოსი კარგა ხანი უმკლავდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაუშვა: 1990 წელს, იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათამაშევი კოსტა-რიკის ნაკრებიდან შერჩენილმა ერნან მედფორდმა დაახლოებით 20 მეტრიანი გარღვევის შემდეგ ზუსტად დაარტყა და თამაშის დასაწყისში ერნანდესის გატანილი გაქვითა. აი, მექსიკელის გოლზე კი ღირს შეჩერება. არა, ეს გოლი სილამაზით არ გამოირჩეოდა, ერთი ჩვეულებრივი პენალტი იყო. არც იმითაა საყურადღებო, ერნანდესმა ზედიზედ მესამე მატჩში ისახელა თავი და ბომბარდირთა დავაში 5 გოლით ერთპიროვნულად დაწინაურდა. უბრალოდ, ეს გოლი 1916 წლიდან დაწყებული „კოპა ამერიკას" ოფიციალური გათამაშებების ისტორიაში რიგით მე-2000 იყო. და იგი შეაგდო არა სამხრეთამერიკელმა, არამედ იმ ქვეყნის შვილმა, რომლის ფეხბურთის ფედერაციაც კონმებოლში კი არა, სხვა კონფედერაციაშია გაწევრიანებული. მოკლედ, ლუის ერნანდესი „კოპა ამერიკას" ისტორიაში შეგდებული მე-2000 გოლის ავტორი გახდა. ამის თაობაზე სანტა-კრუზის ადგილობრივ სტადიონს დიქტორმა ამცნო. მატჩის შემდეგ ერნანდესმა საიუბილეო გოლზე თქვა, ამის შესახებ პირველად მესმისო, მერე მეოთხედფინალში გასვლის სიხარული არ დაფარა, ბოლოს კი დასძინა, მართალია უსახურად ვითამაშეთ, მაგრამ არავინ შეცდეს და ამ მატჩით ჩვენი ძალები არ შეაფასოსო. ამის შემდეგ ერნანდესი საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე გაიწვიეს, სადაც სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის წარმომადგენლმა ხორხე ბარასამ ფორვარდს ვერცხლის თასი გადასცა.

**ბრაზილია 2:0 კოლუმბია**

**ბრაზილია:** ტაფარელი, კაფუ (ზე მარია 74), გონსალვეში, ალდაირი, ზე რობერტო, მაურო სილვა, დუნგა (სეზარ სამპაიო 85), ლეონარდო, დენილსონი, რონალდო (ედმუნდო 61), რომარიო

**კოლუმბია:** კალერო, სანტა, ბერმუდესი, კორდობა, მოსკერა, კაბრერა, პერესი, ბოინილია (რიკარდო 46), მორანტესი (ესტრადა 70), არისტისაბალი, პაჩეკო

**გოლი:** 1:0 დუნგა (11), 2:0 ედმუნდო (67)

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა ეს მატჩი წლევანდელ სეზონში, შესაძლოა, უსუსტესიც კი იყოს. ასე ბრაზილიელებს, კარგა ხანია, არ უთამაშიათ და ამიტომაც იყო, რომ სანტა-კრუზის „რამონ აგილერას" სტადიონზე შეკრებილმა ტორსიდამ მთელი საათნახევარი მათ ლანძღვაში გაატარა, ზაგალოს კი შტერი უწოდა. ხალხი ყველაზე ძლიერ მაშინ აბუნტდა, როცა მარიომ იმ დღეს უნიათო რონალდო შეცვალა, თუმცა, მანამდე... მე-11 წუთზე მსოფლიოს ჩემპიონმა, ჯეი-ლიგაში მოთამაშე დუნგამ დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა და ნაკრებში ჩატარებული 73-ე შეხვედრაში მე-6 გოლი შეაგდო. აქვე უნდა ითქვას, რომ კოლუმბიელებმა მხოლოდ სამჯერ შეაწუხეს ტაფარელი და აქედან ორჯერ პირველ ტაიმში, თუმცა კლაუდიოს მათი ბურთების მოგერიება არ გასჭირვებია. მეორე ტაიმში ფეხბურთის ნაცვლად ჭიდაობა გაჩაღდა. აქაც ბრაზილიელებმა იმარჯვეს. ზაგალო მიხვდა, რომ რონალდო ამაოდ ირჯებოდა და სამშობლოშიც „მხეცად" მონათლული ედმუნდოთი შეცვალა. ამანაც ნაკრების მაისური შეიშნო და მალე ცხადი გახდა, ბრაზილია კოლუმბიასთან ნათამაშევ 19 შეხვედრიდან მეცამეტეს მოიგებდა.

ედმუნდოს გოლის მერე ანგარიში აღარ შეცვლილა და ბრაზილიამაც ასპროცენტიანი შედეგით მოიგო C ჯგუფი. პრესკონფერენციაზე ზაგალომ საკმაოდ აკრიტიკა რონალდო, განაცხადა, დროა, მოეშვას ცაში ფრენას და მიხვდეს, შეუცვლელი რომ არააო. მერე გაგულისებული გულშემატკივრების გასაგონად თქვა, მე მოგება მჭირდება, თამაშის სახეც მაინტერესებს, მაგრამ უნდა გაიგოთ, რომ გუნდი ყველა შეხვედრას ერთ დონეზე ვერ ჩაატარებსო: „მირჩევნია უსახურად ვითამაშო და მოვიგო, ვიდრე ლამაზად და წავაგო." გუნდის თამაშის განხილვას რომ მორჩა, ისიც განაცხადა, ამ თვეში ჩატარებულმა მატჩებმა მაჩვენა, რა პოტენციის ფეხბურთელია დენილსონი — ამან თუ ასე გააგრძელა, სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებში უეჭველად შევიყვანო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| მექსიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| კოსტა-რიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |

„კოპა ამერიკაზე" ამ დღეებში არგენტინას არ უთამაშია, მაგრამ გუნდის მწვრთნელი დანიელ პასარელა ჟურნალისტთა ინტერესის საგანი გახდა. თურმე, ბოლივია — ურუგვაის მატჩის წინ ერთი ამბავი აუტეხია, მასპინძლები მეორე ადგილზე რომ გავიდნენ, მეოთხედფინალში ჩვენ შეგვხვდებიან, მე კი ცოცხალი თავით ნაკრებს ლა-პასში სათამაშოდ არ ავიყვანო. პასარელამ იქვე დაიქადნა, თუ ბოლივია გახდა ჩვენი მეტოქე, ჯობს თამაში სადმე სხვა ქალაქში დანიშნოთ, თორემ მოვკიდებ ბიჭებს ხელს და სამშობლოში წავალო. მწვრთნელის განცხადებამ ტურნირის ორგანიზატორები ერთობ შეაშფოთა, თუმცა გართულებას ისინი თავად ბოლივიის ნაკრებმა გადაარჩინა: მოიგო და არგენტინას მეტოქედ პერუ არგუნა.

ჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად გავიდნენ შემდეგ წრეში. C ჯგუფში დასრულებულმა მატჩებმა კიდევ ორი ბედნიერის ვინაობა გამოავლინა. მესამე ადგილზე გასულებს შორის საუკეთესო აღმოჩნდა პარაგვაი, ურუგვაი — კოლუმბიას შორის კი უპირატესობა უკანასკნელს მიეცა მეტი შეგდებული გოლების გამო და მეოთხედფინალშიც კოლუმბიელები გავიდნენ.

**ლაშა გოდუაძე**

მეოთხედფინალში ითამაშებენ:

დღეს

პერუ — არგენტინა

ბოლივია — კოლუმბია

ხვალ

ეკვადორი — მექსიკა

ბრაზილია — პარაგვაი



პერუელები კომინგესის პირველ გოლს ზეიმობენ

## 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი

# მარტო ფული რომ შველოდეს

### A ჯგუფი

**მალაიზია 1:3 ურუგვაი**

1:0 ფადლი (19), 1:1, 1:2 სალეიტა (25, 38), 1:3 მორა (75)

მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩის დარად, ამ შეხვედრაშიც თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, თუმცა, ისევე როგორც მაროკოსთან, პირველი ტაიმი 1:2 და მთლიანად მატჩი 1:3 დათმეს. გამარჯვებულმა ურუგვაიმ კი მერვედფინალში მონაწილეობა დაიბევა. მეორე გოლი სათვალავში სალეიტას კი ჩაეთვალა, მაგრამ ეს ბურთი მალაიზიელი მცველის მასრუმის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე ურუგვაელისა. სტუმართა მესამე გოლი ახლად შესულმა მორამ შეაგდო. მასპინძლებს შეეძლოთ ერთი გოლის გატანაც, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ურუგვაის კარი ძელმა იხსნა.

**მაროკო 1:1 ბელგია**

0:1 ვანინდხოვენი (58), 1:1 ტერმინა (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| მაროკო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| მალაიზია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

### B ჯგუფი

**საფრანგეთი 4:2 კორეა**

1:0, 3:0 ანრი (2, 11), 2:0, 4:0 ტრეზე (3, 53), 4:1, 4:2 ინ ოუპი (55, 69)

ევროპის ჩემპიონებმა აშკარად დაჯაბნეს აზიის ნომერ პირველნი და დაახლოებით ერთ საათში მოუთავეს საქმე. კორეელებმა საწყის სამ წუთში ორი გოლი გაუშვეს და თუმცა მეორე ტაიმში ორივე გაქვითეს, ამ დროისთვის ანგარიში უკვე 4:0 იყო მეტოქის სასარგებლოდ. ამ მარცხით კორეა, შესაძლოა, დაემშვიდობოს ტურნირს, რადგან ბოლო მატჩი ბრაზილიასთან უწევს.

**ბრაზილია 2:0 სამხ. აფრიკა**

1:0, 2:0 ადაილტონი (54, 58)

აფრიკის ვიცე-ჩემპიონის და 1995 წლის 20 წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის შეხვედრაში თვალნათლივ გამოჩნდა სამხრეთამერიკელთა უპირატესობა. ბრწყინვალედ ითამაშა ბრაზილიელთა დაცვამ და მეკარემ, რომლებმაც ამჯერადაც მშრალად შეინახეს კარი, თუმცა ადაილტონის პირველ გოლამდე მანდელას ერთ-ერთი ქვეშევრდომი მეკარესთან პირისპირ გავიდა, ისიც მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარში შესაგდებად ნამეტანი მახვილი კუთხეღა დარჩა და ბურთიც ძელს გაარტყა. ახლა სამხრეთაფრიკელებს მერვედფინალში გასვლის ძალიან მცირე შასაძლებლობა დარჩათ — საფრანგეთთან მხოლოდ გამარჯვებაღა აძლევთ ხელს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| კორეა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სამხრ. აფრიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

### C ჯგუფი

**ირლანდია 2:1 აშშ**

1:0 კამინსი (7), 2:0 მოლოუ (26), 2:1 ფლორესი (39 პ)

პირველ ტურში ირლანდია ამავე ანგარიშით დამარცხდა. თუმცა, ამჯერად უკეთესი სხვაობით მოგებაში მსაჯმა შეუშალა ხელი და მათ კარში უსაფუძვლო პენალტი დანიშნა.

**განა 1:1 ჩინეთი**

0:1 ჯინუ (44), 1:1 აპია (75)

პირველ შეხვედრაში ჩინეთმა მხოლოდ ბოლო წამებზე გაშვებული გოლით წააგო მატჩი. მაშინ ფრე, ახლა კი მოგება გაუშვა ხელიდან, თუმცა განა მთელი შეხვედრ[illegible] და მე-თი მარცხი უსამართლო იქნებოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

### D ჯგუფი

**ესპანეთი 2:1 პარაგვაი**

1:0 როდრიგესი (29), 1:1 მორინიგო (62), 2:1 როდრიგესი (75)

**იაპონია 6:2 კოსტა რიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კოსტა რიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | 1 |

### E ჯგუფი

**არგენტინა 2:1 კანადა**

1:0 რომეო (32), 1:1 ბენტი (44), 2:1 რიკელმე (65)

**უნგრეთი 0:1 ავსტრალია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| კანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### F ჯგუფი

**ინგლისი 5:0 საამიროები**

**მექსიკა 1:1 კოტ დივუარი**

სწორედ ინგლისელთა გუშინდელ მეტოქეს ეხება სათაურში გამოტანილი სიტყვები — ფეხბურთის თამაშს მარტო ფული რომ შველოდეს, არაბთა გაერთიანებული საამიროების (დუბაი ხომ ყველას გაგიგიათ, თუ არ გინახავთ) ჭაბუკთა ნაკრები ორ თამაშში ათ უპასუხო გოლს არ გაუშვებდა. თან მეათე, ანუ ინგლისელებთან გაშვებული ბოლო გოლი, შეიძლება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაშიც კი შევიდეს, ამიტომ, ვისაც გუშინ „ევროსპორტით" ეს უნიკალური მომენტი არ გინახავთ, გირჩევთ, დღეს ან ხვალ ჩაუსაფრდეთ — უეჭველია, ამ გოლს არაერთხელ გვიჩვენებენ. საქმე ასე იყო: ინგლისელთა შეტევა მოედნის ცენტრთან არმისული ჩაიშალა და ბურთი არაბ მცველს ჰარების ერგო. ამანაც დაახლოებით 45-47 მეტრიდან ბურთს საკუთარი მეკარის მიმართულებით დაჰკრა, ემანდ, ზურგსუკან არავინ იყოს, უმჯობესია, მეკარემ დაიწყოს შეტევაო. უბედური (გუშინდელ მატჩში, თორეს ისე, ალბათ, მთელ რედაქციას გვიყიდის) მეკარე ჩვეულად გამოვიდა, ფეხიც მოიქნია, მაგრამ ააცილა და ბურთიც კარში შევარდა. მოკლედ, ალბათ, ეს ავტოგოლთაგან ყველაზე შორეული იყო ისტორიაში. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ — ეგებ ვილაც თავქარიანს უარესი აქვს ჩადენილი და ჰარებიც პირველობას გადარჩეს.

სხვა კი ამ მატჩში ის ხდებოდა, რომ ინგლისელებმა თამაშითაც გული იჯერეს და გოლებითაც. აქედან პირველი სამი მარფის ანგარიშზეა. მეოთხე მარკ ოუენსმა შეაგდო, მეხუთეზე კი ზემოთ მოგახსენეთ. აღსანიშნავია, რომ ჭაბუკი ინგლისელები არც ამის მერე დამცხრალან და ამაზე მათ მიერ მიღებული ათობით ჯარიმა და გაფრთხილებაც მოწმობს. ისა, ზლაზვნას და მოედანზე სიარულს ჩვენმა ნაკრებმა მიგვაჩვია, თორემ, ინგლისელთა ზემოთ ნახსენებ მონდომებას საგანგებოდ არ გამოვყოფდით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| კოტ დივუარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| საამიროები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:10 | 0 |




შ.პ.ს. "ორქიდეა"
ჰოლანდიური ყვავილების მაღაზია
"ORCHID" Ltd.
Shop of Holland Flowers

ქვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

ჰოლანდიური ყვავილების ფირმა "ორქიდეა" გიწვევთ ჩვენს საყვავილეში

აქ თქვენ შეიძენთ ეგზოტიკურ ხეებს: პალმა, ჯუჯა ხეები (ბონსაი), ყვავილოვან მცენარეებს, ცოცხალ და ხელოვნურ ყვავილებს. ასევე გასაფორმებელ მასალას ოფისებისთვის, რესტორნების, კაფეებისა და სხვა ინტერიერისათვის. ჩვენთან ასევე შეგიძლიათ შეუკვეთოთ ცოცხალი და ხელოვნური ყვავილებისაგან დამზადებული კალათები, ეკიბანები, თაიგულები, საქორწილო თაიგულები. გაგიფორმებთ ღირსშესანიშნავ საღამოებს.

დიდი სიამოვნებით მიგიღებთ
ყოველდღე 9[00]-დან 21[00]-მდე
ჩვენი მისამართია:
ლეხელიძის ქ.18, ტელეფონი: 98 85 77 ფაქსი: 98 85 76

გოგი ახვლედიანის

სვეტი

# ქუჩები, ბურთები და ბიჭები

მოდით, მალაიზიაში წავიდეთ — იქ ყმაწვილები თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონატს.

წავიდეთ და ვუყუროთ.

ჩვენს ღლეში ჩავარდნილი კაცი უკეთესს ვერაფერს მოიმოქმედებს.

აი, მაგალითად მაროკო. ძაან გუნდია. ძაან — როგორი: ამ შავტუხა ყმაწვილებს უკვე შეგნებული აქვთ, რომ ფეხბურთი კარგახანია გასცდა კენწლაობის ფარგლებს. მათ გაურკვევიათ, რომ მწვანე მინდორი მხოლოდ ბურთის საგორაოდ არ გამოიყენება.

მაგრამ ჩვენ მალაიზიაში ვერ ჩავალთ.

მალაიზიაში ცხელა, ჩვენ კი სიცხეში თამაში არ შეგვიძლია.

ჩვენ ასევე არ შეგვიძლია თამაში ქარში, სიცივესა და წვიმაში.

ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენ თამაში შეგვიძლია, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონია და იქაც, ბედი არ გინდა? რემონტი იწყება.

ასე რომ, თუ რამეები ყირაზე არ დადგა, უახლოეს დროში ჩვენი თამაში შეუძლებელია.

ყირაზე დადგომა კი საქართველოში ძალიან ძნელი საქმეა — ან სადგისით უნდა გტანჯონ, ან ძალიან ძალიან უნდა შეგრცხვეს.

სირცხვილი და ფეხბურთი.

მდაა, რთული საკითხია.

განსაკუთრებით აქ და არა მალაიზიაში, სადაც მართლაც რომ მშვენიერი სტადიონები ჰქონიათ.

ახლა კიდევ სტადიონები. პირდაპირ, აღარ იცი, რა თქვა. მალაიზიაში ძალიან ცხელა და მწვანე მინდვრებზე დგანან 18-19 წლის ბიჭები, რომლებსაც უკვე თავიანთი დიდი კონტრაქტები აქვთ ისეთ კლუბებთან, რომელთა სახელის გახსენებაც ამ უსეზონობის დროსაც კი გულს სიხარულით აგივსებს — აი, ნამდვილი ფეხბურთი, აი ნამდვილი თამაშიო.

ნამდვილი ფეხბურთი — პატარა ბიჭების შესრულებით.

ტყუილი ფეხბურთი — დიდი ბიჭების შესრულებით.

როგორ მივაგნოთ ნამდვილ ფეხბურთს?

ნამდვილი ფეხბურთი შორს არ არის. ის სადღაც, მეზობელ ქუჩაზე დაიარება. მთავარი მისი შემოტყუებაა.

მეზობელ ქუჩაზე ჩვენებიც ნაღდ ფეხბურთს თამაშობენ, გადმოვლენ ჩვენ ქუჩაზე და ტყუილი თამაში გამოსდით.

ჩანს, ჩვენ ქუჩაზე ასფალტი აგია ცუდად და ბურთი კარგად ვერ დაგორავს.

არადა, ხალხმა უკვე ბევრი რამ მოასწრო.

ნიგერიელი ბიჭები მახსენდება. კანუ ოცი წლისა იყო,როცა ფეხბურთის თამაშის ნება არ მისცეს. ამ დროისთვის მას უკვე მოგებული ჰქონდა ჩემპიონთა თასი, ქვეყნის პირველობა და ოლიმპიური ოქრო.

ახლა კიდევ გამახსენდა სანდი ოლისე.

ეს ოლისე, ჩემი უვიცობის გამო, კარგა ხნიერი მოთამაშე მეგონა. ჩვენთან რომ უიღბლო ნიგერიელი ფეხბურთელი ბარი სალამი დაიარება, იმან ახსენა ერთხელ, მე და სანდი ტოლები ვართ, ოდესღაც ერთ გუნდში ვთამაშობდითო.

„უორლდ სოკერები“ გადავფურცლე და ვხედავ — სანდი ოლისე ოცდაორი წლისა ყოფილა, წლეულს კი გერმანიის ბუნდესლიგის საუკეთესო დაცვის დამხმარე ნახევარმცველადაც დაუსახელებიათ. პირდაპირ ასე წერია: „ფეხბურთელი ბავშვის სახითა და მძლავრი ფეხებითო“.

ასეა, ხალხი წინ მიდის და საუცხოოა, რომ ამ მარაქაში ჩვენი მოთამაშენიც ერევიან. ისინი დიდი კლუბების ზღურბლზე დგანან.

მაგრამ ჩვენ ქუჩაზე თამაში არ გამოდის.

ვგებ ქუჩაც არა გვაქვს და იმიტომ.

სხვის ქუჩაზე კი იცოცხლე, ოფლიც გვდის და სახელიც გაგვვარდნია.

ლოზუნგი: მივხედოთ ასფალტს ჩვენს ქუჩაზე!

მალაიზიაშიც ხომ გამოჩნდა, რომ ხალხი უვლის თავიანთ ქუჩებს.

# ყველა გზა რომში მიდის

მომავალ ხუთშაბათს რომში, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე ფეხბურთის სპეციალისტები და საქმეში ჩახედული პირები, იტალიის ფეხბურთელთა კავშირის და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტების სერჯიო კამპანას და ლუჩანო ნიცოლას თავკაცობით, გაარჩევენ საკითხს, რომელიც სერია A-ში მონაწილე გუნდებისთვის ხუთი არაევროკავშირელი ფეხბურთელის ყოლის და ერთდროულად თამაშის უფლებას ეხება. დღესდღეობით კლუბებს შეუძლიათ იყოლიონ და ათამაშონ მხოლოდ სამი არაევროკავშირელი.

საკითხი დააყენა „იუვენტუსის“ დირექტორმა ანტონიო გირაუდომ. ტურინელს მხარი სხვა რამდენიმე ბობოლა გუნდის ხელმძღვანელმაც აუბა და დავაც გაჩაღდა. ამბავმა, რა გასაკვირია, ქვეყნის ფეხბურთის მამუბამდეც მიაღწია. ფედერაციის პრეზიდენტმა ნიცოლამ გირაუდოს წინადადებას მხარი დაუჭირა, მისაწონი აზრიაო. ფეხბურთელთა კავშირის თავკაცმა კამპანამ კი — ჭკუას უხმეთ, ამით თანამემამულე ფეხბურთელებს გასაქანს ვუსპობთო. კამპანას წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ნიცოლამ იწყინა და მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. კამპანამ ტელევიზიას განუცხადა: „ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში, ესპანეთის გარდა, გუნდებს მხოლოდ სამი არაევროკავშირელი ფეხბურთელის ყოლის და თამაშის უფლება აქვთ. ერთადერთი ესპანეთია გამონაკლისი და იქაც რა ქაოსი და გაუგებრობაა, კარგად ხედავთ. უკვე იქაც დაიწყეს არაევროკავშირელთა სამმდე შემცირება. ჩვენ რომ ხუთამდე გავზარდოთ, მეზობელთა შეცდომის გამეორება გამოგვივა. მოკლედ, პირადად მე ხუთი არაევროკავშირელის დაშვებას არასწორად ვთვლი, რადგან ჩემი ქვეყნის ფეხბურთზე გული შემტკივა“. ამის საპირისპიროდ, ნიცოლას აზრით, გუნდებს განახლება სჭირდებათ და სულაც არ სურთ, საკუთარ თავს ავნონ.

გადაწყვეტილება კი, როგორც ითქვა, ხუთშაბათს გახდება ცნობილი. მართლაც რომ ყველა გზა რომში მიდის!

# «სკონტო» ერთი ქართველითაც მაგარია

ლატვიელი ქართველები „სკონტოს“ შემადგენლობაში ქვეყნის თასის ფინალში გავიდნენ და 17 ივნისს „დინაბურგს“ უნდა შეხვედროდნენ. ჩვენი ახალგაზრდა ლეგიონერებიც 13 ივნისის პოლონეთიდანვე უნდა გამგზავრებულიყვნენ ლატვიაში, მაგრამ ისე მოხდა, რომ ყველანი ძოძუაშვილთან ერთად თბილისს დაბრუნდნენ... მოკლედ, ჩვენებმა ფინალამდე სამი საათით ადრე ჩააღწიეს რიგამდე და სათადარიგოებში მოხვდნენ. ეს ჩალაძეს და სილაგაძეს ეხება, თორემ შეცვლაზე შესული ალეკო რეხვიაშვილი თამაშში კარგად ჩაერთო.

— თავიდან 0:1 ვაგებდით „დინაბურგთან“, მაგრამ ბოლოს 2:1 მოვიგეთ, — მითხრა დათო ჩალაძემ, — მე და ლევანი სათადარიგოებში ვიყავით და აღარც გავუყვანივართ სტარკოვს.

**— ჩემპიონატში რა მდგომარეობაა?**

— შვიდი ტურის შემდეგ 19 ქულით პირველ ადგილზე ვართ, ექვსი მატჩი მოვიგეთ და მხოლოდ „დინაბურგთან“, თასის ფინალისტთან დავამთავრეთ ფრედ. ეს მატჩი მე და ლევანს არ გვითამაშია, ინგლისში ვიყავით. მართალია, ფინალმაც უჩვენოდ ჩაიარა, მაგრამ ბიჭებმა ძალიან მოინდომეს.

**— შენს ანგარიშზე რამდენი გოლია?**

— შვიდ ტურში რვა გოლი გავიტანე. შედეგიანი ორი ტურის შემდეგ სამ მატჩში ბურთი ველარ შევაგდე და მხოლოდ ბოლოს გავტეხე ნავსი, 5:0 რომ მოვიგეთ „ვალმეირასთან“. ორი გოლი შევაგდე და ორიც საგოლე პასი გავაკეთე. მეორე ადგილზე ჩემი თანაგუნდელი მიხოლაპია 5 გოლით.

**— მაშ, დუბლიც უნდა გაახერხოთ?**

— მეორე ადგილზე მყოფ ივანე ჯუღელის „ბალტიკას“ ხუთი ქულით ვუსწრებთ, მესამეზეც ქართველებითვე დაკომპლექტებული „ვენდსპილია“, მოკლედ, თუკი ვინმეს სიტყვა ეთქმის ლატვიურ ფეხბურთში, პირველნი უდავოდ ქართველები ვართ...

**— ავსტრიაში რომ გიწვევდნენ, ხომ არ შეგხმიანებიან?**

— არა, მათ, ეტყობა, აქამდე უნდოდათ ჩემი გადაბირება. ახლა, რაკი ამდენი დრო გავიდა, ალბათ, დააკომპლექტეს გუნდები და აღარ შეგვეხმიანენ. თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში თამაში ყველაფერს მავიწყებს.

მამუკა ძვარაცხელია

ესპანეთის თასის ფინალისტის სევილიის „ბეტისის“ მთავარი მწვრთნელი ლორენსო სერა ფერერი გუშინწინ დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. იგი გუნდში ოთხი წლის წინ მივიდა და „ბეტისი“ ესპანეთის უმაღლეს დივიზიონში დააბრუნა, წელს კი თასების მფლობელთა თასზეც გაიყვანა, თუმცაღა, ესპანეთის თასის ფინალი 28 ივნისს გაიმართება და მასში უმწვრთნელოდ დარჩენილი „ბეტისი“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილ „ბარსელონას“ შეხვდება.

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკურმა კოორდინატორმა, ინგლისელთა ყოფილი მწვრთნელის ბობი რობსონის ექს-თანაშემწემ ნაკრებში — დონ ჰოუმ განაცხადა, ამიერიდან „არსენალის“ ბავშვთა გუნდებს გავწვრთნიო. ჰოუმ ლონდონელებს 1971 წელს „დუბლი“ შეასრულებინა. იგი „არსენალს“ 1984-86 წლებშიც წვრთნიდა, ბოლო სამი წელი კი ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკურ კოორდინატორად მუშაობდა. 59 წლის დონის თქმით, იგი სხვა კლუბის მიწვევას არ მიიღებდა, აი „არსენალი“ კი მისთვის სულ სხვაა.**

ესპანეთის ბოლო ტურის წინ ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლმა „ესტრემადურას“ პრეზიდენტმა პედრო ნიეტომ „რეალს“ და „ბარსელონას“ დიდი თანხა აღუთქვა თავისი კონკურენტების — „სელტას“ და „რაიო ვალეკანოს“ ბოლო ტურში დასამარცხებლად. ბოლოდან მეოთხე, ქვედა ლიგისთვის განწირული „ესტრემადურა“ „სელტას“ ორი, ხოლო „რაიოს“ მხოლოდ ქულით ჩამორჩება და ნიეტომაც ამიტომ სთხოვა შველა ესპანეთის ფეხბურთის ფლაგმანებს. თუმცა, ჯერ თავად სჭირდება მოგება გასვლით თამაშში „დეპორტივოსთან“.

**ავსტრალიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეოთხე მატჩიც მოიგო — ტაიტი 2:0 დაამარცხა. გოლები საფრანგეთის „ოსერის“ ნახევარმცველმა ნედ ზელიჩმა და პოლ ტრიმბოლიმ გაიტანეს. ახლა ავსტრალია 28 ივნისს და 5 ივლისს მიმოსვლით შეხვდება ახალ ზელანდიას, რომელმაც ფიჯის უმასპინძლა და 5:0 გაანადგურა. ორი გოლი ბრემენის „ვერდერის“ ყოფილმა ფორვარდმა უინტონ რუფერმა გაიტანა. ამათ შორის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის აზიის შესარჩევ ტურნირში მეოთხე ადგილზე გასულს შეხვდება.**

საუდის არაბეთის „ალ-ხილალი“ აზიის სუპერთასს დაეუფლა. კონტინენტის თასთა თასის მფლობელმა სუპერთასის განმეორებით შეხვედრაში სტუმრად 1:1 ითამაშა კორეის „ფუენგთან“ და ჯამში იმარჯვა. პირველი შეხვედრა არაბებმა 12 ივნისს შინ 1:0 მოიგეს.

**იტალიაში მილანის ორივე გუნდმა ერთი ამბავი ატეხა „ნაპოლის“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ანდრე კრუზზე. 28 წლის ფეხბურთელს სეზონის ბოლოს დაუსრულდა კონტრაქტი ნეაპოლელებთან და წასვლა ისურვა. ეს რომ „ინტერმა“ გაიგო, კრუზს აგენტები მიუგზავნა, რომელთაც განაცხადეს, ანდრე ჩვენ დაგვთანხმდაო. ეგრე არ უნდაო და „მილანმაც“ თავი წამოყო — მართალია, „ინტერთან“ არ გვინდა ურთიერთობის გაფუჭება, მაგრამ ვერც კრუზს შეველევითო.**

პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიომ, რომელიც ბობი რობსონთან ერთად მივიდა „ბარსელონაში“ „პორტუდან“, განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს ბობისთან ერთად გუნდს დატოვებს, რადგან, მიუხედავად ესპანეთის სუპერთასის, თასების მფლობელთა თასის მოგებისა, ასევე ჩემპიონთა ლიგაში და ქვეყნის თასის ფინალში გასვლისა, ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს. მან დასძინა, ალბათ იგივე დაემართება რობსონის შემცვლელ ვან გაალს, თუ პირველსავე სეზონში ჩემპიონობას ვერ მიაღწევსო.

**ინგლისის „შეფილდ იუნაიტედის“ თავკაცმა ჰოვარდ კენდალმა განაცხადა, ამ დღეებში „ევერტონის“ თავმჯდომარე პიტერ ჯონსონს შევხვდი და იქ ჩემს შესაძლო დაბრუნებაზე ვესაუბრეო. თავის დროზე კენდალი „ევერტონში“ თამაშობდა და გუნდთან ერთად 1970 წელს ჩემპიონიც გახდა. 1983 წელს იგი კლუბს მწვრთნელის რანგში დაუბრუნდა და ორჯერ ქვეყნის ჩემპიონატი, ასოციაციის თასი და ევროპის თასების მფლობელთა თასი მოაგებინა. მერე ბილბაოს „ატლეტიკოში“ მუშაობდა, 1990-ში კვლავ ორი წლით დაუბრუნდა „ევერტონს“. კენდალის თქმით, გადაწყვეტილებას ერთ კვირაში მიიღებს.**

ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიელი კაფუს თამაშით „რომა“ ისე მოიხიბლა, საფრანგეთის ოთხთა ტურნირის შემდეგ ფეხბურთელთან საუბარიც გააბა და კონტრაქტზეც დაითანხმა. იტალიელებმა კაფუს კლუბ „სან-პაულუდან“ ფაქსი მიიღეს, სადაც ბრაზილიელები 7 მილიონ 600 ათას დოლარს დაყაბულდნენ. თავად 27 წლის ფეხბურთელი „რომაში“ სამი წლით გადავიდა და წელიწადში 700 ათას დოლარს მიიღებს.

**საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, ჟოსელინ ანგლომამ, შესაძლოა, დატოვოს მილანის „ინტერი“. ანგლომა თურმე ესპანურ „ვალენსიას“ სდომებია, რომელიც კაი გვარიანი თანხის გადახდაზეც თანახმაა. არც 31 წლის ანგლომაა უარს. საბოლოოდ ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა, მანამდე კი ჟოსელინმა „ინტერის“ ჰონკონგური ტურნეს პირველ მატჩში იტალიელთაგან ერთ-ერთი ადგილობრივი გუნდის 8 : 0 გაცამტვერებაში მიიღო მონაწილეობა.**

ინგლისში მოთამაშე ჟუნინიომ განაცხადა, „მიდლსბროში“ რომ არ გავჩერდები, ცხადია, შესაძლოა, ინგლისიც დავტოვოო. მისი თქმით, ძალიან სურს ნაკრებში თამაში, ზაგალო კი თვალყურს ვერ ადევნებს მის საქმიანობას და ამიტომაც აღარ იწვევს. ჟუნინიომ დაიჩივლა, ბრაზილიაში მხოლოდ იტალიის და ესპანეთის ჩემპიონატებს აჩვენებენ. ამიტომაც ამ ქვეყნებში თამაშს ვისურვებდიო. სეზონის ბოლოს ინგლისის ასოციაციის და ლიგის თასების ფინალებში დამარცხებული ჟუნინიო მადრიდის „ატლეტიკომ“ და „ბეტისმა“ ისურვეს, თუმცა, საქმე ამაზე შორს ჯერ არ წასულა.

**ჰოლანდიელი ბრაიან როი, შესაძლოა, ინგლისის პირველ დივიზიონში გავარდნილი „ნოტინგემიდან“ ბერლინის „ჰერტაში“ გადაბარგდეს. 27 წლის თავდამსხმელმა, რომელიც ინგლისში იტალიის „ფოჯადან“ გადავიდა, განაცხადა, დაბალ ლიგაში თამაში არ მსურს და საერთოდაც, ალბიონზე არ გამიმართლაო. როის სატრანსფერო თანხა დაახლოებით სამი, სამნახევარი მილიონი დოლარი იქნება. „ნოტინგემის“ მენეჯერმა დეივ ბასეტმა თქვა, შეთანხმება მიღწეულია, ტრანსფერს მხოლოდ ხელმოწერა აკლიაო.**

გერმანიის ბუნდესლიგის ვერცხლის პრიზიორმა, ლევერკუზენის „ბაიერმა“ იტალიაში მიმავალი ბრაზილიელი პაულუ სერჟიოს სანაცვლოდ მეორე ოკეანისგაღმელი ემერსონი შეიძინა „გრემიოდან“. „კიკერის“ ცნობით, 21 წლის ემერსონის შეძენა 4 მილიონ 700 ათასი დოლარი დაჯდა. გერმანელთა ახლადშეძენილ ბრაზილიელს არანაირი ნათესაური კავშირი არ აქვს ინგლისურ „მიდლსბროში“ მოთამაშე ემერსონთან. ისინი მხოლოდ მოგვარეები არიან.

**ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა, ვინც ახლა „კოპა ამერიკაზე“ ირჯება, მადრიდის „რეალთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ბრაზილიელი ესპანეთის ყველაზე ტიტულოვან გუნდში 2002 წლამდე დარჩება, ამ დრომდე მისი შეძენის მსურველებს კი 100 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევთ. 24 წლის მცველმა განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ესპანეთის ჩემპიონატსაც, თასსაც და ჩემპიონთა ლიგასაც მოვიგებთო.**

საფრანგეთის ნაკრების წევრი პატრის ლოკო, შესაძლოა, რვა თვით ციხეში ჩასვან და ფულადი ჯარიმა დააკისრონ ორი წლის წინ პარიზის ქუჩებში ატეხილი დებოშისთვის. მაშინ ლოკომ ორი მანქანა (ერთი საკუთარი) დაამტვრია, რამდენიმე პოლიციელი შეურაცხყო და მაღაზიის ვიტრინები ჩალეწა. ლოკოს მეუღლემ სასამართლოს განუცხადა, იმ დროს შვილი გარდაგვეცვალა და პატრისი დეპრესიაში იყოო.

**შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსმა“ მორიგ იტალიელი, ამჯერად „პერუჯას“ 26 წლის თავდამსხმელი მარკო ნეგრი შეიძინა 3 მილიონ 700 ათას გირვანქად. მცველების — ლორენცო ამორუზოს და სერჯიო პორინის შემდეგ ნეგრი „რეინჯერსის“ მესამე იტალიელი ლეგიონერია. მარკომ გლაზგოელებთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

ინგლისის [illegible] მდინარეობს სასამართლო, სადაც პრემიერლიგის მატჩების შედეგების გაყალბებაში ეჭვმიტანილთა [illegible] საქმე ირჩევა. ბრალდებულთა წინააღმდეგ ახალ-ახალი სამხილი ფაქტები აღმოაჩინეს. ერთ-ერთმა გამომძიებელმა რობერტ რენიმ ფაშანუს სახლში 10 ათას გირვანქამდე ნაღდი ფული აღმოაჩინა. ამაზე ფაშანუმ თქვა, ეგ ოჯახის ფულია და ნურაფრის იმედი გექნებათო.

**იტალიელი რობერტო ბაჯო, შესაძლოა, „მილანიდან“ „სამპდორიაში“ გადავიდეს. სილვიო ბერლუსკონის გუნდში დაბრუნებულ კაპელოს არ დაუმალავს, რომ მომავალი მიზნებისთვის მას ბაჯო არ სჭირდება და მის ნაცვლად კარემბუ ისურვა. 26 წლის ფრანგი „სამპდორიას“ საკუთრებაა. ამიტომ „მილანმა“ გენუელებს შესთავაზა, ფრანგის სანაცვლოდ ბაჯოს მოგცემთ და ზედ ცოტაოდენ თანხასაც დავამატებთო.**

საფრანგეთის „ბორდოს“ მწვრთნელად მარსელის „ოლიმპიკში“ გადასული როლანდ კურბისის ნაცვლად 41 წლის გი სტეფანი დაინიშნა. იგი „ლიონის“ მწვრთნელი იყო და ეს გუნდი სეზონის დასაწყისში ჟან ტიგანასგან ჩაიბარა, მაგრამ იანვარში გაათავისუფლეს.

**იტალიის თასის მომგები „ვიჩენცა“ აუქციონზე შეისყიდა ინგლისურმა საინვესტიციო კომპანია „სტელიკანმა“. ბრიტანელებს სერია A-ში სეზონის დასაწყისში გადასული კლუბის შეძენა 13 მილიონ 500 ათას დოლარი დაუჯდათ. გუნდისთვის „სტელიკანს“ იტალიური ფირმაც ეპაექრებოდა, მაგრამ შუა აუქციონის დროს აპენინელებმა ბრძოლა შეწყვიტეს. ქალაქ ვიჩენცას მერმა მარინო კერეზიმინმ განაცხადა, ინგლისელების დიდი იმედი მაქვს, ვიცი მათი ფეხბურთისადმი დამოკიდებულება და მჯერა, „ვიჩენცას“ აღორძინებას საშველი დაადგაო. ოპტიმისტური საუბრის მერე მან შეშფოთება გამოთქვა, რომ, შესაძლოა, „ვიჩენცას“ გულშემატკივრებში კლუბის ინგლისელმა მეპატრონეებმა პოპულარობით ვერ ისარგებლონ. ისე კი, „ვიჩენცა“ პირველი იტალიური კლუბია, რომლის მფლობელებიც ინგლისელები არიან.**

გერმანიის 1995 და 1996 წლების ჩემპიონს, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ დორტმუნდის „ბორუსიას“, შესაძლოა, „პარმას“ ყოფილი და „პერუჯასგან“ სეზონის ბოლოს გათავისუფლებული ნევიო სკალამ უმწვრთნელოს. გერმანული პრესის ცნობით, სერია B-ში გავარდნილი „პერუჯას“ პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ სკალას, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი 2000 წლამდე ჰქონდა, გათავისუფლების წერილი მისცა. სკალა გუშინ ღამით ჩაფრინდა გერმანიაში. ვარაუდობენ, რომ იგი ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

## პოლონეთი

XXXIII ტური

ლეგია — ვიძევის მატჩს უნდა გაერკვია ჩემპიონატის ვინაობა. ვარშაველები 88-ე წუთზე 2:0 იგებდნენ. მერე „ვიძევის“ თავდამსხმელმა ერთი გაქვითა, 91-ზე სტუმრებმა გაათანაბრეს, ხოლო მსაჯის წამატებულ დროში ვიძეველმა მიხელიჩუკმა მესამე სამი ქულის მომტანი შეაგდო და მასპინძლები დაალონა. „ვიძევმა“ იმარჯვა 3:2 და ტურით ადრე ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

**პოლონია — გურნიკი 1:1, კრაკოვი — რუხი 3:5, ბელხატოვი — ოდრა 2:0, სტომილი — ლეხი 3:0, ლკს — ვისლა 5:0, ამიცა — გკს 2:0, ზაგლებიე — სოკოლი 3:0, რაკოვი — შლიონსკი 3:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 33 | 24 | 6 | 3 | 69:20 | 78 |
| ლეგია | 33 | 23 | 5 | 5 | 63:26 | 74 |
| გკს | 32 | 14 | 11 | 7 | 45:34 | 53 |
| ოდრა | 33 | 15 | 7 | 11 | 47:42 | 52 |
| ამიცა | 33 | 14 | 9 | 10 | 40:39 | 51 |
| პოლონია | 33 | 13 | 9 | 11 | 40:42 | 48 |
| ლკს | 33 | 12 | 10 | 11 | 52:45 | 46 |
| ზაგლებიე | 33 | 12 | 10 | 11 | 41:38 | 46 |
| სტომილი | 33 | 12 | 8 | 13 | 43:41 | 44 |
| რაკოვი | 33 | 11 | 11 | 11 | 34:34 | 44 |
| ლეხი | 33 | 11 | 10 | 12 | 39:39 | 43 |
| ვისლა | 33 | 10 | 9 | 14 | 28:40 | 39 |
| ბელხატოვი | 33 | 11 | 6 | 16 | 35:42 | 38 |
| გურნიკი | 32 | 10 | 7 | 15 | 36:43 | 37 |
| რუხი | 33 | 7 | 13 | 12 | 38:41 | 37 |
| კრაკოვი | 33 | 7 | 11 | 14 | 32:43 | 35 |
| შლიონსკი | 33 | 6 | 6 | 21 | 24:53 | 24 |
| სოკოლი | 33 | 5 | 6 | 22 | 18:64 | 21 |

# ევროპის საკლუბო ტურნირები

# ყველაფერი თავიდან იწყება

საფეხბურთო ცხოვრება კოსმოსური საუკუნის შესაფერისი ტემპით მიქრის. სულის მოთქმის საშუალებას აღარავის უტოვებს: არც ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს, არც — გულშემატკივრებს.

გასული სეზონის ევროთასების შედეგები ეს-ესაა შევაჯამეთ და ემოციები საბოლოოდ არც კი დამცხრალა, კარს კი ახალი სეზონი მოგვადგა სამი უპოპულარესი საკლუბო ტურნირის გარშემო ჩვეული ციებ-ცხელებით და მონაწილეთა უჩვეულო, სარეკორდო რაოდენობით — 188 კლუბი!

### ჩემპიონთა თასი

ევროთასებში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა ძირითადად ჩემპიონთა ლიგის გაფართოებამ განაპირობა. კონტინენტის უმაღლესი საკლუბო ჯილდოსთვის 16 ნაცვლად 24 კლუბი შეეცილება ერთმანეთს.

რვა კლუბი, თასის მფლობელი დორტმუნდის „ბორუსია“ და უეფას კოეფიციენტთა ცხრილში პირველ შვიდ ადგილზე მდგომი ქვეყნების ჩემპიონები ტურინის „იუვენტუსი“ (იტალია), მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი), „მონაკო“ (საფრანგეთი), მიუნხენის „ბაიერნი“ (გერმანია), „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „პორტუ“ (პორტუგალია) და „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) პირდაპირ ჯგუფურ ტურნირში დაიშვებიან და გათამაშებაში პირველი ეტაპიდან ჩაებმებიან (ჯგუფებში მონაწილეთა გასანაწილებელი კენჭისყრა 29 აგვისტოს ჩატარდება).

ჩემპიონთა თასზე დებულების თანახმად პირველად იასპარეზებენ ეროვნულ ჩემპიონატებში მეორე ადგილზე გასული გუნდები. ისინი კოეფიციენტთა ცხრილში რვა უმაღლეს ადგილზე განლაგებულ ქვეყანას წარადგენენ: იტალია — „პარმა“, ესპანეთი — „ბარსელონა“, საფრანგეთი — „პარი სენ ჟერმენი“, გერმანია — ლევერკუზენის „ბაიერი“, ჰოლანდია — როტერდამის „ფეიენოორდი“, პორტუგალია — ლისაბონის „სპორტინგი“, ინგლისი — „ნიუკასლ იუნაიტედი“, თურქეთი — სტამბოლის „ბეშიქთაში“. ეს კლუბები უეფას კოეფიციენტთა ცხრილში 8-16 ადგილებზე განლაგებულ ქვეყნების ჩემპიონებთან (სტამბოლის „გალათასარაი“ (თურქეთი), პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), ზალცბურგის „აუსტრია“ (ავსტრია), მოსკოვის „სპარტაკი“ (რუსეთი), „ლიერსი“ (ბელგია), „ბრონდბიუ“ (დანია), „გიოტებორგი“ (შვედეთი), ტრონდჰაიმის „რუსენბორგი“ (ნორვეგია), პრაღის „სპარტა“ (ჩეხეთი) ერთად მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიშვებიან. აქ კი უკვე ჩამოთვლილ ჩვიდმეტ მაღალრეიტინგიანს პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე (მატჩები ჩატარდება 23 და 30 ივლისს) უფრო დაბალკოეფიციენტიანი ქვეყნების ჩემპიონთა შორის 15 გამარჯვებული დაემატება.

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მონაწილეთაგან განთესილები არიან: „სიონი“ (შვეიცარია), „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია), ბუქარესტის „სტიაუა“ (რუმინეთი), ზაგრების „ქროაცია“ (ხორვატია), კიევის „დინამო“ (უკრაინა), ფამაგუსტის „ანორთოსისი“ (კვიპროსი), იერუსალიმის „ბეითარი“ (ისრაელი), ბუდაპეშტის მ.ტ.კ. (უნგრეთი), თბილისის **„დინამო“** (საქართველო), ბრანიკის „მარიბორი“ (სლოვენია), პორის „ჯაზი“ (ფინეთი), „მოზირი“ (ბელარუსი), „კოშიცე“ (სლოვაკეთი), რიგის „სკონტო“ (ლატვია) და ლოძის „ვიძევი“ (პოლონეთი).

აქედან გამომდინარე თბილისის „დინამოს“ პოტენციური მეტოქეები არიან: სოფიის ცსკა (ბულგარეთი), კრაკოვის „სილეკსი“ (მაკედონია), კიშინიოვის „კონსტრუქტორული“ (მოლდოვა), ბელგრადის „პარტიზანი“ (იუგოსლავია), „ვალეტა“ (მალტა), ეშის „ჯენესი“ (ლუქსემბურგი), ბაქოს „ნეფთჩი“ (აზერბაიჯანი), „აკრანესი“ (ისლანდია), ბელფასტის „კრუზეიდერსი“ (ჩრდ. ირლანდია), „ბერი თაუნი“ (უელსი), ტალინის „ლანტანა“ (ესტონეთი), ლონდონდერის „დერი სიტი“ (ირლანდია), ერევნის „პიუნიკი“ (სომხეთი), „გოტუ“ (ფარერები), შაულიაის „კარედა“ (ლიტვა). თბილისელთა კონკრეტულ მეტოქეს 9 ივლისის კენჭისყრა დაასახელებს.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამართულ თექვსმეტ ორთაბრძოლაში გამარჯვებულნი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში ითამაშებენ, დამარცხებულებს კი — უეფას თასის გათამაშებაში მოუწევთ გადაბარგება.

### თასების თასი

9 ივლისსვე შევიტყობთ თასების თასზე ჩვენი წარმომადგენლის ბათუმის **„დინამოს“** მეტოქის ვინაობასაც. აღსანიშნავია, რომ ბათუმის „დინამოც“ განთესილთა რიცხვშია კიდევ თოთხმეტ გუნდთან ერთად. ეს გუნდებია: „ზაგრები“ (ხორვატია), ბეერშევის „აპოელი“ (ისრაელი), ბუდაპეშტის „ვაშუტაში“ (უნგრეთი), დაუგავპილსის „დინაბურგი“ (ლატვია), აიდოვშინას „პრიმორიე“ (სლოვენია), ჰელსინკის ჰ.ი.კ. (ფინეთი), ბობრუისკის „ბელშინა“ (ბელარუსი), ბუქარესტის „ნაციონალი“ (რუმინეთი), დონეცკის „შახტიორი“ (უკრაინა), ნიქოზიის „აპოელი“ (კვიპროსი), ბრატისლავის „სლოვანი“ (სლოვაკეთი), „კილმარნოკი“ (შოტლანდია), „ვესტმანაეიარი“ (ისლანდია), აგრეთვე პოლონეთის წარმომადგენელი (ფინალი 29 ივნისს).


ჩემპიონთა თასი ბორუსიელ პაულო სოუზას ხელში

საქართველოს თასის ფინალისტის პოტენციურ მეტოქეთა სია კი ასეთია: სკოპიეს „სლოგა იუგომაგნატი“ (მაკედონია), კიშინიოვის „ზიმბრუ“ (მოლდოვა), ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია), განჯის „ქაიაფაზი“ (აზერბაიჯანი), სოფიის „ლევსკი“ (ბულგარეთი), ლურგენის „გლენავონი“ (ჩრდ. ირლანდია), „ბალცერსი“ (ლიხტენშტაინი), „ქუიმბრენ თაუნი“ (უელსი), კორადინოს „ჰიბერნიანსი“ (მალტა), დუბლინის „შელბურნი“ (ირლანდია), ერევნის „არარატი“ (სომხეთი), ლუქსემბურგის „უნიონი“ (ლუქსემბურგი), ტორსჰავნის „ჰაფნარ ბოლტფელაგი“ (ფარერები), აგრეთვე ესტონეთისა და ლიტვის წარმომადგენლები (ჯერ გაურკვეველია).

ამ გუნდებს შორის უძლიერესთ (მატჩები გაიმართება 14 და 28 აგვისტოს) ელიან თასების თასის პირველ ეტაპზე პირდაპირ დაშვებული კლუბები: „ვიჩენცა“ (იტალია), სევილიის „რეალ ბეტისი“ (ესპანეთი), „ნიცა“ (საფრანგეთი), „შტუტგარტი“ (გერმანია), კერკრადეს „როდა“ (ჰოლანდია), პორტუს „ბოავიშტა“ (პორტუგალია), ლონდონის „ჩელსი“ (ინგლისი), „ქოჩაელისფორი“ (თურქეთი), ათენის ა.ე.კ. (საბერძნეთი), გრაცის „შტურმი“ (ავსტრია), მოსკოვის „ლოკომოტივი“ (რუსეთი), „ეკერენი“ (ბელგია), სტოკჰოლმის ა.ი.კ. (შვედეთი), „ლუცერნი“ (შვეიცარია), „კოპენჰაგენი“ (დანია), „ტრომსო“ (ნორვეგია), პრაღის „სლავია“ (ჩეხეთი).

### უეფას თასი

ამ თასის გათამაშებაში 102 გუნდი გამოვა. თასის მფლობელი გელზენკირხენის „შალკე-04“ (გერმანია), ეროვნული ლიგებიდან გასული 79 კლუბი, ჩემპიონთა თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებული 16, ინტერტოტოს სამი გამარჯვებული და ამდენივე „ფეირ ფლეის“ რეიტინგში პირველ სამ ადგილზე მყოფი ქვეყნებიდან.

უშუალოდ პირველ ეტაპზე დაიშვებიან: მილანის „ინტერი“, რომის „ლაციო“, „უდინეზე“, გენუის „სამპდორია“ (იტალია), „ნანტი“, „ბორდო“, „მეცი“, „სტრასბური“ (საფრანგეთი), ლა კორუნიის „დეპორტივო“, მადრიდის „ატლეტიკო“, „ვალიადოლიდი“, ბილბაოს „ატლეტიკი“ (ესპანეთი), გელზენკირხენის „შალკე 04“, „ბოხუმი“, „კარლსრუე“, „მიუნხენ 1860“ (გერმანია), ენსხედეს „ტვენტე“, ამსტერდამის „აიაქსი“, არნემის „ვიტესი“ (ჰოლანდია), ლონდონის „არსენალი“, „ლივერპული“, „ლესტერ სიტი“, ბირმინგემის „ასტონ ვილა“ (ინგლისი), სტამბოლის „ფენერბაჩე“ (თურქეთი), ლისაბონის „ბენფიკა“, ბრაგის „სპორტინგი“, გიმარაეშის „ვიტორია“ (პორტუგალია), სულ 27 კლუბი, რომელთაც დაემატებათ ინტერტოტოს სამი გამარჯვებული და ჩემპიონთა თასიდან გამოსული 16 გუნდი.

კიდევ 16 კლუბი პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გაუვლელად დაუშვეს მეორე საკვალიფიკაციო ანუ შესარჩევ ეტაპზე: „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი), სალონიკის პ.ა.ო.კ., ირაკლიონის „ო.ფ.ი. კრეტა“ (საბერძნეთი), ვენის „რაპიდი“, ინსბრუკის „ტიროლი“ (ავსტრია), ვლადიკავკაზის „ალანია“, ვოლგოგრადის „როტორი“ (რუსეთი), „ბრიუგე“, „მუსკრონი“, ბრიუსელის „ანდერლეხტი“ (ბელგია), „ჰელსინგბორგი“, „მალმო“, „ორებრო“ (შვედეთი), „ჰერფოლგი“, „ვაილე“ (დანია), „ლილესტრიომი“ (ნორვეგია).

პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 40 გუნდი ითამაშებს. მათ შორის ფოთის **„კოლხეთი“**. ფოთელები, თბილისელთა და ბათუმელთა მსგავსად განთესილთა შორის მოხვდნენ შემდეგ კლუბებთან ერთად: ნევშატელის „ქსამაქსი“, ციურიხის „გრასჰოპერი“ (შვეიცარია), გლაზგოს „სელტიკი“, „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია), სპლიტის „ჰაიდუკი“ (ხორვატია), ბუდაპეშტის „უიპეშტ დოჟა“ და „ფერენცვაროში“ (უნგრეთი), სტავანგერის „ვიკინგი“, ბერგენის „ბრანი“ (ნორვეგია), „იაბლონეცი“ (ჩეხეთი), ბუქარესტის „დინამო“, გალაცის „ოცელული“ (რუმინეთი), პოლტავის „ვორსკლა“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ (უკრაინა), ნიქოზიის „აპოლონი“ (კვიპროსი), ტრნავის „სპარტაკი“ (ბულგარეთი), აგრეთვე პოლონეთის ორი და ისრაელის წარმომადგენელი.

ამ ეტაპის დანარჩენ მონაწილეთა სია კი ასეთია: „გორიცა“ (სლოვენია), ანიალანკოსკის „მიუპა“ (ფინეთი), მინსკის „დინამო“ (ბელარუსი), პრილეპის „პობედა“ (მაკედონია), ნოვი სადის „ვოივოდინა“ (იუგოსლავია), აგდამის „ყარაბაღი“ (აზერბაიჯანი), რიგის „დაუგავა“ (ლატვია), „რეიკიავიკი“ (ისლანდია), ბურგასის „ნეფტოხიმიკი“ (ბულგარეთი), ოტაჩის „ნისტრუ“ (მოლდოვა), „კოლრეინი“ (ჩრდ. ირლანდია), კარდიფის „ინტერ ქებლტელი“ (უელსი), ტალინის „ფლორა“ (ესტონეთი), „ბირკირკარა“ (მალტა), დუბლინის „ბოჰემიენსი“ (ირლანდია), „გრევენმახერი“ (ლუქსემბურგი), „კლაკსვიკარი“ (ფარერები), „პრინჩიპატი“ (ანდორა), აგრეთვე ლიტვისა და სომხეთის წარმომადგენლები.

**ინტერტოტოს** ტურნირი, მიუხედავად ორგანიზატორთა დიდი მონდომებისა, მაინც მეორეხარისხოვან შეჯიბრად დარჩა. მას ჯერაც იმან აუმაღლა ავტორიტეტი, რომ სამი გუნდი უეფას თასზე გამოსვლის უფლებას იძენს. კონტინენტის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების წარმომადგენლები ხშირად საერთოდ თავს იკავებენ ინტერტოტოზე გამოსვლისგან. ასეა წლეულსაც: იტალია, ინგლისი, ესპანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი გუნდებს არ გამოიყვანენ. მართალია, გერმანული, ფრანგული, ჰოლანდიური, ბელგიური კლუბები კი უხვად არიან და ეს გარკვეულ კომპენსაციას გვპირდება, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი უფრო ხშირად წამყვანი ფეხბურთელების გარეშე, ზოგჯერ სათადარიგო შემადგენლობითაც კი ასპარეზობენ. იმედი ვიქონიოთ, ახალი გათამაშება გამონაკლისი იქნება და ინტერტოტოზე არა მარტო დაძაბული (რაც ხშირად საშუალო დონის, მაგრამ თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრებით არის განპირობებული), მაღალი დონის თამაშებსაც ვიხილავთ.

# გამონაკლისის იმედით

დღევანდელ ნომერში წარმოგიდგენთ თორმეტივე ჯგუფის შემადგენლობას და პირველი ტურის კალენდარს. გათამაშების სისტემა კი უცვლელია: ჯგუფური ტურნირის მერე ექვსად დაწყვილებული თორმეტი გამარჯვებული შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების ჯამში გაარკვევს იმ ექვსეულს, რომელიც სამ, ასევე ორწრიან ორთაბრძოლაში გაითამაშებს უეფას თასის საგზურს.

**I ჯგუფი**

1. დუისბურგი (გერმანია)
2. ჰერენვენი (ჰოლანდია)
3. ოლბორგი (დანია)
4. პოლონია ვარშავა (პოლონეთი)
5. დინამო-93 მინსკი (ბელარუსი)

პირველი ტური
დინამო-93 — ჰერენვენი
ოლბორგი — პოლონია

**II ჯგუფი**

1. ბასტია (საფრანგეთი)
2. გრაცერი (ავსტრია)
3. სილკებორგი (დანი)
4. ჰრვატსკი დრაგოვოლიაცი ზაგრები (ხორვატია)
5. ებიუ ვეილი (უელსი)

პირველი ტური
დრაგოვოლიაცი — ბასტია
გრაცერი — სილკებორგი

**III ჯგუფი**

1. ოსერი (საფრანგეთი)
2. ანტვერპენი (ბელგია)
3. ლოზანა (შვეიცარია)
4. ნეა სალამინა ფამაგუსტა (კვიპროსი)
5. არდსი ნიუთაუნარდსი (ჩრდ. ირლანდია)

პირველი ტური
არდსი — ანტვერპენი
ლოზანა — სალამინა

**IV ჯგუფი**

1. კიოლნი (გერმანია)
2. სტანდარდი ლიეჟი (ბელგია)
3. არაუ (შვეიცარია)
4. მაკაბი პეტახ ტიკვა (ისრაელი)
5. კორკ სიტი (ირლანდია)

პირველი ტური
მაკაბი — კიოლნი
სტანდარდი — არაუ

**V ჯგუფი**

1. დინამო მოსკოვი (რუსეთი)
2. გენკი (ბელგია)
3. პანახაიკი პატრა (საბერძნეთი)
4. სტაბეკი ბეკესტუა (ნორვეგია)
5. ბოლტფელაგიდი-36 ტორსჰავნი (ფარერები)

პირველი ტური
ბოლტფელაგიდი — გენკი
პანახაიკი — სტაბეკი

**VI ჯგუფი**

1. ჰამბურგი (გერმანია)
2. სამსუნსპორი (თურქეთი)
3. ოდენსე (დანია)
4. ლეიფტური ოლაფსფიორდური (ისლანდია)
5. კაუნასი (ლიტვა)

პირველი ტური
ლეიფტური — ჰამბურგი
სამსუნსპორი — ოდენსე

**VII ჯგუფი**

1. ვერდერი ბრემენი (გერმანია)
2. ისტანბულსპორი (თურქეთი)
3. ესტერი ვაქშიო (შვედეთი)
4. ვაშაში ბუდაპეშტი (უნგრეთი)
5. უნივერსიტატე რიგა (ლატვია)

პირველი ტური
უნივერსიტატე — ისტანბულსპორი
ესტერი — ვაშაში

**VIII ჯგუფი**

1. ლომელი (ბელგია)
2. ჰაიდუკი კულა (იუგოსლავია)
3. ჰალმშტადი (შვედეთი)
4. კონგსვინგერი (ნორვეგია)
5. ტურკუ (ფინეთი)

პირველი ტური
კონგსვინგერი — ლომელი
ჰაიდუკი — ჰალმშტადი

**IX ჯგუფი**

1. ოლიმპიკი ლიონი (საფრანგეთი)
2. აუსტრია ვენა (ავსტრია)
3. ოდრა ვოძისლავი (პოლონეთი)
4. რაპიდი ბუქარესტი (რუმინეთი)
5. ჟილინა (სლოვაკეთი)

პირველი ტური
ჟილინა — აუსტრია
ოდრა — რაპიდი

**X ჯგუფი**

1. მონპელიე (საფრანგეთი)
2. გრონინგენი (ჰოლანდია)
3. ჩუკარიჩკი ბელგრადი (იუგოსლავია)
4. გლორია ბისტრიცა (რუმინეთი)
5. სპარტაკი ვარნა (ბულგარეთი)

პირველი ტური
გლორია — მონპელიე
გრონინგენი — ჩუკარიჩკი

**XI ჯგუფი**

1. ლოკომოტივი ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი)
2. ანთალიასპორი (თურქეთი)
3. პროლეტერი ზრენიანინი (იუგოსლავია)
4. მაკაბი ჰაიფა (ისრაელი)
5. პუბლიკუმი ჩელიე (სლოვენია)

პირველი ტური
პუბლიკუმი — ანთალიასპორი
პროლეტერი — მაკაბი

**XII ჯგუფი**

1. ტორპედო მოსკოვი (რუსეთი)
2. კელი რიდი (ავსტრია)
3. ირაკლისი სალონიკი (საბერძნეთი)
4. მერანი-91 თბილისი (საქართველო)
5. ფლორიანა (მალტა)

პირველი ტური
მერანი — ტორპედო
რიდი — ირაკლისი

**ჯგუფებში გამარჯვებულები ნახევარფინალში ასე დაწყვილდებიან:**

მატჩი № 1A) 4-10; მატჩი № 1C) 2-6; მატჩი № 1E) 11-8; მატჩი № 1B) 3-12; მატჩი № 1D) 5-1; მატჩი № 1F) 7-9

რაც შეეხება იმ კლუბებს, უეფას თასზე რომ გააგრძელებენ თამაშს, მათი ვინაობა ნახევარფინალში გამარჯვებულთა შორის, შემდეგ წყვილებში გაირკვევა: 1E — 1C, 1A — 1F, 1D — 1B.


**ქველი**

სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური

ზემოაღნიშნული სამსახური ემსახურება სააღრიცხვო-საბარათო სისტემაში გაერთიანებულ მოსახლეობას.

თითოეული ოჯახი უხდის ჩვენს სამსახურს 6 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთჯერ 2 ლარსა და 20 თეთრს. გამოძახებათა რაოდენობა შეზღუდული არ არის. მუშაობს უფასო სატელეფონო-საკონსულტაციო სამსახური. მომსახურებას გაგიწევთ მაღალკვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტებული ბრიგადები.

*ფორმდება ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან და ინდივიდუალურ პირებთან. ხელშეკრულების გაფორმება შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:*

1. ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქ. № 51. III სართული.
T. 95-02-22, 95-31-15
2. თემქა. № 5 სამშობიარო სახლი. T. 60-26-02
3. სამსახური „ქველის“ ადმინისტრაცია.

# მარიო ბასლერი: „ჩემი ავ-კარგიანი ბაიერნული წელიწადი"

**„სუპერ-მარიო", ალბათ მართლაც სუპერ-ადამიანია. სვამს, ეწევა, ბოჰემურ ცხოვრებას არ თაკილობს და მაინც ბრწყინვალე ფორმაშია. ბასლერმა წელს ოცნება აიხდინა — გერმანიის ჩემპიონი გახდა და „შპორტბილდში" განვლილი სეზონის თაობაზე თავისი შეხედულებები გამოაქვეყნა...**

*მეტსახელი:* სუპერ-მარიო

დაიბადა 1968 წლის 18 დეკემბერს ნოიშტატში

*განათლება:* დაამთავრა საშუალო სკოლა, სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ თავი მიანება.

*ოჯახი:* გაშორებულია მეუღლე ანკესთან, რომელთანაც ჰყავს ვაჟი მარსელი (6 წლის) და ქალიშვილი ალისა-კატარინა (2 წლის). ახლა მეგობარ ირის შელენბერგთან ცხოვრობს, მათ ორი თვის წინ ბიჭი შეეძინათ.

*სათამაშო კარიერა:* 1974-1984 წლებში ნოიშტატში თამაშობდა, 1984-1989 წლებში — „კაიზერსლაუტერნში", 1989-1991 — „ესენში", 1991-1993 — „ჰერტაში", 1993-1996 — ბრემენის „ვერდერში". 1996 წლიდან მიუნხენის „ბაიერნშია". ბუნდესლიგაში 40 გოლი გაიტანა.

გერმანიის ნაკრებში პირველად 1994 წლის 23 მარტს ითამაშა შტუტგარტში იტალიის წინააღმდეგ (2:1). ნაკრებში 22 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

1993 წელს სუპერთასი მოიპოვა, 1994-ში გერმანიის თასი და სუპერთასი. 1995 წელს ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი იყო 20 გოლით. 1996 წლის ევროპის ჩემპიონია, 1997 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა.

*მანქანა:* ჰყავს „ოპელ-ფრონტერა" და „მერსედეს SLK", რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო მანქანად მიიჩნევს.



ნუთუ ეს მართლა მე ვარ — გავიფიქრე, როცა ტელევიზორში ვნახე ის მომენტი, შეტევისას ბურთის დაკარგვის შემდეგ შტუტგარტელთა ნახევარმცველ კრასიმირ ბალაკოვს რომ გამოვეკიდე და ვარდნაში ბურთი ისე ავართვი, თითქოს ბრემენის „ვერდერის" ფეხბურთელი დიტერ აილტსი ვყოფილიყავი.

ბრემენი — ეს სიტყვა მე უმძიმეს წუთებს მაგონებს. აღარ მსურს, ცხოვრებაში განვიცადო ის, რაც იქ გადავიტანე. არ მსურს, ვიყო მეორე და თანაც ეს ჩემპიონატის ბოლო დღეს გაირკვეს, როგორც 1995 წელს მოხდა. მაშინ ბრემენელები მიუნხენში დავმარცხდით და დორტმუნდის „ბორუსიამ" გადაგვასწრო.



ბადრი კეთილაძის ფოტოზე მარიო ბასლერი თბილისში ყოფნის დროსაა აღბეჭდილი

„შტუტგარტთან" მატჩის წინ ჩემს თავს ვუთხარი — მარიო, დღეს შენ ჩემპიონი უნდა გახდე, თორემ, შესაძლოა, ბოლო ტურში, მიონხენგლადბახში კვლავ ყველაფერი დაკარგო. საბედნიეროდ, მეჰმეთ შოლი მწყობრში იყო და ჩვენს გუნდში თამაშობდა. მოედნის ცენტრში შავი საქმე უნდა შემესრულებინა, ამიტომაც არ ვაძლევდი გასაქანს ბალაკოვს. იმედი მაქვს, ეს ბერტი ფოგტსმაც ნახა...

მთელი წელი ვემზადებოდი გადამწყვეტი მატჩისთვის. რამდენი ოფლი დავღვარე. მე ხომ კარგად ვუწყი, რას ნიშნავს, როცა მთელი წლის გარჯა წყალში გეყრება და სანუკვარი ჯილდოს მაგიერ მხოლოდ მეორე ადგილს სჯერდები.

პირველ თვეებში ძალიან გამიჭირდა „ბაიერნში". აქ ბევრი რამ მეუცხოებოდა, მაგრამ უნდა შევეგუებოდი. უნდა როგორმე გადამეტანა, რომ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მცვლიდნენ. ეს კი ძალიან ხშირად ხდებოდა.

ერთხელ, საწვრთნელ ბანაკში, დაახლოებით 11 საათზე, უკვე ძილს ვაპირებდი, კარზე კაკუნი რომ მომესმა. ეს ჩვენი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი იყო. იგი სკამზე ჩამოჯდა და მითხრა: „მარიო, შენთვის ცუდი არ მინდა, მაგრამ როცა ვხედავ, რომ შენგან არაფერი გამოდის, რაიმე უნდა ვიღონო". მან მილანის „ინტერის" ფეხბურთელს იური ჯორკაეფს შემადარა და დასძინა: „ის უდიდესი ფეხბურთელია, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში, მაგრამ შენ მეტის გაკეთება შეგიძლია, თუ მოინდომებ". მას მერე ჯორკაეფს ტელევიზიით ვადევნებ თვალყურს. მოგვიანებით, როცა მე და ტრაპატონი კათხა ლუდს შევექცეოდით, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მწვრთნელი არ ცდებოდა, ისევე როგორც თომას ჰელმერი.

ვარჯიშის დროს ჰელმერი ჩემთან მოვიდა და მითხრა: „მარიო, შენ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ხარ, მაგრამ საკუთარ თავზე უნდა იმუშაო. შეგიძლია და უნდა მოინდომო, ის კი, როგორც შენ ახლა ვარჯიშობ, უბრალოდ სირცხვილია". პირველ წუთში გავიფიქრე — რა უნდა-მეთქი ამ კაცს, მაგრამ დავფიქრდი და მივხვდი, რომ თომასი სავსებით მართალი იყო.

მიონხენგლადბახში ოცნებას ავისრულებ, ჩემპიონის სინს ხელში დავიჭერ, რომელიც მხოლოდ ტელევიზორში მინახავს. მაისურს, რომელიც ამ თამაშზე მეცმევა, სამუდამოდ შევინახავ, იმ სამოსს კი, რომელიც „შტუტგარტთან" მეცვა და რომელშიც ჩემპიონი გავხდი, ჩემს საუკეთესო მეგობარს როჯერ ვიტმანს ვუსახსოვრებ. ამ ორივე მაისურზე 13 ნომერია ამოქარგული, ნომერი, რომლითაც გაისად აღარ ვითამაშებ. ჩემპიონი კი გავხდი, მაგრამ ცამეტს ჩემთვის ბევრი ბედნიერება არ მოუტანია — ტრავმები მაწუხებდა და თამაშებიც გამოვტოვე. წინ ერთი ნაბიჯით წავიწევ და მომავალ სეზონში 14 ნომრით ვითამაშებ, როგორც იოჰან კრუიფი. იმედი მაქვს, ეს რიცხვი კვლავ ჩემპიონის ტიტულს მომიტანს და მეც უკეთ და შედეგიანად ავითამაშდები. კლუბის ხელმძღვანელობამ იურგენ კლინსმანის 18-ნომრიანი მაისური შემომთავაზა, მაგრამ ასეთი პასუხისმგებლობისა და ტვირთის ზიდვის არც შესაძლებლობა მაქვს, არც სურვილი.

ასეთი დიდი სიხარული თუ მელოდა, რამდენიმე თვის წინ ვერც წარმოვიდგენდი. „ბაიერნში" მაშინ სიტუაცია აირია, ყველა ერთმანეთის განქიქებაზე იყო გადასული და არ მსურდა ისეთ გუნდში ყოფნა, სადაც ერთსულოვნება არ სუფევდა.

მაგრამ ამ თვეებში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. საერთო მიზანით გუნდი შეიკრა. ამის გამო კლუბის მენეჯერს ვუთხარი — თუ „ბაიერნი" მოისურვებს, კონტრაქტს ვადაზე ადრე ორი-სამი წლით გავაგრძელებ-მეთქი. „ბაიერნზე" უკეთესი გუნდი ჩემთვის არ არსებობს, არც აქ და არც საზღვარგარეთ.

„შტუტგარტთან" მატჩის დროსაც კი მე და ული ჰიონესი საპირისპირო აზრზე ვიდექით. საშინლად დავიღალე და გამოცვლა ვითხოვე. ვგრძნობდი, თითქოს გუნდს ველარაფრით დავეხმარებოდი. მაგრამ ული სკამიდან მიყვიროდა — მიდი, იბრძოლე, ნუ ჩერდებიო. ბოლო ძალები მოვიკრიბე და ბურთი საჯარიმოში რიცტელის დავასვი თავზე. ანგარიში 3:2 გახდა, მაგრამ იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ სიხარულის გამოხატვის უნარიც კი არ მქონდა. საოცრად ბედნიერმა, მაგრამ არაქათგამოცლილმა ვერ შევძელი თანაგუნდელებთან მიმერბინა და მათთან ერთად მეხალისა.

შეცვლის შემდეგ გასახდელში ჩავბობლდი, სკამზე დავეცი და სიგარეტს მოვუკიდე. ღონემიხდილი ვუცქერდი ტელევიზორს. 67-ე წუთი მიმდინარეობდა. „მსაჯო, ძალიან, ძალიან გთხოვ, დაამთავრე მატჩი და მე გერმანიის ჩემპიონი ვარ" — მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებდა მაშინ თავში.

როცა ძალები მოვიკრიბე, სტადიონზე ამოვედი და შევნიშნე, რომ გულშემატკივრები მიწყნარებულიყვნენ, ტრიბუნასთან მივედი და ტაშლების გაკეთება დავიწყე. ამით მინდოდა, მენიშნებინა — სწორედ ახლა საჭიროებენ გუნდს ყველაზე მეტად.

სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ „ფრაიბურგთან" ფრედ თამაშმა ჩვენ ჩემპიონის ტიტულამდე მიგვიყვანა. უბრალო მიზეზის გამო: ამ მატჩის შემდეგ დავრწმუნდით, რომ მოსაგები თამაში აუტსაიდერთან, აუცილებლად უნდა მოიგო.

სტადიონზე ჩემი ორი თვის ვაჟიშვილი მაურისი იყო. ის ძალიან პატარაა, მაგრამ მაინც მე მგავს. მეჰმედ შოლმა მას რომ დახედა, უეცრად წამოიძახა: „არა, ეს ბავშვი არ შეიძლება, შენი შვილი იყოს — ის ხომ ალკოჰოლიან სასმელებს არ ეტანება". შემდეგ შოლი მომიტრიალდა და მითხრა: „შენ პირველივე წელს შეეწყვე „ბაიერნს", ბევრმა ფეხბურთელმა ეს ვერ შეძლო". გამახარა თანაგუნდელის სიტყვებმა.

მე ლოთარ მათეუსითაც ვამაყობ. იგი მთელი წლის მანძილზე არა მხოლოდ ჩვენი კაპიტანი, არამედ საუკეთესო ფეხბურთელიც იყო. ამიტომ ღირსია, პირველმა აიღოს ხელში ჩემპიონის სინი, რადგანაც თუ ჯილდო მე მოვიხელთე, აღარავის გადავცემ.

ერთ რამეს კი უეჭველად გპირდებით. ჩემპიონის რანგში აღარავის მივცემ უფლებას, ჩემს თმას შეეხოს. გაისად, ალბათ, გიჟური თმის ვარცხნილობით მოგევლინებით...

თარგმნა
ერეკლე ძიძილაშვილმა

## ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1956 | პარიზი | რეალი მადრიდი — სტად დე რეიმსი | 4:3 |
| 1957 | მადრიდი | რეალი მადრიდი — ფიორენტინა (ფლორენცია) | 2:0 |
| 1958 | ბრუსელი | რეალი მადრიდი — მილანი | 3:2 |
| 1959 | შტუტგარტი | რეალი მადრიდი — სტად დე რეიმსი | 2:0 |
| 1960 | გლაზგო | რეალი მადრიდი — აინტრახტი ფრანკფურტი | 7:3 |
| 1961 | ბერნი | ბენფიკა ლისაბონი — ბარსელონა | 3:2 |
| 1962 | ამსტერდამი | ბენფიკა ლისაბონი — რეალი მადრიდი | 5:3 |
| 1963 | ლონდონი | მილანი — ბენფიკა ლისაბონი | 2:1 |
| 1964 | ვენა | ინტერი მილანი — რეალი მადრიდი | 3:1 |
| 1965 | მილანი | ინტერი მილანი — ბენფიკა ლისაბონი | 1:0 |
| 1966 | ბრიუსელი | რეალი მადრიდი — პარტიზანი ბელგრადი | 2:1 |
| 1967 | ლისაბონი | სელტიკი გლაზგო — ინტერი მილანი | 2:1 |
| 1968 | ლონდონი | მანჩესტერ იუნაიტედი — ბენფიკა ლისაბონი | 4:1 დ.დ. (1:1) |
| 1969 | მადრიდი | მილანი — აიაქსი ამსტერდამი | 4:1 |
| 1970 | მილანი | ფეიენოორდი როტერდამი — სელტიკი გლაზგო | 2:1 |
| 1971 | ლონდონი | აიაქსი ამსტერდამი — პანათინაიკოსი ათენი | 2:0 |
| 1972 | როტერდამი | აიაქსი ამსტერდამი — ინტერი მილანი | 2:0 |
| 1973 | ბელგრადი | აიაქსი ამსტერდამი — იუვენტუსი ტურინი | 1:0 |
| 1974 | ბრიუსელი | ბაიერნი მიუნხენი — ატლეტიკო მადრიდი | 1:1 დ.დ. (0:0) |
| | ბრიუსელი | ბაიერნი მიუნხენი — ატლეტიკო მადრიდი | 4:3 |
| 1975 | პარიზი | ბაიერნი მიუნხენი — ლიდს იუნაიტედი | 2:0 |
| 1976 | გლაზგო | ბაიერნი მიუნხენი — სენტ ეტიენი | 1:0 |
| 1977 | რომი | ლივერპული — ბორუსია მიონხენგლადბახი | 3:1 |
| 1978 | ლონდონი | ლივერპული — ბრიუგე | 1:0 |
| 1979 | მიუნხენი | ნოტინგემ ფორესტი — მალმიო | 1:0 |
| 1980 | მადრიდი | ნოტინგემ ფორესტი — ჰამბურგი | 1:0 |
| 1981 | პარიზი | ლივერპული — რეალი მადრიდი | 1:0 |
| 1982 | როტერდამი | ასტონ ვილა ბირმინგემი — ბაიერნი მიუნხენი | 1:0 |
| 1983 | ათენი | ჰამბურგი — იუვენტუსი ტურინი | 1:0 |
| 1984 | რომი | ლივერპული — რომა | 1:1 დ.დ. (1:1) პ. 4:2 |
| 1985 | ბრიუსელი | იუვენტუსი ტურინი — ლივერპული | 1:0 |
| 1986 | სევილია | სტიაუა ბუქარესტი — ბარსელონა | 0:0 პ. 2:0 |
| 1987 | ვენა | პორტუ — ბაიერნი მიუნხენი | 2:1 |
| 1988 | შტუტგარტი | ეინდჰოვენი — ბენფიკა ლისაბონი | 0:0 პ. 6:5 |
| 1989 | ბარსელონა | მილანი — სტიაუა ბუქარესტი | 4:0 |
| 1990 | ვენა | მილანი — ბენფიკა ლისაბონი | 1:0 |
| 1991 | ბარი | ცრვენა ზვეზდა ბელგრადი — ოლიმპიკი მარსელი | 0:0 პ. 5:3 |
| 1992 | ლონდონი | ბარსელონა — სამპდორია გენუა | 1:0 დ.დ. |
| 1993 | მიუნხენი | ოლიმპიკი მარსელი — მილანი | 1:0 |
| 1994 | ათენი | მილანი — ბარსელონა | 4:0 |
| 1995 | ვენა | აიაქსი ამსტერდამი — მილანი | 1:0 |
| 1996 | რომი | იუვენტუსი ტურინი — აიაქსი ამსტერდამი | 1:1 დ.დ. (1:1) პ. 4:2 |
| 1997 | მიუნხენი | ბორუსია დორტმუნდი — იუვენტუსი ტურინი | 3:1 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი

22 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალაიზია — ბელგია* | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| მაროკო — ურუგვაი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| კორეა — ბრაზილია* | 10,0 | 5,0 | 1,1 |
| სამხრეთი აფრიკა — საფრანგეთი | 6,5 | 3,4 | 1,3 |
| განა — აშშ* | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ირლანდია — ჩინეთი | 1,9 | 2,9 | 3,0 |

### კოპა ამერიკა. მეოთხედფინალი

21 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| პერუ — არგენტინა | 6,5 | 3,4 | 1,3 |
| ბოლივია — კოლუმბია | 1,7 | 3,0 | 3,6 |

22 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკვადორი — მექსიკა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ბრაზილია — პარაგვაი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

*ვარსკვლავით აღნიშნულ მატჩებზე ფსონები მიიღება მხოლოდ 21 ივნისს. 22 ივნის დადებული ფსონები გაუქმდება.*

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში.
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## CROCO-2

### ტირაჟი №40

სელტა — რეალი
დეპორტივო — ესტრემადურა
ერკულესი — ბილბაო
რაიო ვალეკანო — ბარსელონა
ესპანიოლი — ვალენსია
ეკვადორი — მექსიკა
მალაიზია — ბელგია
ირლანდია — ჩინეთი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

## პორტუგალია

# კოშტებში საუკეთესონი

50 წლის ჟორჟე ნუნუ პინტუ და კოშტა ის კაცია, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული „პორტუს" აღმავლობა და ვისაც ბევრი პორტუგალიის მთავარ საფეხბურთო მაფიოზს უწოდებს. მას აქვს მიზანი: ჩრდილო პორტუგალიელები სამხრეთელებს უნდა ჯობდნენ და „პორტუმ" ლისაბონელი გიგანტები, „სპორტინგი" და „ბენფიკა" უნდა დაჩრდილოს. ეს, პინტუ და კოშტას აზრით, პორტუელთა მისიაა. ბევრმა ასეთი ლოზუნგი მიუღებლად ჩათვალა, მაგრამ მრავლად აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ამაში საგანგაშო ვერაფერი ნახეს. მათი თქმით, ის რომ „პორტუს" სურს გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე ქვეყნის მეორე ქალაქის გუნდი, სრულიად ბუნებრივია. აგერ, იტალიაში „მილანი" და „იუვენტუსი" რომაულ გუნდებს არ ახარებენ, ინგლისში „მანჩესტერ იუნაიტედი" სჯობს ლონდონის კლუბებს, ესპანეთში კი „ბარსელონა" ყველა ღონეს ხმარობს, რათა მადრიდის „რეალსა" და „ატლეტიკოს" იგივე მოუხერხოს. 1984 წელს, ერთ-ერთი ზეიმისას, პინტუ და კოშტამ განაცხადა: „ჩრდილოეთს ლისაბონის ალარ ეშინია, ჩვენ ამიერიდან სულ ჩემპიონობას ვპირებთ".



მილანი — პორტუ. სამი მილანელის გარემოცვაში არტური ანგარიშის გახსნას მაინც ახერხებს

პინტუ და კოშტა „პორტუს" პრეზიდენტია. მის კლუბს, რომელიც 1893 წელს დაარსდა, 1985-მდე ქვეყნის ჩემპიონობა მხოლოდ შვიდჯერ ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ ბოლო 14 წელიწადში სახე იცვალა და ცხრაჯერ მიაღწია უძლიერესის წოდებას, ოთხჯერ მეორეზე გავიდა, ერთხელ, 1987-ში კი ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა.

დღევანდელი „პორტუს" ძლიერი მხარე საქმის ჩინებული ორგანიზაციაა. პინტუ და კოშტამ ლისაბონელი კონკურენტების სისუსტეები საფუძვლიანად შეისწავლა და გაითვალისწინა. უპირველესად, მან დაინახა, რომ თუ მეტოქეზე მეტი ფული გაქვს, კლუბიც მასზე ძლიერი გეყოლება. „ბენფიკას", მიუხედავად საოცარი ამბიციისა და უამრავი ტიტულისა, შედარებითი ფინანსური სისუსტე დიდ პრობლემებს უქმნიდა, „სპორტინგს" კი გროშიც არ ებადა. პინტუ და კოშტამ ისიც აღმოაჩინა, რომ საფეხბურთო კლუბი დიდი ბიზნეს-ოპერაციების ჩაწყობის საშუალებასაც გაძლევს და დიდი საქმიანობაც გაიჩაღა. მან ფეხბურთელებით ვაჭრობაშიც კარგი ფეხა გამოიჩინა, მაგრამ ისე რომ გუნდისთვის არა უვნია, რადგან ყოველთვის ზუსტად გამოიცნო — როდის, ვინ და რამდენად უნდა ეყიდა ან გაეყიდა.

სტატისტიკა კიდევ ერთ უცნაურ ფაქტზე მეტყველებს. ამ პრეზიდენტის ხელში „პორტუმ" უამრავი მწვრთნელი გამოიცვალა, მაგრამ მაინც წარმატებებს აღწევს. ჩამოვთვალოთ: ჩემპიონთა თასი გუნდს არტურ ჟორჟემ მოაპოვებინა, რომელიც ტომისლავ ივიჩმა შეცვალა. შემდეგ ცოტა ხნით კინიტო გაუძღვა გუნდს, მის შემდეგ კი ისევ ჟორჟე დაბრუნდა და მალე კარლოს ალბერტო და სილვათი შეიცვალა. შემდეგ იყო ისევ ივიჩი, რომელსაც უმალ მოუხდა გუდა-ნაბადის აკვრა და სკამის ბობი რობსონისთვის დათმობა. ინგლისელმა ორ სეზონში „პორტუს" ორი ოქროს მედალი მოაპოვებინა და „ბარსელონაში" გადაბარგდა, მისი ადგილი კი ანტონიო ოლივეირამ, პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა დაიკავა. დაგვეთანხმებით, ათ წელიწადში ამდენი მწვრთნელის შეცვლა ხუმრობა არაა.

საინტერესო ამბავს იგონებს პორტუგალიელი ჟურნალისტი ალბერტო და სილვა: „რობსონის მწვრთნელად მიწვევა „პორტუსთვის" ბრძნული გადაწყვეტილება გამოდგა. როდესაც ინგლისელი „სპორტინგმა" თანამდებობიდან დაითხოვა, მე მას „ბენფიკას" სტადიონზე შევხვდი. იგი ამ კლუბის სიმბოლოს, მოზემე არწივის ფრთის ქვეშ იდგა. „ეს არის კლუბი, რომელშიც სიამოვნებით ვიმუშავებდი" — მითხრა რობსონმა. „შეუძლებელია — ვუპასუხე მე — „ბენფიკა" არასდროს დაიქირავებს მწვრთნელს, რომელიც მისმა მთავარმა მეტოქემ გაუშვა". რობსონი მაინც თავისაზე იდგა, მომავალი კი გაურკვეველი ჰქონდა, თანაც ელოდა ფულს, რომელიც კონტრაქტის თანახმად „სპორტინგს" მართებდა. აი, ამ დროს ინგლისელს პინტუ და კოშტამ დაურეკა და სამსახური შესთავაზა, სწორედ ის, რომელმაც მას მრავალი წარმატება მოუტანა".

ახლა, როგორც მოგახსენეთ, „პორტუს" ანტონიო ოლივეირა წვრთნის. მას რობსონის მიერ ჩაყრილი საფუძველი არ დაუშლია, საქმეს გონივრულად მიუდგა და აგერ, გუნდი წლეულსაც ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა. სხვათაშორის, კლუბის აყვავებაში დიდ როლს ოლივეირას ძმა, იოახიმიც თამაშობს. იგი წარმატებული ბიზნესმენია, რომელიც სატელევიზიო და სარეკლამო საქმიანობაშია ჩათრეული.

— ხალხი ამბობს, რომ ჩვენ მსაჯებს ვქრთამავთ. ასეთ ჭორაობას შეჩვეული ვარ. ადრე ამბობდნენ, ფეხბურთელებს დოპინგს უკეთებენო — განაცხადა პინტუ და კოშტამ, ვისაც ცხადია არ ესიამოვნა, „ლეირიასა" და „პორტუს" წლევანდელი მატჩი, საეჭვო მსაჯობის გამო, ლამის ერთიანულ სკანდალად რომ იქცა.

ზემოხსენებული ჟურნალისტის, ალბერტო და სილვას თქმით, მთელი პორტუგალია „პორტუს" შეხვედრაში მსაჯობის საგანგებო კონტროლს ითხოვს. იგი ამბობს, რომ დღევანდელ ფეხბურთში ბევრი რამ მინდორს გარეთ, უმაღლეს დონეზე წყდება და ლოგიკურია, რომ პინტუ და კოშტა იმთავითვე ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა, სადისციპლინო და სხვა კომიტეტებში გავლენის მოპოვებას ცდილობდა. პრეზიდენტს ამ საქმიანობაშიც მიუღწევია წარმატებისთვის და თვითონ ქვეყნის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარე გამხდარა, მსაჯთა კომიტეტის შეფად კი თავისი წარმომადგენელი გაუყვანია.

ასეა თუ ისე, „პორტუ" დღეისათვის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია ევროპაში, ხოლო თავის ქვეყანაში ბადალი არ ჰყავს, ამას ბოლო სამი სეზონის საბოლოო ცხრილი ადასტურებს.

— ჩვენ ოცნებებით არ ვცხოვრობთ, მხოლოდ სინამდვილეს ვუწევთ ანგარიშს — ამბობს ანტონიო ოლივეირა. სინამდვილე კი ისაა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში მეოთხედფინალში გავიდა და გზად „მილანს" იტალიაში 3:2 მოუგო, ხოლო შინ 1:1 ეთამაშა.

„პორტუ" — „მილანის" შეხვედრა და ჟორჟე კოშტას ცხვირის ისტორია ფეხბურთის მოყვარულთ კარგად ემახსოვრებათ. ვისაც არ ახსოვს, მოკლედ შევახსენებთ: პორტუგალიელ კოშტას მწვრთნელმა ორივე შეხვედრაში „მილანის" ლიბერიელი ვარსკვლავის ჟორჟ ვეას მეურვეობა დაავალა. ამ წყვილის პირველ თამაშში დაწყებული ძიძგილაობა მეორეშიც გაგრძელდა და იმით დამთავრდა, რომ მატჩის შემდეგ გასახდელში ვეამ კოშტას მუშტი უთავაზა და ცხვირი გაუტეხა.

— მცველობა ჯანიან თამაშს მოითხოვს — თქვა მოგვიანებით კოშტამ — ცხადია, შენ შენი ფეხბურთი უნდა ითამაშო, მაგრამ უპირველეს ყოვლისა სხვას არ უნდა მისცე თამაშის საშუალება. მეტოქეს ვერ დაელოდები, უნდა ეჯგერო და ბურთი წაართვა. ფორვარდებს ეს არ სიამოვნებთ, მნიშვნელოვან თამაშებში კი ნერვები იჭიმება. ეს ყველაფერი გასაგებია. აი, რაც არ მესმის, საკუთარი თავის უკონტროლობა და ღირსების არქონაა. ვეამ საკუთარ თავს უღალატა. მე მასთან მართალი ვარ, რადგან შეურაცხმყოფელი არაფერი მითქვამს. ვიცი, ხალხი მეუბნება ლიბერიელის დონეზე ნუ დაეშვები, ნუ უჩივლებ, თავი დაანებე, მაგრამ ერთი მითხარით — თქვენ რას იზამდით, ვინმე ცხვირი რომ გაგიტეხოთ, შემდეგ კი იქით ცილი დაგწამოთ?

ჟორჟე კოშტა „პორტუს" პატრიოტია. იგი ამბობს, რომ ყოველთვის დიდ გუნდში თამაშზე ოცნებობდა და ახლა ოცნება აუხდა. თან როგორ, იგი თამაშობს დიდ გუნდში, რომელიც მის ქალაქშია. მაშ უცხოეთში წასვლა რაღა საჭიროა? ჟორჟე კოშტას აზრით ხომ ფული ყველაფერს არ ნიშნავს.

— „პორტუს" სიძლიერე ის გახლავთ, რომ მისი ყველა წევრი უბრალო მოვალეობას როდი იხდის, თამაშში გაცილებით მეტს აქსოვს. სწორედ ამიტომ ვიყავით წლეულს უფრო ძლიერნი, ვიდრე ბობი რობსონის მწვრთნელობისას — დასძენს კოშტა.

იმ მანქანას კი, შარშან ბობი რობსონი რომ ატარებდა ქალაქის ქუჩებში, ახლა გუნდის 23 წლის ბრაზილიელი მოთამაშე ჟარდელი დააქროლებს. ჟარდელის სრული სახელია მარიო ჟარდელ დე ალმეიდა რიბეირო. მისი ბიოგრაფია ზედმიწევნით ბრაზილიურია: თამაშს ქუჩაში დაეუფლა, საიდანაც რიო დე ჟანეიროს დიდმა გუნდმა „ვასკუ და გამამ" მოედანზე გადაიყვანა. ზედიზედ 3 წლის მანძილზე ჟარდელის გოლების წყალობით გუნდი რიოს ჩემპიონი ხდებოდა. 1993 წელს თავდამსხმელმა ახალგაზრდათა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შემდეგ კი პორტუ ალეგრეს „გრემიოში" გადავიდა — იქაც ბომბარდირი გახდა და ლიბერტადორესის თასი მოიპოვა.

— მე გოლებისთვის ვცხოვრობ. გოლის გატანა უდიდესი სიამოვნებაა და მწამს, „პორტუს" შემადგენლობაში უამრავს გავიტან — ამბობს ჟარდელი და სიტყვას პატიოსნად ასრულებს. სწორედ მან, თამაშში 61-ე წუთზე ჩართულმა, გაუტანა „მილანს" ორი გოლი.

— „მემკვიდრეობით" რობსონის მანქანა მივიღე. იქნებ გამარჯვების მისეული ნიჭიც მე დამრჩეს? — ხუმრობს ბრაზილიელი.

**პაპუნა ძიძია**

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუ | | 1:2 | 3:1 | 5:0 | 3:1 | 1:2 | 1:0 | 4:1 | 0:0 | 2:0 | 2:0 | 2:2 | 2:1 | 2:1 | 2:2 | 3:0 | 2:0 | 3:0 | 34 | 27 | 4 | 3 | 80:24 | 85 |
| 2 | სპორტინგი | 0:1 | | 1:0 | 1:0 | 4:1 | 4:0 | 3:1 | 3:0 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 4:0 | 0:0 | 2:0 | 34 | 22 | 6 | 6 | 55:19 | 72 |
| 3 | ბენფიკა | 1:2 | 1:0 | | 1:1 | 0:2 | 3:4 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 2:1 | 5:1 | 1:2 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 34 | 17 | 7 | 10 | 49:30 | 58 |
| 4 | ბრაგა | 2:1 | 1:0 | 1:1 | | 0:2 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 1:2 | 3:0 | 2:1 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 1:0 | 4:1 | 34 | 15 | 10 | 9 | 39:40 | 55 |
| 5 | გიმარაეში | 0:4 | 0:1 | 1:0 | 0:0 | | 1:2 | 0:4 | 0:1 | 3:1 | 4:1 | 3:2 | 3:0 | 1:0 | 3:0 | 2:0 | 2:4 | 3:0 | 4:2 | 34 | 15 | 8 | 11 | 51:46 | 53 |
| 6 | სალგეირუში | 0:1 | 0:3 | 0:1 | 3:0 | 0:0 | | 3:2 | 0:0 | 3:3 | 1:0 | 2:1 | 3:2 | 1:2 | 1:0 | 1:3 | 5:0 | 3:0 | 3:2 | 34 | 14 | 10 | 10 | 49:48 | 52 |
| 7 | ბოავიშტა | 0:2 | 2:1 | 1:1 | 3:0 | 2:2 | 5:0 | | 3:1 | 2:2 | 0:1 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 0:2 | 3:0 | 7:0 | 34 | 12 | 13 | 9 | 62:39 | 49 |
| 8 | მარიტიმუ | 0:2 | 1:2 | 2:0 | 1:1 | 1:2 | 3:1 | 2:2 | | 2:0 | 3:3 | 1:0 | 3:2 | 1:0 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 5:0 | 34 | 13 | 8 | 13 | 39:38 | 47 |
| 9 | ამადორა | 2:2 | 0:1 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 2:1 | 2:5 | 0:0 | | 3:0 | 2:1 | 2:0 | 2:2 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 34 | 12 | 11 | 11 | 39:38 | 47 |
| 10 | შავეში | 2:4 | 0:0 | 3:1 | 5:2 | 0:0 | 1:1 | 2:1 | 2:1 | 1:0 | | 1:1 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 4:1 | 34 | 12 | 10 | 12 | 39:45 | 46 |
| 11 | ფარენსე | 1:2 | 0:0 | 1:2 | 2:2 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 0:2 | | 1:1 | 0:2 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 4:0 | 2:1 | 34 | 10 | 12 | 12 | 34:34 | 42 |
| 12 | სეტუბალი | 1:3 | 1:0 | 0:2 | 1:1 | 4:0 | 1:1 | 2:2 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 0:1 | | 2:0 | 1:0 | 1:1 | 0:2 | 4:1 | 1:0 | 34 | 10 | 10 | 14 | 38:42 | 40 |
| 13 | ბელენენსეში | 0:2 | 2:2 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 2:4 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 1:2 | 2:1 | | 0:4 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 34 | 10 | 10 | 14 | 37:50 | 40 |
| 14 | ლეცა | 2:4 | 0:1 | 1:5 | 0:0 | 1:1 | 3:1 | 1:3 | 1:0 | 1:1 | 3:2 | 0:0 | 0:2 | 3:2 | | 3:2 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 34 | 9 | 9 | 16 | 33:42 | 36 |
| 15 | რიუ ავე | 0:1 | 3:4 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 2:3 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 4:1 | 2:0 | | 0:3 | 3:1 | 0:2 | 34 | 8 | 11 | 15 | 35:42 | 35 |
| 16 | ესპინიუ | 0:5 | 1:3 | 0:3 | 0:1 | 1:4 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 0:3 | 0:1 | 0:2 | 1:2 | | 1:0 | 1:0 | 34 | 9 | 6 | 19 | 27:56 | 33 |
| 17 | ლეირია | 0:3 | 1:0 | 0:2 | 1:2 | 2:3 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:2 | | 2:0 | 34 | 8 | 6 | 20 | 25:53 | 30 |
| 18 | ჟილ ვისენტე | 0:3 | 0:3 | 0:3 | 1:1 | 1:1 | 1:3 | 2:4 | 1:2 | 0:1 | 3:0 | 1:1 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 2:2 | 1:0 | 3:4 | | 34 | 4 | 7 | 23 | 29:74 | 19 |

თასის ფინალი: ბოავიშტა — ბენფიკა 3:2

## Futebol Clube do Porto

დაარსდა 1893 წელს.
პორტუგალიის ჩემპიონი 1935, 39, 40, 56, 59, 78, 79, 85, 86, 88, 90, 92, 93, 95, 96, 97 წლებში.
პორტუგალიის თასის მფლობელი 1922, 25, 32, 37, 56, 58, 68, 77, 84, 88, 91, 94 წლებში.
1987 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის, ევროპის სუპერთასის და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი.

### მწვრთნელი

### ანტონიო ოლივეირა



დაიბადა 1952 წლის 10 ივნისს პენაფიელში. ფეხბურთელობისას თამაშობდა მშობლიურ „პენაფიელში", „პორტუში", ლისაბონის „სპორტინგში" და ესპანეთის „ბეტისში". პორტუგალიის ნაკრებში 24-ჯერ ითამაშა და 7 გოლი გაიტანა. 80-იანი წლების ბოლოდან მწვრთნელად მუშაობს. წვრთნიდა „გიმარაეშს" (1987), „კოიმბრას" (1988-89), „ჟილ ვისენტეს" (1991-92), „ბრაგას" (1992-94) და პორტუგალიის ნაკრებს (1994-96). შარშანდელი ზაფხულიდან „პორტუს" მწვრთნელია.

### შემადგენლობა

**მეკარეები**

ანჯეი ვოზნიაკი, პოლონეთი 23.10.1965
ლარს ერიქსონი, შვედეთი 21.09.1965
ილარიუ 21.10.1975

**მცველები**

ჟოაო პინტუ 21.11.1961
რუი ჟორჟე 27.03.1973
ალოიზიუ, ბრაზილია 16.08.1963
ლულა, ბრაზილია 15.05.1966
ჟორჟე კოშტა 14.10.1971
ფერნანდუ 5.11.1966

**ნახევარმცველები**

ედმილსონი, ბრაზილია 17.09.1971
ზლატკო ზაჰოვიჩი, სლოვენია 1.02.1971
სერჟიო კონსეისაუ 15.11.1974
ჟოზე ბაროსო 26.08.1970
არნოლდ ვეტლი, ავსტრია 2.02.1970
რუი ბარუში 24.11.1965
პაულინიუ სანტუში 21.11.1970

**თავდამსხმელები**

დომინგუში 2.01.1969
ანტონიო ფოლია 21.05.1971
ლუბინკო დრულოვიჩი, იუგოსლავია 11.09.1968
არტური, ბრაზილია 27.02.1969
მარიო ჟარდელი, ბრაზილია 18.09.1973
ჟოაკიმ კლინზინიუ, ანგოლა 4.03.1974

# სკანდალების სეზონი

პორტუგალიურ ფეხბურთს არასდროს აკლდა სკანდალები, მაგრამ წლევანდელი სეზონი მაინც გამორჩეული იყო, თუმცა ამაზე მოგვიანებით, ახლა კი, ტრადიციულად, ევროთასებზე ამ ქვეყნის წარმომადგენლობას გავეცნოთ.

ჩემპიონთა ლიგაში პორტუგალიას ორი გუნდი წარადგენს, უფრო სწორად, „პორტუ" პირდაპირ ლიგაშია დაშვებული, ლისაბონის „სპორტინგი" კი შესარჩევ წრეში გადაწყვეტს ლიგაში მოხვედრა-არმოხვედრის საქმეს. თასების თასზე ჩვენი ნაცნობი „ბოავიშტა" ითამაშებს, თუმცა კი უკვე საუკეთესო ბომბარდირის ჯიმის გარეშე, ვინც ინგლისურ „ლიდსში" გადავიდა. ტრადიციულად, სამი გუნდი — ამჯერად „ბენფიკა", „ბრაგა", „გიმარაეში" — ჩაებმებიან უეფას თასის გათამაშებაში. ბარემ აქვე მაჩანჩალებზეც ვთქვათ: პირველი დივიზიონი „ჟილ ვისენტემ", გასულ სეზონში მეშვიდე ადგილზე გასულმა „უნიაუ ლეირიამ" და შარშან გადმოსულმა „ესპინიუმ" დატოვეს, მათ ნაცვლად კი ახალ სეზონში 1996-ში გავარდნილი და წლეულს დაბრუნებული „კამპომაიორენსე", აგრეთვე „კოიმბრა" და „ვარზიმი" ითამაშებენ.

ახლა კი სკანდალებს დავუბრუნდეთ. არათუ ახალი, ამ სეზონში ძველიც ბევრი უმსგავსო გამოიჩხრიკა, მაგრამ ახლა მხოლოდ ამ წლის ამბები გავიხსენოთ.

სეზონი როგორც დაიწყო, ისევე დამთავრდა — „ბენფიკას" წარუმატებლობით: სექტემბერში მან სუპერთასზე წააგო „პორტუსთან" 0:5 (იმ თამაშისას „ბენფიკას" საკლუბო ფოტოგრაფი და ერთი გულშემატკივარი გულის შეტევით გარდაიცვალნენ), აგერ ამ თვეში კი თასის ფინალიც დათმო „ბოავიშტასთან". მოკლედ, სახელგანთქმული კლუბი წლეულს მთლად უტიტულოდ დარჩა და, ცხადია, საკუთარი გულშემატკივრების თუ პრესის რისხვაც „ბენფიკას" მუდმივი თანამგზავრი გახდა. 120-ათასიან სტადიონზე 5 ათასი კაცის მისვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს კი არა, საქმე იქამდეც მივიდა, რომ „სალგეირუშთან" შინ 3:4 დამარცხების მერე აღშფოთებული გულშემატკივრები კლუბის შტაბ-ბინას მიადგნენ და თავმჯდომარის გადადგომა მოითხოვეს. და იცით, ვინ ხელმძღვანელობდა ამ აქციას? გენერალი ბრუნო ალმეიდა, ვინც 1975 წელს ქვეყანაში მომხდარი სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი თაოსანი იყო. აი, სადამდე მივიდა საქმე.

კარგ დღეში არც ლისაბონის მეორე გუნდი, „სპორტინგი" იყო. მართალია, ნოემბერშივე „ლეირიასთან" 0:0-ის მერე კლუბის ხელმძღვანელობამ ბელგიელი მწვრთნელი რობერ ვესი სამშობლოს გზას გაუყენა, მაგრამ საქმეს ამითაც არაფერი ეშველა — „პორტუსთან" უდიდესი ჩამორჩენა ოდნავლა შემცირდა.

ეს კი არა, თვით სეზონის ლიდერის, „პორტუს" რიგებშიც ვერ იყო საქმე მთლად დალაგებული. მაგალითისთვის „ამადორასთან" მატჩში მომხდარი ინციდენტიც კმარა. ეს თამაში ფედერაციამ კვირის ნაცვლად პარასკევს ჩაატარა, რათა „პორტუს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის" წინაამდეგ დასვენებულს ეთამაშა. დასვენება კი არა, იმ შეხვედრაში პორტუელებმა, ჩვენს კარში პენალტის დანიშვნა როგორ გაბედაო, მსაჯი სცემეს. ამან მაყურებელთა მოედანზე შეჭრა და დიდი ჩხუბი გამოიწვია. შედეგად, „პორტუ" ინგლისში აფორიაქებული ჩავიდა და „მილანის" მომგებმა იქ სამარცხვინოდ, 0:4 წააგო.

ასეთი ამბები სხვაც ბევრი იყო, თუმცა ყველაფერს ეროვნულ გუნდში მომხდარმა კონფლიქტმა გადააჭარბა, როცა ჩრდილო ირლანდიაში გამგზავრების წინ ფეხბურთელმა სა პინტუმ მთავარი და მეორე მწვრთნელი და გასაშველებლად მივარდნილი ოსეანუ გალახა. ასეთი რამ პორტუგალიისთვისაც კი ნამეტანი გამოდგა — ქვეყნის ტელევიზიის ერთმა წამყვანმა იმ საღამოს პირდაპირ ეთერში იკითხა: ნეტავ რაში იღებენეს ჩვენი ფეხბურთელები კვირაში 30 ათას დოლარს, იმდენს, რასაც მოსახლეობის უმეტესობა რამდენიმე წელიწადში ვერ იშოვისო.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მარიო ჟარდელი (პორტუ) | 30 |
| ჯიმი (ბოავიშტა) | 20 |
| ერიკ გაუჩო (ამადორა) | 16 |
| ჟარდიმი (ლეცა) | 15 |
| ნუნუ გომეში (ბოავიშტა) | 15 |
| მლადენ კაროგლანი (ბრაგა) | 14 |
| ჟილმარი (გიმარაეში) | 13 |
| ედმილსონი (მარიტიმუ) | 12 |

# უიმბლდონი

**ჩოგბურთის ყველა მოყვარულმა იცის, რომ უიმბლდონის ტურნირი, რომელიც 23 ივნისს 111-ედ დაიწყება, საფრანგეთის, ავსტრალიისა და აშშ-ის ღია პირველობებთან ერთად ეგრეთ წოდებულ დიდი სლემის ტურნირებში შედის და აქ გამარჯვება ყველა ჩოგბურთელის ოცნებაა. და თუმცა დიდი სლემის ყოველ ტურნირში გამარჯვება პრესტიჟულია, უიმბლდონი მაინც სულ სხვაა — იგი ხომ სპორტული სანახაობის გარდა, ერთგვარი ცხოვრების წესის, ეტიკეტის, მოდის და ტრადიციების რიტუალური დღესასწაულია და ამ დღესასწაულში მონაწილე მოთამაშეცა და მაყურებელიც ამ ატმოსფეროს თანაზიარი ხდება. თუმცა, ისტორიით დავიწყოთ...**

### როგორ იწყებოდა უიმბლდონი

1877 წლის 2 ივნისს ლონდონელ არისტოკრატთა კლუბმა, „სრულიად ინგლისის კროკეტის კლუბად" რომ იწოდებოდა და უორპლ-როუდზე მდებარეობდა, გადაწყვიტა, თავისი კლუბის ბალახიან საფარზე საცდელი პირველობა გაემართა „ლოუნ ტენისში" (მდელოს ჩოგბურთი). შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამ ტურნირის მოწყობა დაევალა. იმავე წლის 9 ივლისს ჩაეყარა საფუძველი უიმბლდონის ტურნირს. მოთამაშეები მონაწილეობისთვის 1 ფუნტსა და 1 შილინგს იხდიდნენ. მონაწილე კი სულ 22 იყო — მხოლოდ მამაკაცები. უიმბლდონის პირველ ფინალს, 1877 წლის 19 ივლისს რომ გაიმართა, 200 მაყურებელი დაესწრო და მასში გალარიბებულმა არისტოკრატმა 27 წლის სპენსერ გორმა გაიმარჯვა. ჩემპიონატის პირველი სპონსორი იყო ჟურნალი „ფილდსი", რომლის ფურცლებზეც გამარჯვებულმა გორმა ჩოგბურთს უწინასწარმეტყველა: „ეს თამაში იმდენად მონოტონურია, ალბათ, დიდხანს ვერ გაძლებს". საბედნიეროდ, პირველი ჩემპიონის სიტყვები არ გამართლდა. უიმბლდონზე შეჯიბრებები გაგრძელდა და 1884 წელს მამაკაცებს ქალებიც შეუერთდნენ.



მარტინა ნავრატილოვა

### იქ, სადაც მეფენიც თავისი ფეხით მიდიან

უიმბლდონის ტურნირი თავიდანვე იქცა არისტოკრატთა თავშეყრის ადგილად, რომელზე დასწრებაც თავისთავად ნიშნავდა, რომ მავანი იქ მყოფი არისტოკრატი რაღაცას წარმოადგენდა ელიტარულ სამყაროში. ამას მალე ისინიც მიხვდნენ, ვისაც თავისი „ცისფერსისხლიანობის" მტკიცება და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება კი არ ესაჭიროებოდა, არამედ საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებისკენ ისწრაფვოდა. პირველად, „მეფური სისხლის" წარჩინებულთაგან ტურნირს 1895 წელს ავსტრიის პრინცესა სტეფანია დაესწრო. ინგლისელი მონარქები უიმბლდონზე მოგვიანებით გამოჩნდნენ და მერე არა მხოლოდ გამოჩნდნენ — უელსის პრინცი „სრულიად ინგლისის კროკეტის კლუბის" პრეზიდენტიც კი გახდა. მეფე გეორგ V კი სულაც ამ კლუბის პატრონი იყო 1910 წლიდან გარდაცვალებამდე (1936). ტურნირს კიდევ ბევრი მონარქი ახსოვს, უშუალოდ ტურნირში კი მხოლოდ ერთს უასპარეზია — 1936 წელს ედუარდ VII-ს გამოსვლას წარმატებული არ ეთქმოდა.

### უიმბლდონი და მოდა

ყველას კარგად მოეხსენება ინგლისელთა კონსერვატიზმი. ისიც ცნობილია, რომ ამ ქვეყანაში დამკვიდრებული ადათ-წესების შეცვლა არც თუ იოლია. თავიდანვე დაწესდა, რომ უიმბლდონის მონაწილეები ერთიანად თეთრებში უნდა შემოსილიყვნენ. მამაკაცები თეთრ ფეხსაცმელებში, შარვლებსა და გრძელ მკლავიან პერანგებში ასპარეზობდნენ, ქალები — კოჭებამდე გრძელ ქვედაკაბებსა და მაჯებამდე შეკრულ ბლუზონში. რა თქმა უნდა, ახალი მოდის შემომტანნი ისევ და ისევ ქალები აღმოჩნდნენ. 1905 წელს ამერიკელმა მერი სატონმა მაჯებზე ღილები შეიხსნა, სახელოები აიწია და ხელები მთლიანად გამოაჩინა, რასაც მაყურებელთა აღშფოთება მოჰყვა. მაგრამ ხელებს კიდევ რა უშავდა! 1919 წელს გენიალურმა ჩოგბურთელმა შემდგომში უიმბლდონის 6-გზის გამარჯვებულმა ფრანგმა (აბა, სხვა ვინ გაბედავდა) სიუზან ლენგლენმა საკუთარი ფეხების ხილვაც შესთავაზა მაყურებელს. უიმბლდონის ვიქტორიანული პუბლიკა კინაღამ გადაირია! მაგრამ ქალმა თავისი გაიტანა და უიმბლდონზე მოკლე ქვედაბოლო დაამკვიდრა, რითაც ყველა მონაწილე ჩოგბურთელი ქალის მადლიერება დაიმსახურა.

### ტრადიციები, ტრადიციები

უიმბლდონის კორტებზე ყველაფერი, რისი შეღებვაც შეიძლება, მწვანედაა შეფერილი. ამ ტრადიციას ვერავინ არღვევს, რადგან მას მეცნიერული საფუძველიც აქვს — ბურთი ყველაზე კარგად მწვანე ფონზე მოჩანს. თვითონ ბურთი კი აუცილებლად თეთრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 1986 წელს ეს წესი შეიცვალა და ჩოგბურთელებს ყვითელი ბურთებიც შესთავაზეს.

უიმბლდონზე გამარჯვებულის დაჯილდოების ცერემონიალი მკაცრადაა განსაზღვრული. მოიგებს თუ არა ფინალისტი უკანასკნელ ქულას, ყველაფერი წუთი წუთზეა გათვლილი. ამ ცერემონიალში მონაწილე კორტის მსახურნი ისე არიან მიჩვეულნი თავიანთ საქმეს, რომ უკვე ავტომატურად მოქმედებენ, ამიტომ დაჯილდოების ცერემონიალს ყოველთვის ერთი და იგივე დრო მიაქვს. გამონაკლისი 1987 წელი იყო, როდესაც გამარჯვებულმა ავსტრალიელმა პატ კეშმა ივან ლენდლის დამარცხებით გამოწვეული სიხარული ვერ მოთოკა და ტრიბუნაზე აიჭრა თავის ნათესავებთან. ამის გამო დაჯილდოებამ 3-4 წუთით დაიგვიან.

### ცენტრალური კორტი

ცენტრალური კორტი, რა თქმა უნდა, უიმბლდონის მშვენებაა. აქ ელიტარული საზოგადოების გამორჩეულთა თავშესაყარია და არისტოკრატ მშობლებსაც ძალიან გაუხარდებათ, თუ მათი შვილი თავის მომავალ მეუღლეს აქ უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე გაიცნობს — თავისთავად ცხადია, რომ იგი მაღალი წრიდან იქნება. რა თქმა უნდა, ეს ტრიბუნაზე მჯდომ ყოველ მაყურებელს არ ეხება. საზოგადოებამ იცის, ვინ რომელ სექტორში ზის. 15 000-იდან (ამდენს იტევს ცენტრალური კორტი) ბევრი ადგილი „სრულიადინგლისის კროკეტის კლუბის" წარმომადგენლებს უჭირავთ. ეს უმაღლესი არისტოკრატული კლუბია, სადაც ძალიან ძნელია მოხვედრა. მავანნი იმასაც ამბობენ, რომ კლუბში მოხვედრას 1920 წლიდან ელიან. ამ კლუბის წევრებს უფასოდ ეკუთვნით ორი ბილეთი და შეუძლიათ, დამატებითი ბილეთებიც ნაკლებ ფასში შეიძინონ. ჩვეულებრივი გულშემატკივრები კი უიმბლდონზე მოსახვედრად ბილეთების რიგში წინა საღამოს დგებიან.

ცენტრალურ კორტზე თვალსაჩინო ადგილი სამეფო ლოჟას უკავია. აქედან ყველაზე უკეთ ჩანს კორტი. სამეფო ლოჟასთან არსებობს სასადილო, ვერანდა, საიდანაც მშვენივრად ჩანს სხვა კორტები. სამეფო ლოჟის კომფორტაბელურ ტუალეტებზე კი ერთხელ პრინცესა დაიანამ თქვა, ასეთი სასახლეშიც არ არისო. ტუალეტებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას თავისი ისტორია აქვს: 1930 წელს მეფე გეორგ V-ს შიგნიდან ჩაეკეტა კარი და ხანგრძლივი ყვირილის შემდეგ ძლივს გამოიყვანეს. ამის შემდეგ უიმბლდონის ორგანიზატორებმა განსაკუთრებით მოინდომეს.

### ჯენტლმენი უნდა იყო

უიმბლდონის ტურნირზე მაყურებელთა სიმპათიის მოსაპოვებლად გამარჯვება საკმარისი არ არის. თანაც, საკუთარი ქცევით უნდა დაამტკიცო, რომ ჭეშმარიტად დიდი ხარ. ამიტომაც ტრიბუნების სიმპათია ყოველთვის ძლიერის მხარეს როდია.

1973 წელს ინგლისელი როჯერ ტეილორისა და მაშინ ჯერ კიდევ ნორჩი, 17 წლის ბიორნ ბორგის მატჩისას, როცა მეხუთე გადამწყვეტი ხელი მიმდინარეობდა, 6:5-ზე ტეილორის სასარგებლოდ, ბორგმა ვერ აიღო ტეილორის მოწოდება და მსაჯმა გამარჯვება ინგლისელს მიაკუთვნა. ტეილორმა გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება — მისი აზრით, ბურთი კვადრატში არ მოხვდა და მსაჯს დაჟინებით მოსთხოვა გადაწყვეტილების შეცვლა. მსაჯმა ბურთის გადათამაშება გადაწყვიტა. ხუთი წუთის მერე ტეილორმა მაინც მოახერხა გადამწყვეტი ქულის მოპოვება. ფეხზე ამდგარმა მაყურებელმა ოვაციებით გააცილა გამარჯვებული.

1986 წელს მეოთხედფინალში ავსტრალიელი პატ კეშისა და ფრანგი ანრი ლეკონტის მატჩის დროს ტრიბუნები კეშს გულშემატკივრობდნენ. ამ დროს კორტზე პეპელა შემოფრინდა და ლეკონტმა მსაჯებს მატჩი გააჩერებინა, პეპელას ჩაუჩოქა, ფრთხილად გადასვა ჩოგანზე და კორტის გარეთ გაიყვანა. ცენტრალური კორტი აღფრთოვანებული იყო.

### უიმბლდონის კორტები დღეს

უიმბლდონზე დღესდღეობით 18 კორტია. მათ შუაგულში ცენტრალური კორტია, რომელიც 15 ათას მაყურებელს იტევს. კორტების გარდა, უიმბლდონზე არის დასვენებისა და კვების ობიექტები, სადაც შეგიძლია მიირთვათ ლუდი, შამპანური და, რაღა თქმა უნდა, უიმბლდონისთვის ტრადიციული მარწყვი ნაღებით. არის იქ გაზონიც, სადაც შეიძლება წამოწვეთ, დაჯდეთ ბალახზე და ისე მიირთვათ ნუგბარი. ხულიგნები და ლოთები აქ ვერ გაჭაჭანდებიან — უიმბლდონი ხომ იმ ადამიანების შეხვედრის ადგილია, რომლებიც დოღზე დადიან დერბიში, ესწრებიან სამეფო რეგატას ჰენლიში, ივლისში კი დედოფლის დაბადების დღეს ზეიმობენ.

### მაყურებელს მადაც კარგი აქვს

ჩოგბურთი, მოგეხსენებათ, სპორტის ისეთი სახეობაა, სადაც მატჩები დიდხანს გრძელდება. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ხნის განმავლობაში მაყურებელს მოშივდეს. იქ მყოფი სავაჭრო ობიექტების მფლობელებსაც მეტი რა უნდათ. გამოთვლილია, რომ ტურნირს ორი კვირის განმავლობაში (ამდენ ხანს მიმდინარეობს იგი) 400 ათასამდე მაყურებელი ესწრება, რომელიც მიირთმევს 22 ათას ფუნთუშას, 189 700 ბუტერბროდს, 20 ათას სოსისს, 126 ათას ულუფა ნაყინს, 23 ტონა მარწყვს, სვამს 300 ათას ფინჯან ჩაისა და ყავას, 75 200 კათხა ლუდს და 11 900 ბოთლ შამპანურს. მართლაც რომ შთამბეჭდავი რიცხვებია, თუმცა, რიცხვები მაშინ გენახათ, ეს მაყურებელი ქართველები რომ ყოფილიყვნენ...

### კონიაკი შამპანურს სჯობს?

ზოგიერთი ჩოგბურთელი კარგა ხანს თვლიდა, რომ მცირეოდენი ალკოჰოლი სასურველ სტიმულს მისცემდა. ცნობილია, რომ სიუზან ლენგლენის მამა, მისი მუდმივი მწვრთნელი, ქალიშვილს გაჭირვების ჟამს ჭიქა კონიაკს გადააკვრევინებდა ხოლმე და ლენგლენიც ხშირად გამოსულა კრიტიკული სიტუაციებიდან.

ავსტრალიელი რანდოლფ ლისეტი 1920 წლის ჩემპიონატზე მოედნის შეცვლისას ჭიქა შამპანურს სვამდა. ლისეტი კორტიდან ხელით გაიყვანეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ გაიმარჯვა.

ახლა, როცა თამაშის სისწრაფემ იმატა, ალკოჰოლის მიღების სურვილი არავის აქვს.

### გამარჯვებულები

რა თქმა უნდა, რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ ჭამა-სმაზე, დასვენებაზე და სხვა რამეებზე ჩოგბურთის ჭეშმარიტ მოყვარულისთვის მთავარი მაინც თამაშია. უიმბლდონზე ყველა უდიდესი ჩოგბურთელი გამოსულა და რეკორდებიც ახსოვს. ვაჟთა შორის ყველაზე მეტჯერ — 7-ჯერ ინგლისელმა უილიამ რენშოუმ გაიმარჯვა. მას 5-5 გამარჯვებით დიდი შვედი ბიორნ ბორგი და ინგლისელი პიტერ-ლი დოჰერტი მოჰყვებიან, ფანტასტიურ ავსტრალიელს როდ ლეივერს, პიტერ-ლის ძმას რობერტ-ლის და ახალზელანდიელ არტურ უაილდინს კი 4-4-ჯერ მოუგიათ ტურნირი. სამგზის გამარჯვებული 8 კაცია, მათ შორის, მსოფლიოს ახლანდელი პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი.

რენშოუს მიღწევა ძნელი გასამეორებელია, თუმცა სპეციალისტთა აზრით, როდ ლეივერს ხუთი წელი რომ არ გაეცდინა (1962-ში უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ იგი პროფესიონალებში გადავიდა, პროფესიონალებს კი უიმბლდონზე თამაშის უფლება არ ჰქონდათ), რეკორდს დაამხობდა.

პირველი არაინგლისელი ჩემპიონი ავსტრალიელი ნიკ ბრუქსი გახდა, რომელმაც 1907 წელს გაიმარჯვა, კონტინენტური ევროპიდან კი პირველმა ფრანგმა ჟან ბაროტრამ დალაშქრა უიმბლდონი. პირველი ამერიკელი ჩემპიონი იყო ბილ ტილდენი, რომელსაც ბევრი დღესაც ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ თვლის. სოციალისტური სამყაროდან უიმბლდონი მხოლოდ ჩეხოსლოვაკიელებს მოუგიათ. იაროსლავ დრობნის 1954 წლის გამარჯვება სოციალისტურ ქვეყნებში მიჩქმალული იყო, რადგან დრობნიმ სამშობლო მიატოვა და ეს კი ღალატის ტოლფასი იყო. სამაგიეროდ, იან კოდეშის წარმატება დიდი ზარზეიმით აღინიშნა 1973 წელს. თუმცა, არა საქართველოში — კოდეშმა ხომ ფინალში ჩვენი შესანიშნავი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი დაამარცხა. უიმბლდონი ერთადერთხელ მოიგო შავკანიანმა — 1975 წელს ჩემპიონი ამერიკელი არტურ ეში გახდა.

ბიორნ ბორგის წასვლის შემდეგ, რომელმაც ზედიზედ ხუთჯერ მოიგო უიმბლდონი, მისი დარი მოთამაშე აღარ გამოჩენილა. თუმცა, მაკენროიც, კონორსიც, ედბერგიც და ბეკერიც დიდი ოსტატები არიან. მსოფლიოს ახლანდელ პირველ ჩოგანს პიტ სამპრასს ისეთი ასაკი აქვს, შეუძლია მეტის მიღწევა.

1990 წელს ამერიკაში მცხოვრებმა ჩეხოსლოვაკიელმა მარტინა ნავრატილოვამ თავისი უკანასკნელი გამარჯვებით უიმბლდონზე ამერიკელი ჰილარი უილს-მუდის რეკორდი დაამხო. ნავრატილოვა მეცხრედ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი, უილს-მუდი კი — რვაჯერ. შემდეგ მოდიან გერმანელი შტეფი გრაფი — 7, სიუზან ლენგლენი (საფრანგეთი) — 6, ბილი-ჯინ კინგი (აშშ) და ბარბარა ბინგლი (ინგლისი) — 6-6. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ სამი ჩოგბურთელი იყო უიმბლდონის გამარჯვებული — ნავრატილოვასა და გრაფის ბატონობა მხოლოდ 1994 წელს დაარღვია ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა. ახლა მსოფლიოს ახალი ლიდერი ჰყავს — შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, გრაფი კი თავის 7 გამარჯვებას წელს ვერაფერს მიუმატებს. ტრავმის გამო იგი გამოტოვებს ამ პირველობას.

### უიღბლონი

უიმბლდონის გამარჯვებულთა ნუსხაში ბევრი ძლიერი მოთამაშე არაა, მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთნი, რომელნიც უამისოდაც ითვლებიან ყველა დროის უდიდეს მოთამაშეებად. პირველ „დიდ უიღბლოდ" მიჩნეულია 20-იანი წლების სახელგანთქმული ჩოგბურთელი, გერმანელი ჰერბერტ ფონ კრამი, რომელიც სამჯერ იყო ფინალში, მაგრამ ბედმა იმ დროის უდიდეს ჩოგბურთელებს — ავსტრალიელ პატერსონსა და ამერიკელ ტილდენს გადაჰყარა. ეს სიმპათიური გერმანელი ნამდვილი არისტოკრატი და მეტად პოპულარულიც იყო (განსაკუთრებით ქალებში). ფონ კრამი თავისი ქცევითა და ღირსებებით დღესაც ითვლება ერთ-ერთ კოლორიტულ პიროვნებად. ერთხელაც ვერ მოიგეს უიმბლდონი ლეგენდარულმა ჩოგბურთელებმა პანჩო გონსალესმა (აშშ) და კენ როზუოლმა (ავსტრალია). ეს იმანაც გამოიწვია, რომ ისინი ძალიან ადრე გადავიდნენ პროფესიონალებში. თუ როზუოლს დიდად სწყალობდნენ გულშემატკივრები, კორტზე თავშეუკავებლობის და შეუფერებელი ქცევის გამო, სხვას, პანჩო გონსალესს პურიტანელი ინგლისელები ამრეზით უყურებდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქალებით გაუმაძღარმა პანჩომ საყვარლებად თავისი მწვრთნელის კრამერის ქალიშვილი და მეგობრის, სახელგანთქმული ავსტრალიელის ჰოადის მეუღლე გაიხადა.

ვერ მოიგო უიმბლდონი დახვეწილი ტექნიკის მქონე რუმინელმა, „კორტის მასხარამ" ილიე ნასტასემ და უდიდესი შეუპოვრობის და მტკიცე ნერვების მქონე ჩეხმა ივან ლენდლმა. ლენდლმა ბევრჯერ საგანგებოდ უიმბლდონზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ მსოფლიოს ყველა დიდი ტურნირის მომგებმა ოცნება მაინც ვერ აიხდინა.

ასეთი დონის უიღბლო ქალები ნაკლებად არიან, რადგან აქ თითქმის ყველა დიდმა ჩოგბურთელმა მიაღწია საწადელს. ყველაზე დიდ უიღბლოდ, ალბათ, მონიკა სელეში უნდა ჩაითვალოს, რომელიც, სანამ გრაფის მოტრფიალე გიუნტერ პასხე დაჭრიდა, საკმაოდ უსწრებდა კოლეგებს. თუმცა, სელეში ჯერ კვლავ თამაშობს.

### დღევანდელი უიმბლდონი

ზეგ უიმბლდონი თავისი არსებობის 120-ე წელს 111-ედ იწყებს (9 პირველობა პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა შეიწირა). როგორც ყოველთვის, ტურნირის წინ მოხდა 16 უძლიერესის განთესვა. თუ ისე მოხდა, რომ განთესილებმა „განუთესელები" დაამარცხეს, მერვედფინალში შეხვდებიან:

ვაჟები: პიტ სამპრასი (1) — პიტერ კორდა (16), მარსელო რიოსი (9) — ბორის ბეკერი (8), ევგენი კაფელნიკოვი (3), — ანდრეი მედვედევი (13), პატრიკ რაფტერი (12) — მაიკლ ჩანგი (5), თომას მუსტერი (6), გუსტავო კერტენი (11), ტიმ ჰენმანი (14), — რიხარდ კრაიჩეკი (4), მარკ ფილიპუსისი (7) — კარლოს მოია (10), უეინ ფერეირა (15) — გორან ივანიშევიჩი (2)

ქალები: მარტინა ჰინგისი (1) — ბრენდა შულცმაკკარტნი (14), რუქსანდრა დრაგომირი (15) — ლინდზი დავენპორტი (5), ივა მაიოლი (4) — ირინა სპირლეა (12), კონჩიტა მარტინესი (10) — ანკე ჰუბერი (7), ამანდა კუტცერი (6) — ბარბარა პაულუსი (16), იანა ნოვოტნა (3) — მერი-ჯო ფერნანდესი (11), არანჩა სანჩესი (8) — მარი პირსი (9), კიმბერლი პო (13) — მონიკა სელეში (2).

უიმბლდონის ტურნირი წლევანდელი დიდი სლემის მესამე ტურნირია. ავსტრალიაში ჰინგისმა და სამპრასმა გაიმარჯვეს, საფრანგეთში — ბრაზილიელმა კერტენმა და ხორვატმა მაიოლიმ. თუ ბრაზილიელის გამარჯვება სენსაციური იყო, მაიოლი მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტაში შედიოდა, თუმცა, საეჭვოა, უიმბლდონზე მათ დიდ წარმატებას მიაღწიონ. კერტენი ჯერ ჩოგბურთის ვარსკვლავებში ყოფნას უნდა შეეჩვიოს, მაიოლი კი ბალახზე სუსტად თამაშობს. მოკლედ, ფავორიტები სხვაგან უნდა ვეძიოთ, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ შარშან ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკის გამარჯვებასაც არავინ ელოდა.



ბორის ბეკერი

### უფულოდ არავინ რჩება

წლევანდელი უიმბლდონის საპრიზო ფონდი 11,223 მილიონი ამერიკული დოლარია. მამაკაცი ჩემპიონი 676,450 დოლარს მიიღებს, ქალთა ჩემპიონი კი — 608 ათასს. ვაჟთა წყვილებში გამარჯვებულნი 277,149 დოლარს გაინაწილებენ. მეწყვილე ქალები — 239, 626 დოლარს, საუკეთესო შერეულ წყვილს კი 117,686 დოლარი ერგება. ორგანიზატორები უფულოდ არავის ტოვებენ. ფინალში დამარცხებული, ვთქვათ, ვაჟი 338,225 დოლარს მიიღებს, ქალი — 304, 403 დოლარს, ნახევარფინალებში ხელმოცარული ვაჟები — 169,113-ს, ქალები — 144,011-ს. პირველ წრეში დამარცხებული ვაჟიც კი 10,147 დოლარს ჩაიჯიბავს, თუმცა, აქ პირველ წრეში გავარდნილ წყვილს შეუძლია 1,532 დოლარი თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს.

მოკლედ, უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობა დიდ მორალურ კმაყოფილებასთან ერთად პირადი ბიუჯეტის შევსებასაც გვარიანად უწყობს ხელს.

ვინ როგორ მოახერხებს ამას, ორ კვირაში შევიტყობთ. აღდგომა და ხვალეო...

**ილია მხეიძე**

# მომეცით ჯორდანი და...

1985 წლის ივნისის მიწურულს ნბა-ში მორიგი დრაფტი ჩატარდა და „ჩიკაგო ბულზმა“ მესამე ნომრად ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტელი მაიკლ ჯორდანი აიყვანა. ჯორდანს უკვე მოესწრო ოლიმპიური ჩემპიონობა და სტუდენტური ლიგის უძვირფასესი მოთამაშეობა, მაგრამ მაშინ მხოლოდ ნიჭიერ და იმედისმომცემ კალათბურთელად ითვლებოდა. დღეს კი... ვინ არის ჯორდანი, ამის ახსნას ერთი გაზეთი არ ეყოფა.

გავიდა ორი წელი და „ჩიკაგოში“ სკოტი პიპენი მოვიდა — თავიდან არაფრით გამორჩეული, შემდეგ კი — სასწაულების ჩამდენი.

1990 წელს გუნდი ფილ ჯექსონმა ჩაიბარა. ამ კაცს იქამდე პროფესიული გუნდი გაწვრთნელი არ ჰყავდა. დღეს, შვიდი სეზონის შემდეგ კი ამგვარი მონაგარი აქვს: ხუთი ჩემპიონობა, 436 მოგებული და 138 წაგებული მატჩი. მოგებულ შეხვედრათა 76 პროცენტი, რაც ყველა დროის მწვრთნელებში საუკეთესო შედეგია.

მოკლედ, ამ სამი კაცის ერთად თავშეყრით 1968 წელს დაარსებული „ჩიკაგო ბულზი“ გაიწირა... წარმატებისთვის.

წარმატებამ კი დიდხანს არ იცადა: 1991 წელს ფლეი-ოფის ფინალში „ჩიკაგომ“ 4:1 გაანადგურა მრისხანე „ლოს ანჯელეს ლეიკერზი“ და პირველად გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ამით დამთავრდა „ლეიკერზის ერა“ (ანუ 80-იანი წლები) და დაიწყო „ჩიკაგოს ერა“ (რომელიც, 90-იანი წლებისა არ იყოს, ჯერ არ დასრულებულა). დიდმა მეჯიქ ჯონსონმა კალათბურთის მეფის გვირგვინი დიდ მაიკლ ჯორდანს გადაულოცა.



მეხუთედ გაჩემპიონების შემდეგ ჯორდანმა შამპანურს სიგარაც დააყოლა

აქედან მოყოლებული „ბულზი“ ხუთჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ჯორდან-პიპენ-ჯექსონის სამეული ერთადერთხელ, წელიწადნახევრით დაიშალა. მაშინ ჯორდანმა ყველასათვის მოულოდნელად კალათბურთს თავი მიანება და მთელი ის დრო კეტბურთის კეტით დარბოდა. მის არყოფნაში „ჩიკაგომ“ ორი სეზონის განმავლობაში ჩემპიონობა ვერ მოიპოვა.

მაგრამ ჯორდანი დაბრუნდა და „ჩიკაგო“ კვლავ წარმატებისთვის გაიწირა. ორი უბრწყინვალესი რეგულარული სეზონი: 72 მოგებით (1995-96) და 69 მოგებით (1996-97) და ორი ჩემპიონობა!

არადა, ბოლო სეზონის წინა პერიოდი არცთუ კარგ პერსპექტივას ქმნიდა. კლუბის პატრონებმა რატომღაც აითვალწუნეს ფილ ჯექსონი. ჯორდანს კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლის გასაფორმებლად დიდი ფული მოითხოვა, რითაც ხელმძღვანელობა საგონებელში ჩააგდო. ხმები პიპენის გაყიდვის შესახებ სულ უფრო და უფრო დამაჯერებელი ხდებოდა. ნაგიჟარმა როდმანმაც უფროსობას მორიგი შარი მოსდო და, თქვენთან გამჩერებელი აღარ ვარო, თქვა. მოკლედ, ეს დიდებული ხალხი, შესაძლოა, სხვადასხვა მხარეს დაფანტულიყო.



„ჩიკაგოსა“ და ნბა-ს საუკეთესო ევროპელი ტონი კუკოჩი ჩემპიონობას შვილთან ერთად ზეიმობს

„ჩიკაგოს“ მფლობელი ჯერი რეინსდორფი და გენერალური მენეჯერი ჯერი კრაუზე საკმარისზე მეტად ჭკვიანი და გაქნილი ხალხია. მათ მუშტების ბრახა-ბრუხს ტკბილი სიტყვა არჩიეს და შედეგად ეს მიიღეს: ჯექსონმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ჯორდანი წელიწადში 30 მილიონ დოლარად (!) შეფასებული კონტრაქტით დაიყაბულეს, როდმანი გუნდში დარჩა, ხოლო პიპენის გაყიდვაზე საუბრები საერთოდ შეწყდა. „ხარები“ მორიგი გამარჯვებისთვის მოემზადნენ.

სპეციალისტები თვლიან, რომ „ჩიკაგოს“ წლევანდელ ჩემპიონატში უფრო გაუჭირდა, ვიდრე შარშანდელში. თუმცა, ყველაფერი ეს პირობითია. რომელ გაჭირვებაზეა ლაპარაკი, როცა გუნდმა რეგულარულ ჩემპიონატში 82-დან 69 შეხვედრა მოიგო, ხოლო ფლეი-ოფში სულ ბავშვებივით დაამარცხა მეტოქეები. კი ბატონო, სეზონის შუაწელში იყო პატარა ჩავარდნა, თუკი მოკლე პერიოდში სამ წაგებას ჩავარდნა შეიძლება ეწოდოს. მაგრამ, ხომ გაგიგიათ, რაც ეპატიება იუპიტერს, ის არ ეპატიება ხარსო. ჰოდა, საწყალი „ხარები“: მათგან ყველა სასწაულს ითხოვს და მცირე მოდუნებასაც არავინ პატიობს. არადა, ყველასავიწყდება, რომ „ჩიკაგოში“ კაცები თამაშობენ და არა ზეკაცები.

მართალია, წლევანდელი ფინალი უფრო ძნელი მოსაგები აღმოჩნდა. შარშანაც 4:2 მოიგო „ჩიკაგომ“, ოღონდ მაშინ მეტოქედ „სიეტლი“ ჰყავდა, ბევრი არაფრით გამორჩეული გუნდი, წლეულს კი — „იუტა“, შეკრულ-შეთანხმებული გუნდი ბრწყინვალე კარლ მელოუნით. მთავარი ხომ შედეგია და „ხარებმა“ მოიპოვეს ჩემპიონობა, მათ ახლოსაც კი ვერავინ გაეკარა. ჩიკაგოელებს უკეთ თამაშიც შეუძლიათ, მაგრამ ამ სეზონში მეტი საჭირო აღარ იყო.

ისევ ჯორდანთან და პიპენთან მივდივართ. ამ დუეტმა მთელი სეზონი სტაბილურად, სერიოზული წაფორხილების გარეშე განვლო. სწორედ ისინი იყვნენ ყველაზე გამოკვეთილი ფიგურები, ისევე, როგორც წინა წლებში. ავსტრალიელმა ლუკ ლონგლიმ შარშანდელ დონეზე ითამაშა. ნბა-ში ყველაზე ძლიერმა ევროპელმა, ხორვატმა ტონი კუკოჩმა შარშან „საუკეთესო მეექვსე მოთამაშის“ ტიტული მოიპოვა, წლეულს კი შედარებით ჩრდილში აღმოჩნდა მეტად მარტივი მიზეზის გამო: ტრავმებმა ტონის 25 მატჩი გამოატოვებინა. დენის როდმანმაც გააუარესა მოხსნებში საკუთარი საშუალო მაჩვენებელი, მაგრამ ტრავმებმა იგიც გატანჯა. თანაც, რამდენჯერმე დისკვალიფიკაციაც მისცეს და ჯამში 27 თამაში გააცდინა. თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ფინალში მელოუნის ამოკეტვა პირადად როდმანის დამსახურება იყო. არაფრით დაგვამახსოვრდნენ რონ ჰარპერი და სტივ კერი (თუმცა ამ უკანასკნელმა ფინალის ბოლო მატჩში ჯორდანის პასით გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო). მიუხედავად ამისა, ჩიკაგოელთა სისუსტეზე ლაპარაკი უადგილო და სასაცილოცაა. თუ მეხსიერებას კარგად დავძაბავთ, გავიხსენებთ, რომ ამ გუნდში ვარსკვლავების გვერდით მუდამ ილვწოდნენ არაფრით გამორჩეული კალათბურთელები, რომელთა შესახებაც თქვა მაიკლ ჯორდანმა: „ნუ გავაიგივებთ „ჩიკაგოს“ ჯორდანთან. მე რომ ჩემი თანაგუნდელები გვერდით არ მჭავდეს, არც „ბულზი“ იქნებოდა „ბულზი“ და არც ჯორდანი — ჯორდანი.“ მთავარი კი ის იყო, რომ „ჩიკაგოს“ ნებისმიერი შემადგენლობით შეუძლია გამარჯვება. მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იცავს მის ღირსებას: დენის როდმანი თუ ჰორას გრანტი; სტივ კერი თუ ჯონ პაქსონი; რონ ჰარპერი თუ გრეიგ ჰოჯსი; ლუკ ლონგლი თუ ბილ კარტრაიტი.

## „ჩიკაგოს“ ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| 1990-91: | ჩიკაგო ბულზი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი 4:1 |
| 1991-92: | ჩიკაგო ბულზი — პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი 4:2 |
| 1992-93: | ჩიკაგო ბულზი — ფინიქს სანზი 4:2 |
| 1995-96: | ჩიკაგო ბულზი — სიეტლ სუპერსონიქსი 4:2 |
| 1996-97: | ჩიკაგო ბულზი — იუტა ჯაზი 4:2 |

„ჩიკაგო ბულზს“ ახლა მხოლოდ „ბოსტონ სელტიქსის“ რეკორდიღა აქვს დასამხობი. თუ რა მიღწევაზეა საუბარი, ამაზე ქვემოთ. ჯერ კი უკვე დამხობილზე ვთქვათ. „ლოს ანჯელეს ლეიკერზმა“ ცხრა სეზონში ხუთჯერ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონობა. იგივეს გასაკეთებლად „ჩიკაგოს“ შვიდი წელიწადი დასჭირდა. ამრიგად ჯონსონ-აბდულ-ჯაბარის კომპანიამ ადგილი ჯორდან-პიპენის კომპანიას დაუთმო.

ახლა ჯერი „ბოსტონზეა“. ამ გუნდს კი მართლაც უნიკალური მიღწევები აქვს. 1957-69 წლებში, ბოსტონელებმა 13-დან 11 ჩემპიონატში იზეიმეს გამარჯვება. 1959-66 წლებში ისინი ზედიზედ რვაჯერ გახდნენ ჩემპიონები, ხოლო 1957-86 წლებში, 30 სეზონში 16-ჯერ იყვნენ უძლიერესები.

შეეძლო თუ არა „ჩიკაგოს“ გაცილებით ახლოს ყოფილიყო „ბოსტონის“ რეკორდთან? რა თქმა უნდა შეეძლო, მაგრამ რა მოვუხერხოთ 1993-95 წლებს, როცა „მისი ჰაეროვანება“ მაიკლ ჯორდანი დარბაზის ნაცვლად კეტბურთის სტადიონზე დაახტუნებდა, ხოლო ჩემპიონი „ჰიუსტონ როკეტსი“ ხდებოდა?

ჯორდანი, მადლობა ღმერთს, კალათბურთს დაუბრუნდა და „ჩიკაგომაც“ განაახლა გზა ჩემპიონობებისა და რეკორდებისკენ. მაიკლმა დაამტკიცა, რომ მსოფლიოში საუკეთესო კალათბურთელია. მაგრამ „ჩიკაგოში“ კიდევ არის ერთი კაცი, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ეტარებინა იგივე ტიტული, რომ არა ჯორდანი. ასეთი ყოფილა სკოტი პიპენის ბედი — განგებამ მას მუდმივად ჯორდანის ჩრდილქვეშ მიუჩინა ადგილი.

პიპენი უნიჭიერესი და უძლიერესი კალათბურთელია. ექსპერტთა აზრით, სწორედ ისაა ლიგის საუკეთესო მოთამაშე. მას შეუძლია თანაბარი სიძლიერით იმოქმედოს შეტევაშიც და დაცვაშიც და, თუ საჭიროა, გუნდის ლიდერობაც გასწიოს.

და მაინც, უმრავლესობის აზრით ჯორდანისა და პიპენის შედარება იგივეა, ოქრო და სპილენძი რომ შეადარო. ჯორდანს როცა უნდა, მაშინ ხდება მატჩის საუკეთესო მოთამაშე, პიპენი კი მხოლოდ მაშინ, როცა ჯორდანს არ უნდა.

„ბულზის“ სიძლიერის განმსაზღვრელი სწორედ ამ დუეტის შეთამაშებულობაა. ლიგის ისტორიას არ ახსოვს ამგვარი ათლეტური, მოძრავი, შედეგიანი და ეფექტური წყვილი. ამ ორ კაცს ერთმანეთისა ნახევარი მოძრაობითაც კი ესმით. ეს ტანდემი 30 წლის წინანდელ „ლეიკერზის“ ლეგენდარულ დუეტს — ჯერი ვესტ — ელჯინ ბეილორს ჰგავს. ამ ორეულსაც თითქმის სრულყოფილებამდე ჰქონდა მიყვანილი ყველა ელემენტი, მაგრამ არ ჰქონდათ მთავარი: ერთად თამაშისას ისინი ვერასდროს გახდნენ ნბა-ს ჩემპიონები.

„ჩიკაგოს“ არასდროს ჰყოლია ბევრი ვარსკვლავი. ეს არ არის 80-იანების „ლეიკერზი“, ანაც 50-60-იანების „ბოსტონი“, სადაც თითოეული მოთამაშის სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს ჰგვრიდა მეტოქეს. „ჩიკაგო“ არის ორი ვარსკვლავის და მშრომელი ბიჭების გუნდი, რომელსაც ნებისმიერის დამარცხება შეუძლია.



„ხარების“ მწყემსმა ფილ ჯექსონმა მეხუთედ აიტაცა ნბა-ს ჩემპიონის თასი

„ხარები“ ხუთჯერ გავიდნენ ნბა-ს ფინალში და ხუთჯერვე წარმატებას მიაღწიეს. ეს გუნდი ყოველთვის ვადამდე ილევდა საქმეს, არასდროს დასჭირვებია მეშვიდე მატჩის გამართვა. „ბოსტონ სელტიქსს“ კი 11 საჩემპიონო ფინალიდან ხუთში მოუწია მეშვიდე მატჩის თამაში.

„ჩიკაგო“ ხუთ ფინალში ხუთ განსხვავებულ გუნდს შეხვდა, ხოლო იგივე „ბოსტონი“ 11 ფინალში სამად-სამს: შვიდჯერ — „ლეიკერზს“, სამჯერ — „სენტ ლუისს“, ერთხელ — „სან ფრანცისკოს“.

## რეგულარული ჩემპიონატი

| | თამაში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება | ფოლი | საუკეთესო შედეგი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაიკლ ჯორდანი | 82 | 3106 | 2431 | 482 | 352 | 140 | 44 | 156 | 51 |
| სკოტი პიპენი | 82 | 3095 | 1656 | 531 | 467 | 154 | 46 | 213 | 47 |
| ტონი კუკოჩი | 57 | 1610 | 754 | 261 | 256 | 60 | 30 | 97 | 31 |
| ლუკ ლონგლი | 59 | 1472 | 537 | 332 | 141 | 23 | 66 | 191 | 17 |
| სტივ კერი | 82 | 1860 | 662 | 130 | 175 | 67 | 4 | 98 | 20 |
| ჯეისონ კეფი | 75 | 1405 | 549 | 301 | 89 | 25 | 11 | 149 | 23 |
| ბრაიან ვილიამსი | 9 | 138 | 63 | 33 | 12 | 3 | 5 | 20 | 10 |
| რონ ჰარპერი | .76 | 1740 | 480 | 193 | 191 | 86 | 38 | 138 | 22 |
| დენის როდმანი | 55 | 1947 | 311 | 883 | 170 | 32 | 19 | 172 | 16 |
| რენდი ბრაუნი | 72 | 1058 | 341 | 111 | 133 | 81 | 17 | 116 | 14 |
| რობერტ პერიში | 43 | 406 | 161 | 89 | 22 | 6 | 20 | 40 | 12 |
| ჯად ბიუჰლერი | 77 | 703 | 139 | 126 | 60 | 23 | 22 | 50 | 12 |
| ბილ ვენინგტონი | 61 | 783 | 280 | 129 | 41 | 10 | 11 | 132 | 18 |
| დიკი სიმფკინსი | 48 | 395 | 91 | 92 | 31 | 5 | 5 | 44 | 11 |
| მეტ სტაიჯენგა | 2 | 12 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 |

## ფლეი-ოფი

| | თამაში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება | ფოლი | საუკეთესო შედეგი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაიკლ ჯორდანი | 19 | 804 | 590 | 150 | 91 | 30 | 17 | 46 | 55 |
| სკოტი პიპენი | 19 | 753 | 365 | 129 | 72 | 28 | 18 | 49 | 29 |
| ტონი კუკოჩი | 19 | 423 | 150 | 54 | 54 | 13 | 1 | 30 | 16 |
| ლუკ ლონგლი | 19 | 432 | 124 | 84 | 35 | 7 | 16 | 65 | 14 |
| სტივ კერი | 19 | 341 | 95 | 18 | 20 | 17 | 2 | 25 | 15 |
| ჯეისონ კეფი | 17 | 167 | 41 | 42 | 15 | 3 | 3 | 27 | 10 |
| ბრაიან ვილიამსი | 19 | 336 | 116 | 71 | 11 | 19 | 8 | 63 | 16 |
| რონ ჰარპერი | 19 | 515 | 142 | 81 | 57 | 24 | 14 | 43 | 15 |
| დენის როდმანი | 19 | 535 | 79 | 160 | 27 | 10 | 4 | 74 | 14 |
| რენდი ბრაუნი | 17 | 93 | 21 | 10 | 6 | 8 | 2 | 22 | 9 |
| რობერტ პერიში | 2 | 18 | 2 | 4 | 0 | 0 | 3 | 2 | 2 |
| ჯად ბიუჰლერი | 18 | 138 | 33 | 23 | 5 | 3 | 4 | 15 | 6 |
| ბილ ვენინგტონი | არ უთამაშიათ | | | | | | | | |
| დიკი სიმფკინსი | | | | | | | | | |
| მეტ სტაიჯენგა | | | | | | | | | |

**მძლეოსნობა**



მაია აზარაშვილი, რომ იტყვიან, გზას არის გამოკიდებული. ოჯახით გერმანიაში ცხოვრობს, იქ მუშაობს, მაგრამ ამავდროულად შარშან საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს. ხასიათი აქვს ასეთი: რასაც ხელს მოჰკიდებს, ბოლომდე მიიყვანს. ღალატი არ შეუძლია, ამიტომ გერმანიაში საქმეს მოილევს თუ არა, თბილისს მოაშურებს, ფედერაციაში თავისი მოვალეობის შესასრულებლად მიიჩქარის, აქ მორჩება და წამსვე თბილისი — ფრანკფურტის რეისზე ბილეთის საშოვნელად გარბის...

როცა დავურეკე და ვთხოვე, ნახევარი საათი დამითმეთ, მეტს არ შეგაწუხებთ-მეთქი, ჩაიცინა, გიცნობთ ჟურნალისტებს, ნახევარი საათი ორ საათად უნდა მიქციოთ, მაგრამ „სარბიელის" კორესპონდენტს უარს ვერ გეტყვიო. მისვლისთანავე ყავა შემომთავაზა, თან დააყოლა, იცოდეთ, ჩემსავით ყავას ბევრი ვერ ადუღებსო. მერე კიდევ ერთხელ გამაფრთხილა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში და გერმანიაში ფაქსები მაქვს გასაგზავნი და პირობას ნუ დაარღვევთ, ნახევარ საათზე მეტს ვერ დაგითმობთო. ამასობაში, თბილისური ტრადიციისამებრ, დენი გაითიშა და, მართალია, ელექტრომადუღარაში ჩასხმული და ნახევრადმოდუღებული ყავა ოხრად დამრჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფაქსიც გამოირთო. მეც ეს მინდოდა და რის ნახევარი საათი, მართლაც ორ საათამდე ვისაუბრეთ.

# აზარაშვილი საბანს აგრძელებს

**— ვიცი, რომ რთული ოპერაცია გადაიტანეთ, იქნებ დაწვრილებით გვესაუბრა თქვენი იძულებითი შესვენების მიზეზზე.**

— ოპერაცია თებერვლის დასაწყისში გავიკეთე. მარცხენა ქუსლზე ორსანტიმეტრიანი ძვლის წამონაზარდი მქონდა. მისი მოკვეთა გახდა საჭირო. თავად ოპერაცია ანესთეზიოლოგიური საშუალებებით ერთ საათში უმტკივნეულოდ გამიკეთეს, აი, აღდგენითი პროცესი იყო მეტად რთული და მტკივნეული.

**— ვინ გაგიკეთათ ოპერაცია?**

— რა თქმა უნდა, ყველას ვერ ვენდობოდი, ამიტომ გერმანიაში გავიკითხე, საუკეთესო ქირურგებიდან სპორტსმენთა განკურნებაში ვინ იყო დახელოვნებული. ასეთი კაცი გერმანიის მძლეოსანთა ნაკრების ექიმი, დოქტორი გრაფი აღმოჩნდა. ოპერაცია ესენის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში გამიკეთა.

**— თავად სად ცხოვრობთ?**

— ჩემი ოჯახით დასავლეთ გერმანიაში, ვესტფალიის მიწაზე დავსახლდი, პატარა, მყუდრო ქალაქ აახენში.

**— სპორტული ფორმის აღდგენა ძალიან გაგიჭირდათ?**

— ჩვეულ ფორმაში ჯერაც არა ვარ, თანდათან ვუბრუნდები. საერთოდ, თავიდან ფეხსაცმლის ჩაცმაც მიჭირდა, სიარულიც, სირბილის დაწყებაც. ექიმმა გამაფრთხილა, ოპერაციიდან 4-5 თვე სარბენ ბილიკს არ გაეკაროო, მაგრამ ვერ გავძელი და 3 თვეში დავიწყე ვარჯიში. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი რიგზეა.

**— შეჯიბრებებში როდის იასპარეზებთ?**

— ერთ ტურნირზე უკვე გამოვედი. 28 მაისს ჰოლანდიაში, ქალაქ კარკასადეში ვირბინე. მაღალი დონის, პრესტიჟული ტურნირი იყო, მაგრამ მოსახვევში წვივის კუნთი მეტკინა და დისტანცია ვერ დავასრულე.

**— ისე, სტარტი როგორი გქონდათ, ფეხი რომ არ გტკიებოდათ, შეძლებდით საუკეთესოებში მოხვედრას?**

— 70 მეტრი მხარდამხარ ვირბინე ლიდერებთან ერთად, მაგრამ კაცმა წინასწარ არ იცის, რა მოხდება. სხვათა შორის, კარკასადეს ტურნირი სამჯერ მაქვს მოგებული, შარშანწინ კი 200 მეტრი 23,23 წამში გავირბინე და ეს, ჯერჯერობით კარკასადეს რეკორდია. იმედი მაქვს, მომავალში ისევ მე მოვხსნი ამ რეკორდს.

**— გერმანიაში ერთ-ერთი კლუბის წევრი ხართ. თუ შეიძლება, ცოტა რამ გვიამბეთ თქვენი იქაური საქმიანობის შესახებ.**

— ეს კლუბი, სადაც ვცხოვრობ, იქ არის — აახენში. მას E.S.G. ჰქვია. კლუბთან კონტრაქტი მაქვს დადებული და ვემზადები სხვადასხვა ტურნირებისთვის. ჩვენში უცხოურ კლუბებთან ქართველი სპორტსმენის კონტრაქტს რომ მოჰკრავენ ყურს, ჰგონიათ, მილიონებს ხვეტენ. იცით, რამდენს მიხდიან კლუბში?

— არაფერს!

**— როგორ, აბა, კონტრაქტი რა შუაშია?**

— კონტრაქტით კლუბი გერმანიაში მუშაობის ნებას მაძლევს, ეგრეთ წოდებულ სამუშაო ვიზას. მეტს არაფერს.

**— ბევრი ცნობილი მძლეოსანია აახენის კლუბში?**

— ჯერჯერობით ყველაზე ტიტულოვანი მე ვარ. ჩემამდე ოლიმპიური პრიზიორი ამ კლუბში არ ყოფილა. იყო ერთი გერმანელი მძლეოსანი, ოღონდ ის მხოლოდ ოლიმპიადის მონაწილე გახლდათ.

აქვე დავძენ, რომ ჩემი ამ კლუბში მისვლის შემდეგ, რაკი გაიგეს, ოლიმპიური პრიზიორიაო, უფრო დაინტერესდნენ აახენელები მძლეოსნობით, უფრო და უფრო მეტი მოზარდი მოაწყდა სპორტის ამ სახეობას. ბოლოს კლუბის ხელმძღვანელებმა ბავშვთა ჯგუფის გაწვრთნა შემომთავაზეს. ამაზე დავთანხმდი და 400 მარკას მიხდიან თვეში, როგორც მწვრთნელს. სულ ეს არის ჩემი შემოსავალი.

**— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?**

— მეუღლე ზურაბ მემარნიშვილი, გეცოდინებათ, მძლეოსანი იყო და საკმაოდ კარგიც, ისიც მწვრთნელია ერთ-ერთ გამაჯანსაღებელ კლუბში.

**— იქნებ, თქვენს ოჯახზე მეტი გვესაუბრა.**

— კი ბატონო, ვისაუბროთ. ზურა შესანიშნავი, მეტიც, უერთგულესი და თავდადებული მეუღლე და მამაა. ჩემს წარმატებებში ლომის წილი მიუძღვის. იგი ჩემი მწვრთნელიცაა, ექიმიც, მასაჟისტიც. ძალიან ნიჭიერი და ენერგიული კაცია. გვყავს 8 წლის შვილი, დევიდი.

**— დევიდი თუ დავითი, ხომ არ მომეყურა?**

— არა, დევიდი ჰქვია. დევიდ კოპერფილდის ხათრით დავარქვი.

**— მძლეოსნურ ოჯახში მომავალი ჩემპიონი ხომ არ გეზრდებათ?**

— დევიდი კლუბის ჩემპიონია მოკლე დისტანციაზე სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში, რომ იტყვიან, ხალასი ნიჭია, ალბათ, გენები თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ჯერ მაინცდამაინც არ ეპიტნავება მძლეოსნობა — თავი დამანებეთ, არ მინდა ეგ სირბილიო, ამბობს, მაგრამ თუ მოინდომა, მუდამ პირველობს.

**— თქვენ წვრთნით დევიდს თუ მამამისი?**

— ძირითადად მე ვავარჯიშებ, მაგრამ შეჯიბრებებზე მამამისი მეთვალყურეობს ხოლმე.

**— გამიგონია, მაია აზარაშვილი დიდი გურმანი და შესანიშნავი დიასახლისიაო. საქართველოს მოცილებული თქვენი მეუღლე ქართულ კერძებს დანატრებული იქნება, ალბათ, ხშირად გიწევთ ოჯახში საკულინარო ხელოვნების გახსენება.**

— ზურა გურულია და უმჭადოდ ვერ ძლებს. მომკლა თბილისიდან სიმინდის ფქვილის თრევამ და მჭადის ცხობამ, დევიდს კი ჩემი გამომცხვარი ხაჭაპური ყველაფერს ურჩევნია. ზურა ახალ წელს, 1 იანვარს არის დაბადებული, ამ დროს ლომს და ინდაურის საცივს ვუმზადებ ხოლმე. მთელ გერმანიაში მაშინ ზურაზე ბედნიერი კაცი არ მეგულება — ახალ წელსაც ზეიმობს, დაბადების დღესაც და საყვარელ საჭმელსაც მიირთმევს.

**— დიდი ხანია, გერმანიაში ცხოვრობთ?**

— უკვე სამი წელია.

**— ამ ხნის მანძილზე, დავიჯერო, არ შემოუთავაზებიათ თქვენთვის გერმანიის მოქალაქეობა და იქაურ მძლეოსანთა ნაკრებში არ მიუწვევიხართ? საკუთარი ფეხით გერმანიაში ჩასული ოლიმპიური პრიზიორი მათთვის, ალბათ, მსუყე ლუკმაა.**

— შარშანწინ იყო ამაზე საუბარი. გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციას სურდა ჩემი მიწვევა, ამანათრბენში უნდოდათ ჩემი დაყენება. მე მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამომიჩენია, არც თვითონ მომეძალნენ და ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. სიმართლე გითხრათ, მაინც არ დავთანხმდებოდი — რაც უნდა მოგცენ უცხოელებმა, იქ მაინც სტუმარი ხარ.

**— მაია, სიმართლე გითხრათ, თქვენი საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივნობა სიმბოლურად მეჩვენებოდა — აბა, გერმანიაში მცხოვრები ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად როგორ ივარგებს-მეთქი, ვფიქრობდი. საქმე თურმე სხვაგვარად ყოფილა — ფედერაციაშიც გემადლიერებიან, სპორტსმენებსაც, გავიგე, ბევრ სასიკეთოს უკეთებთ. როგორ ასწრებთ და ახერხებთ ამდენს?**

— სპრინტერის რიტმით ვცხოვრობ, თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არა მაქვს, ვარჯიში, საქმე, ოჯახი... ფედერაციას კი რითაც შემიძლია, იმით ვეხმარები. დიდი სურვილი მაქვს, ბევრი გავაკეთო ჩვენებური მძლეოსნებისთვის, მაგრამ ხომ გსმენიათ, საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე დაიფარეო. ვცდილობ, დავაგრძელო ეს საბანი.

**— ალბათ, თბილისში დარჩენილ ნათესავებსაც არ ივიწყებთ...**

— თბილისში მამა, ორი და და ძმა მყავს. და-ძმა დაოჯახებულია, მათაც, როგორც შემიძლია, ვეხმარები.

**— მალე ათენში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. ქართული მძლეოსნობის სამყარო მოუთმენლად ელოდა, ნაოპერაციევ ფეხს როდის მოიშუშებდით, ამბობდნენ, მაიას ათენში ასპარეზობა აქვს გადაწყვეტილიო.**

— ეგ მეც გულით მსურდა, მაგრამ ჰოლანდიაში, წეღან გითხარით, ფეხი ხელახლა ვიტკინე. არა ვარ ჩვეულ ფორმაში, ამიტომ არც ათენში ვირბენ, უბრალოდ, არ ღირს თავის შერცხვენად. ისიც არ მინდა, იქ ცუდი შედეგი ვაჩვენო და ვილაცამ მომძახოს — მაია, 33 წლისა ხარ, ხომ ხედავ, ველარ დარბიხარ, წადი სპორტიდანო. არა, სხვა ჩემპიონატებისთვის მინდა მოვემზადო, ღირსეულად გამოვიდე და ხალხს ვათქმევინო, ისევ ის მაიააო.

**— მოკლედ, გულს არ იტეხთ...**

— არა, ინტენსიურად ვემზადები. ძველებური რეჟიმით ვვარჯიშობ. მალე კომერციულ ტურნირებში ვიასპარეზებ და თქვენც შეგეხმიანებით, გაგაგებინებთ, რას ვიზამ.

**— გერმანიაში როდის მიდიხართ?**

— ხვალ ვაპირებ, მაგრამ თუ დროზე არ მოვრჩით საუბარს, შეიძლება იქით კვირაშიც ვერ წავიდე. გამგზავრებასთან დაკავშირებით უამრავი საკითხი მაქვს მოსაგვარებელი.

მეც სხვა რა გზა მქონდა, შემეცოდა მჭადსა და ხაჭაპურს დანატრებული ბატონი ზურაბ მემარნიშვილი და პატარა დევიდი და მშვენიერი ქალბატონი გავათავისუფლე. ოღონდ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ამის შემდეგ ხშირად გიამბობთ მაია აზარაშვილის გერმანულ ცხოვრებაზე.

**ლევან ჯაჯახიშვილი**

**ჭიდაობა**

# ხელშეუხებელი მხოლოდ ორია

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრებმა წელს მართლაც გვასახელა. თუმცა, ნაკრების მიერ მოგებული 6 ოქროს მედალი — 2 ევროპის ჩემპიონატზე და 2-2 საერთაშორისო ტურნირებზე — ორ მოჭიდავეს ეკუთვნის — ელდარ კურტანიძესა და დათო პოღოსიანს. მაგრამ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წლის უმთავრესი შეჯიბრება ჯერ კიდევ წინაა, იგი აგვისტოს მიწურულს დაიწყება — გეხსომებათ, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციის თავკაცს მილან ერცეგანს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება გამოსტყუა და საჩემპიონატოდ ცნობილი ფალავნის იარიგინის მშობლიური ქალაქი კრასნოიარსკი შეარჩია.

საქართველოს ნაკრების წევრები, რომ იტყვიან, თავგამეტებით ემზადებიან და არც კრასნოიარსკიდან აპირებენ უმედლოდ დაბრუნებას. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძეც იმედიანადაა განწყობილი. ახლახან მწვრთნელთა საბჭოს საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ შეემოწმებინა სპორტსმენთა მზადყოფნა — საქართველოს ჩემპიონატზე, წონამომატებული დათო პოღოსიანის გარდა, ნაკრების ყველა კანდიდატმა იჭიდავა, ტურნირიც მაღალი დონისა იყო და ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ შესწევთ ძალა ქადილისა.

ხვალ ჩვენი მოჭიდავეები ქობულეთში წავლენ ორკვირიან შეკრებაზე. შემდეგ კი, ბორჯომში [illegible] ორი ეტაპია დაგეგმილი. „სამწუხაროა, რომ უსახსრობის [illegible] წონაში მხოლოდ [illegible] ორი მოჭიდავე გვყავს. ვისაც კრასნოიარსკში უნდა შევეტოქოთ, იმ ქვეყნებში სამ-ოთხ, ზოგჯერ კი ხუთ მოჭიდავეს იძახებენ შეკრებაზე. შევეცდებით, ბორჯომში ნაკრების მესამე ნომრებიც წავიყვანოთ. ეს მუშაობის და არჩევანის მეტ საშუალებას მოგვცემს და, რა თქმა უნდა, შედეგიც უკეთესი იქნება. თუ ჭიდაობის განვითარება და ჩემპიონები გვინდა, ასე უნდა იყოს" — მითხრა ზაზა თურმანიძემ.

ნაკრების მწვრთნელის აზრით, ჯერჯერობით ხელშეუხებელნი კურტანიძე და პოღოსიანი არიან და მათ განაღდებული აქვთ სამსოფლიოჩემპიონატო ხალიჩაზე ასპარეზობა. ზაზა თურმანიძემ გვარები არ დაასახელა, მაგრამ ის კი მითხრა, 54 და 69 კილოგრამ წონაში მოასპარეზე ბიჭების იმედი მაქვს და, შესაძლოა, მათაც გვასახელონო.

გასახარია, რომ აკაკი ჩაჩუამ ტრავმა მოიშუშა და ახლა კარგ ფორმაშია. ევროპის ჩემპიონატზე 76 კილოგრამ წონაში საქართველოს ნაკრებს მოჭიდავე არ ჰყავდა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კი ეს ხარვეზიც აღმოიფხვრება და ჩვენი გუნდიც სრულად — რვა ფალავნით გაემგზავრება კრასნოიარსკს.

**ლევან ჯაჯახიშვილი**

**ავტორბოლა**

# ლე მონის 24 საათი

## აქ ბედი ქართველებსაც უცდიათ

ლე მონის 24-საათიანი რბოლა 1923 წლიდან იმართება და მისი მოგება ავტოსპორტის სამყაროში ისეთივე პრესტიჟულია, როგორც „ინდიანოპოლის 500"-ში გამარჯვება ამერიკელი პილოტებისთვის. ერთადერთი მრბოლი, ვინც ფორმულა 1-ში, „ინდი-500-სა" და „ლე მონის 24-საათიანში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოგება შეძლო, გრეჰემ ჰილი გახლავთ. ამ რეკორდის გამეორება მარიო ანდრეტიმ სცადა, ზედიზედ სამჯერ შეუტია ლე მონის მწვერვალს და სამჯერვე მარცხი განიცადა. 1993 წელს ლე მონში ბედი ქართველებმაც სცადეს, ქართულ-იტალიური პროექტის სპორტული ავტომობილი კვალიფიკაციაში 50-ე იყო — 1 წუთითა და 9 წამით ჩამორჩა 48-ე ადგილზე გასულ „პორშესა" და „ფერარის". რბოლის სტარტზე კი, ტრადიციულად, 48 ავტომობილი დაიშვება.

მსოფლიოს ჩემპიონატი სპორტპროტოტიპების კლასში 1993 წლიდან აღარ იმართება, მაგრამ გუნდები წელიწადში ერთხელ საგანგებოდ ემზადებიან ლე მონის 24-საათიანზე გამოსასვლელად. რბოლის შესანარჩუნებლად ორგანიზატორებმა დრომოჭმულ პროტოტიპებთან ერთად „გრან ტურიზმის" საერთო ავტომობილებიც დაუშვეს, რამაც რბოლა უფრო მიმზიდველი გახადა.

წლევანდელმა რბოლამაც მრავალი გუნდი მიიზიდა, პირველობისთვის ბრძოლაში ჩაებნენ ტომ უოკინშოუს მიერ მომზადებული პროტოტიპი იოსტ-ტვრ-პორშე, პორშე GT1, მაკლარენ F1 ფერარი 333 პროტოტიპი, კურაჟ პორშე, უბერებული პორშე 911 და სხვა საგანგებოდ მომზადებული ავტოები. პილოტებიც მეტად სახელიანნი იყვნენ. ფორმულა 1-ის ყოფილი მრბოლები ალბორეტო, იოჰანსონი, შტაკი, ლე მონის 3-გზის გამარჯვებული იანიკ დალმა, ვეტერანი ანრი პესკაროლო, რომელიც 31-ედ გამოვიდა ამ პრესტიჟული რბოლის სტარტზე.

კვალიფიკაცია ტვრ-პორშეს (ეკიპაჟი: ალბორეტო, იოჰანსონი, კრისტენსენი) გამარჯვებით დასრულდა. მან სტარტი ყველაზე უკეთ აიღო, მაგრამ მალევე დაუთმო პირველობა ვოლეკ-შტაკ-ბუტსენის პორშე GT-1-ს. 1 საათიანი რბოლის შემდეგ ლიდერობა კვლავ ალბორეტოს ხელთ იყო. ამ რბოლისთვის სპეციალურად მომზადებული ნისან-R390, რომელსაც ბრანდლი მართავდა, მესამე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ გზადაგზა ბრანდლის მანქანამ დაშლა დაიწყო და მცირე შეჯახებისას დაზიანებული ძარის საფარი თანდათან გასძვრა.



გამარჯვებული პორშეს ეკიპაჟი: კრისტენსენი, იოჰანსონი, ალბორეტო

მალე პილოტების შეცვლის დროც მოვიდა და ალბორეტომ იოჰანსონს დაუთმო ადგილი (ლე მანის პილოტები მინიმუმ ორსაათიანი შესვენების შემდეგ ცვლიან ერთმანეთს), პირველობა კი იანიკ დალმას „პორშე GT-1"-ს დარჩა.

რბოლას დამაჯერებლად ლიდერობდა „პორშე GT-1"-ის ორი ეკიპაჟი. ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ პირველ პოზიციაზე და რბოლის ორი მესამედიც ასე გაატარეს.

კვირას, დილით მარიო ანდრეტის „კურაჟი" მოცურდა და სერიოზულად დაზიანდა. „ბაბუა მარიომ" ავტომობილის ბოქსამდე მიყვანა კი მოახერხა, მაგრამ მისი შეკეთების შემდეგ ლიდერებს უიმედოდ ჩამორჩა.

რბოლის დაწყებიდან 16 საათი იყო გასული, რომ ლიდერის ბობ ვოლეკის „პორშე GT-1" ტრასიდან გავარდა და რბოლა დაასრულა. ლიდერობა კელენერსმა (პორშე GT-1) იგდო ხელთ, რომელიც ავარიამდე 10 წამს აგებდა ვოლეკთან. მაგრამ ამ დღეს „პორშე GT-1"-ს გამარჯვება არ ეწერა. რბოლის დამთავრებამდე 2 საათითა და 30 წუთით ადრე, მორიგი პიტ-სტოპის შემდეგ ტრასაზე ახალდაბრუნებულ კელენერსის მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. პილოტს მანამ მოუხდა ალმოდებული ავტოს მართვა, სანამ უსაფრთხო ადგილას, ტრასის მიღმა არ გაჩერდა: გერმანელი სწრაფად გადმოხტა ბოლიდიდან და შორიდან ადევნებდა თვალს, როგორ იფერფლებოდა მანქანაც და მისი გამარჯვების იმედიც. ხანძრამდე იგი ერთი წრით უსწრებდა „იოსტ-ტვრ-პორშეს" ეკიპაჟს.

გავიდა 20 წუთი და იგივე ბედი ეწია მე-5-ზე მყოფ სკოტ-ბელმი-სეკიის „მაკლარენს". საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ამის შემდეგ პირველობა ალბორეტო-იოჰანსონ-კრისტენსენის ეკიპაჟს დარჩა და რბოლაც მისი გამარჯვებით დასრულდა. გუნდმა ერთი წრით აჯობა მეორეზე გასულ გუნონ-რაფანელ-ოლაფსონის ეკიპაჟს.

**ალეკო ჩაგუჩიანი**

## საქართველოს პირველობა

### ა ჯგუფი. VII ტური

18.06. ქუთაისი. გელათი 0 — გუმარი 32 (22) (5ლ: ვ. აბაშიძე 3, ხურციძე, დიდებულიძე; 2გ და ს: მოდებაძე)
ავლაბარი. ასკ 7 (7) (ლ: კილაურიძე; გ: ცოფურაშვილი) — აია-პეი 26 (10) (3ლ: ბ. ძაგნიძე, დ. აბაშიძე 2; გ, 2ს და ა: ბეს. ხამაშურიძე)

სინის XIV გათამაშება
20.06. ვაკე

### ყოჩები 15:12 ქორები

(6:6). მსაჯი (დრო) პაატა ნარიმანაშვილი (42 + 51)

ყოჩები (მფლობელი): ენუქიძე; მხეიძე, ბარძიმიშვილი, ჭეიშვილი, ლიპარტელიანი; ტეფნაძე, გიორხელიძე — ფირიაშვილი, ჭავჭავაძე, ახვლედიანი; ლეჟავა, გიორგობიანი (გუშარაშვილი 67); ცხვედიანი (ჭელიძე 43) (ხურცილავა 83), ურუშაძე, კ. კობახიძე — 5ს (31, 39, 49, 60, 88): ტეფნაძე



ქორები (მოცილე): ნეველიძე; ასათიანი, სიხარულიძე (ჩაჩუა), ჩხენკელი, ძნელაძე; კვინიხიძე, ბერიძე — შუბითიძე (ცქიტიშვილი 40), ირემაძე (გაა-სინბინ-ეს 89), ჩიქოვანი; ხუადე (თედორაძე 50), ჩადუნელი; ვართანიანი (ჯაფარაშვილი 28), ა. კობახიძე, კახიანი — ს (6, 27, 66, 79): კვინიხიძე

### ბ ჯგუფი

ტყუპი ულელო ფრე: 14.06. უნივერსიტეტ-ლელო 9 (3ს) — დინამო 9 (3ს) და 17.06. დინამო 12 (4ს) — უნივერსიტეტ-ლელო 12 (3ს, ა)

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 6 | 6 | 0 | 0 | 168: 58 | 18- 4 | 12 |
| აზოტი (რ) | 6 | 5 | 0 | 1 | 145: 46 | 20- 1 | 9 |
| აია-პეი (ქ) | 5 | 3 | 0 | 2 | 107: 49 | 12- 2 | 6 |
| ქორები | 5 | 3 | 0 | 2 | 86: 52 | 10- 2 | 6 |
| ასკ | 6 | 2 | 0 | 4 | 66:184 | 8-28 | 4 |
| გუმარი | 6 | 1 | 0 | 5 | 72:113 | 7-12 | 0 |
| გელათი (ქ) | 6 | 0 | 0 | 6 | 24:167 | 2-26 | -1 |

| ბ ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 4 | 4 | 0 | 0 | 74: 3 | 11- 0 | 8 |
| დინამო | 5 | 2 | 2 | 1 | 46: 61 | 4- 5 | 6 |
| უნივერსიტეტ - ლელო | 5 | 2 | 2 | 1 | 47: 75 | 2- 7 | 6 |
| თბილისი | 4 | 1 | 0 | 3 | 39: 38 | 4- 5 | 1 |
| ქორები II | 4 | 0 | 0 | 4 | 0: 29 | 0- 4 | -2 |

# რაგბი სამხრეთული თამაშია!

დღეიდან ეკვატორს ქვემოთ სანაკრებო სეზონი ორი თვის განმავლობაში შეენაცვლება პროვინციულს, რომლის მშვენებაც სამთვიანი ზე-12 იყო. სექტემბრიდან წამყვანი ისევ პროვინციული სცენა გახდება. აქცენტების ასეთი მონაცვლეობა სამხრეთელ ოღრაშებს კარგადა აქვთ გათვლილი. ეს ხალხი მაყურებლის გულისყურის მისაპყრობად დიდებულად სარგებლობს იმით, რომ ნაღდი რაგბი სწორად ისაა, რასაც სამხრეთ ნახევარსფეროში დღესდღეობით თამაშობენ.



| სამხრეთული სატესტო ბარნიბი | | | |
|---|---|---|---|
| 21.06 | ქეიფთაუნი | აფრიკა — ბრიტანეთი | I |
| | სიდნეი | ავსტრალია — საფრანგეთი | I |
| | ველინგთონი | ზელანდია — არგენტინა | I |
| 28.06 | დურბანი | აფრიკა — ბრიტანეთი | II |
| | ბრისბენი | ავსტრალია — საფრანგეთი | II |
| | ჰამილთონი | ზელანდია — არგენტინა | II |
| 5.07 | იოჰანესბურგი | აფრიკა — ბრიტანეთი | III |
| | ქრაისთჩერჩი | ზელანდია — ავსტრალია | ბთ I |
| 12.07 | სიდნეი | ავსტრალია — ინგლისი | |
| 19.07 | პრეტორია | აფრიკა — ზელანდია | სს |
| 26.07 | მელბურნი | ავსტრალია — ზელანდია | სს, ბთ II |
| 2.08 | ბრისბენი | ავსტრალია — აფრიკა | სს |
| 9.08 | ოქლენდი | ზელანდია — აფრიკა | სს |
| 16.08 | დანიდინი | ზელანდია — ავსტრალია | სს, ბთ III |
| 23.08 | იოჰანესბურგი | აფრიკა — ავსტრალია | სს |

სს — სამეულის სერიალი; ბთ — ბლედისლოუს თასი

ამას უველა ხმამაღლა ამბობს. ძლიერნი ამა ქვეყნისანი — სამხრეთი აფრიკის რაგბის მამა ლუი ლეიტი, ინგლისის რაგბის კავშირის ალმასკომის ბობოლა წევრები და თვით ზელანდიის „ოლ ბლექსის" კაპიტანი შონ ფითსპატრიქიც (მცირე ფოტოზე) მიუკიბმოუკიბავად აცხადებენ, დროა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში რაგბი ზაფხულის თამაში გახდეს, რათა ჩრდილოური სეზონი სამხრეთულს დაემთხვეს, ბრიტანეთის „ლომები" და საფრანგეთის „მამლები" კი სამხრეთის „სამეულის სერიალში" ჩაებან. ამის შედეგად ყოველწლიურ „მსოფლიო სერიალს" მივიღებთ და რაგბსაც მთელ მსოფლიოში ვერარა ბურთაობა გაეჯიბრებაო.

34 წლის ფითსპატრიქი მეექვსე სეზონია, რაც „ოლ ბლექსს" თავკაცობს. 84 კეპის პატრონი კვაჰი იუბილარია — ვუშინ ათი წელი შესრულდა ზელანდიის მიერ პირველი მსოფლიო თასის მოგებიდან. იმ ჩემპიონი გუნდიდან „შავებს" მხოლოდ „ფითსი" შემორჩათ, რადგან „აისმენი" (ყინულივით კაცი) — ფლანკერი მაიქლ ჯოუნზი ერთი კვირის წინ ფიჯთან თამაშისას მძიმედ დაუშავდათ. გარდა ამისა, 1987 წლის ფინალის სათადარიგო ზინზან ბრუქს გაუვიდა სავალდებულო უქმობის სამ-კვირიანი ვადა, ზე-12-ის ფინალში ტვინის შერყევის გამო რომ დაუდგინეს, და არგენტინის „პუმებთან" კვლავ 8 ნომერ კვართს ჩაიცვამს.

მოკეთდა ზორბა ჯონა ლომუც, ვინაც იანვარში თირკმლების სენმა ისე შეაწუხა, რომ გადაუდებელ წამლობას დაყაბულდა. „ოლ ბლექსის" ექიმმა ჯონ მეიჰიუმ ერთი კვირის წინ გამოაცხადა, რომ 21 წლის მთაკაცი სამ-ოთხ თვეში დაუბრუნდება მშობლიურ პროვინცია „ქაუნთიზ-მანუკაუს". თავად ლომუ გახდა: 148 კილო თუ იყო, ახლა 117-ია. აღარც ფეხები უსივდება და დილაობითაც მშვენიერ გუნებაზე იღვიძებს. საზოგადოებაშიც ხშირადა ჩნდება: პარიზში საჩოგბურთო „როლან-გაროსის" საპატიო სტუმარი იყო, ქეიფთაუნში კი დაესწრო სამხრეთი აფრიკა — ტონგას ტესტს და თანაც ცოლეული მოიკითხა. საქმე ისაა, რომ ჯონა თუმც ზელანდიელია, ძირი ტონგაზე აქვს.

აფრიკელ „ქურციკებს" „ლომებთან" პირველი შებმის წინ დაუბრუნდათ მეორეხაზელი მარკ ენდრიუზი. მოკეთდნენ ტონგასთან დაშავებული კაპიტანი გარი ტაიხმანი და ხულიგანი ჭეიმზ სმოლიც. ავსტრალიის „ვოლაბებს" ვერ ეყოლებათ ვარსკვლავი 15 ნომერი მეთ ბერქი. ფრანგებს უკანა ხაზში ეკლდებათ თომა კასტენიედი და ალენ პენო. მათ რიშარ დურთი და დავიდ ოკანი შეცვლიან. აი, „ლომები" კი თამაშის დღემდე არ აპირებენ შემადგენლობის გამხელას.

ლუკა ჯორჯიაშვილი

### ომი ელით

ხორვატიის კურორტ დუბროვნიკს გაემგზავრნენ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და ვიცე-პრეზიდენტები ზაზა ქასაშვილი და დავით ანთელიძე. მათ იქ, ფირა-ს 58-ე ყრილობაზე დიდი ომის გადახდა მოუწევთ საიმისოდ, რომ 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ეროვნულ გუნდს თამაშთა ხელსაყრელი განრიგი გაუხერხონ. ჩვენი „ბორჯღალოსნები" ამ შემოდგომიდან უმასპინძლებენ უკრაინასა და რუსეთს, თავად კი დანიასა და იტალიას ეწვევიან. ჯგუფიდან შემდეგ, ბოლო შესარჩევ ეტაპზე ორი მოწინავე გადის.

ასკ-ის მოწვევით საქართველოში სამ მატჩს გამართავს ამსტელვეენის (ჰოლანდია) კლუბი. ტურნეს პირველი თამაში ხვალ, კვირა დღეს, ასკ-ის სტადიონზე საღამოს 6 საათზე დაიწყება.

გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ **უცხოურ** ჩოგბურთზე, კალათბურთზე, კრივზე, მძლეოსნობაზე, ველოსპორტსა და თხილამურობაზე წერის **მსურველებს.**

მოგვმართონ **მხოლოდ** მათ, ვისაც **ქართულად** ნათლად შეუძლია წერა, ერკვევა **სპორტის** ხსენებულ სახეობებში და **რიგიანად** იცის ინგლისური.



„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

**დღეს, შაბათს, 21 ივნისს**

11.30 გორგოლაჭიანი ჰოკეი: მსოფლიო პირველობა; 12.00 საგიუმაყო ჟურნალი „სრბოლა"; 12.30 ავტორბოლა: ტურ-კარი. დონინგთონ პარკიდან (ინგლისი); 13.30 ფეხბურთი: ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა (რ); 14.30 ავტორბოლა: კარტ. პი-პი-ჯის მსოფლიო სერიალი. პორტლენდში (ორეგონი, აშშ). წარდგენა; 15.00 (პ) ჩოგბურთი: პაინეკენის თასი. ნახევარფინალი. ჰოლანდიიდან; 18.15 (პ) ველორბოლა: შვეიცარიის ტური; 19.30 ველორბოლა: კატალონიის ტური; 20.30 ველორბოლა: საფრანგეთის ტურის წარსული; 21.00 რალის ჟურნალი „უგზოობა"; 22.00 (პ) გორგოლაჭიანი ჰოკეი; 23.00 მძლეოსნობა: ევროპის თასი. მიუნხენიდან; 24.30 კრივი: მძიმე წონა. დონალდი — ვილისი. ატლანტიკ-სითიდან; 2.00 გოლფი: ქალთა ევროპული ტური. საფრანგეთიდან; 3.00 საბრძოლო ხელოვნებათა პარიზის ფესტივალი (5.00-მდე)

**ხვალ, კვირას, 22 ივნისს**

11.30 ცხენოსნობა: ერთა თასი. ლისაბონიდან; 12.00 მოგზაურობა ყინულეთში; 13.00 კარტ: წარდგენა; 13.30 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა. კორეა — ბრაზილია; 16.30 ველორბოლა: შვეიცარია; 17.00 (პ) ჩოგბურთი: პაინეკენის თასის ფინალი; 18.30 (პ) ველორბოლა: შვეიცარია; 20.00 ველორბოლა: კატალონია; 21.00 კარტ; 22.00 (პ) გორგოლაჭებიანი ჰოკეი; 23.00 მძლეოსნობა: მიუნხენი; 24.30 ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა: (რ); 1.30 (პ) კარტ: პორტლენდის რბოლა; 5.00 ველორბოლა: შვეიცარია (5.30-მდე)

**ზეგ, ორშაბათს, 23 ივნისს**

11.30 მძლეოსნობა: მიუნხენი; 12.30 ველორბოლა: შვეიცარია; 13.30 ფეხბურთი (რ); 14.30 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა პირველობა. მექსიკა — ინგლისი; 16.30 კარტ; 18.00 (პ) ველორბოლა: შვეიცარია; 19.30 (პ) ველორბოლა: კატალონია; 20.30 მოტოციკლი: სუპერ-ბაიკის მსოფლიო სერიალი. მონცადან (იტალია); 21.30 ფეხბურთი: მექსიკა — ინგლისი; 23.00 ავტოჟურნალი „ჩაუქი სამყარო"; 1.00 სუმო (იაპონური ბღლარძუნი): ბაშოს ტურნირი. ტოკიოდან; 2.00 ფეხბურთი (რ); 2.30 ჩოგბურთი: ვაჟთა გუნდური მსოფლიო თასი. დიუსელდორფიდან (რ); 3.00 ჩოგბურთი: პრაღიდან; 3.30 სნუქერი (ბრიტანული ბილიარდი): ევროპის ლიგა. პენდრი — პაროთი (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

CNN INTERNATIONAL

**ყოველდღე**

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)



# კანასტოტური თავ-ყრილობა

წინა კვირა დღეს დიდი ამბავი იყო ნიუ-იორკის შემოგარენში მდებარე დაბა კანასტოტაში, სადაც კრივის „დიდების დარბაზია". გაიმართა ახალი წევრების საზეიმო კურთხევა, რომელსაც ხუთი ათასი მოსეირე დაესწრო და დიდადაც ისიამოვნა ბარემ 40 მსოფლიო ჩემპიონის ერთად ხილვით. ესენი იქ თვით „თეფლონ დონმა" — მსოფლიოს უპირველესმა ყალთაბანდმა, კრივის პრომოუტერმა დონ კინგმა დაპატიჟა, ესაო და მე თუ დარბაზში მირჩევენ, ეს თქვენი დამსახურებააო.

კრივში სხვადასხვა დროს თავგამოჩენილთა ნუსხას იმ დღეს 13 კაცი შეემატა: სამი — ცოცხალი, ათიც — განსვენებული. ამით დარბაზის წევრთა რაოდენობა 178 გახდა. წლევანდელ რჩეულთა დადგენაში აშშ-ისა და კიდევ სხვა ცხრა ქვეყნის 142 კრივზე მწერალი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, მათ შორის არ ყოფილა „რეზონანსელი" ალბერტ ხაჩატრიშვილი, რადგან ერთობ მოკრძალებული კაცია და თავისი სახელის უცხოეთში გასატანად არაფერს აკეთებს.

ცოცხლები კინგის გარდა იყვნენ ამერიკელი შუგარ-რეი ლენარდი და პუერტო-რიკოელი ხოსე ტორესი. ვიდრე პრომოუტერის ღვაწლზე ვიტყოდეთ, ამათი კარიერის შესახებაც ვთქვათ ორიოდე თბილი სიტყვა.

ტორესი მელბურნის 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია, პროფესიულ კრივში კი ქვემძიმე წონაში იყო ჩემპიონი. მასთან შედარებით ლენარდი ჩემპიონთაჩემპიონია: კაცს ერთბაშად ხუთ წონაში მოუპოვებია საჩემპიონო სარტყელი, 140 გირვანქით დაწყებული და 175 გირვანქით დამთავრებული.

ლენარდი ახლა 40 წლის ბაბუაა. კრივს ბევრჯერ შეეშვა, უკანასკნელად — ხუთი წლის წინ. „დარბაზმა" ამით ისარგებლა და ყველა წესის დაცვით აირჩია, მაგრამ მერე ლენარდმა წელს, მარტში, საქველმოქმედო მატჩი გამართა ექტორ მაჩოკამაჩოსთან და V რაუნდში თავ-პირ დასისხლიანებული გაილახა. ამის შემდეგ შუგარის კარიერის მონაგარი 36 მოგება, 3 წაგება და 1 ფრეა. 25 გამარჯვება ნოკაუტითაა მოპოვებული.

კინგი 30 წელია, შერკინებებს მართავს. იგი იყო პირველი პრომოუტერი, ვინაც მულტი-მილიონიანი ქისების გაჩალიჩება მოახერხა. დონს 300-ზე მეტი საჩემპიონო შებმა მოუწყვია: მუჰამედ ალი და ჯო ფრეზერი მანილაში დაუჯახებია ერთმანეთისთვის (გეხსომებათ „სრილა ინ მანილა!"), ალი და ჯორჯ ფორმენი კი — ზაირის (აწ ისევ დემოკრატიული კონგოს) ჯუნგლებში. ეს იყო „რამბლ ინ ზი ჯანგლ!" აღარას ვამბობთ მაიკ ტაისონის პატრონობაზე, რაც ჯეელი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი.

კინგი აქამდე არავის უყვარდა, მაგრამ კურთხევის დროს მაინც მხურვალე ტაში შეაგებეს. კაცი სამ გამოძიებასა და ორ ფედერალურ სასამართლოს დაუძვრა. ერთხელაც ვირის აბანოში იჯდა. ახლაც უამრავი მოსარჩლე ყავს, მაგრამ მის ბედად სასამართლოს განაჩენი ვერ გამოაქვს.



ლენარდი, ტორესი და კინგი „დიდების დარბაზის" წევრობის დამადასტურებელ ბეჭდებს ახარბებენ ალის, ვისაც იგივე ფირმანი ამ შვიდი წლის წინ გადაცეს

ასოშიეითიდ პრესი კანასტოტიდან

მოკრივეებს კურთხევისას თავი მოკრძალებულად ეჭირათ. მადლობაც მოკლედა თქვეს. ამათგან განსხვავებით, გაქნილი კინგი ენად გაიკრიფა — ნახევარი საათი იჭაჭანა; გადაწვდა თავის კრიტიკოსებს და მომავლის გეგმებსაც შეეხო. მერე სხვების მსგავსად ბრძანა, დღევანდელი დღე ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესიაო.

დასასრულ კინგმა ალი აქო და აქო. დაბეჩავებული მუჰამედი მის უკან იჯდა. დონმა ბრძანა, ჩემი წარმატების საიდუმლო ალიაო. ამას ხალხმა შეძახილები მოაყოლა: „ა-ლი, ა-ლი!". კინგმა იქამდეც გაუტია, რომ თავი ალის მონაგრად გამოაცხადა.

ცერემონიალის დაწყება ნახევარი საათით დაგვიანდა. ხალხს რომ არ მოეწყინა, ლარი ჰოლმსმა მიკროფონი აიღო და სიმღერა წამოიწყო. ზეიმზე მიეჩქარებოდა 44 წლის ექსჩემპიონ ტრევორ ბერბიკსაც. იგი არავის დაუპატიჟია, მაგრამ მაინც მიდიოდა კანასტოტას. რაკი მოკრივე ხელმრუდობის გამო მიმაგრებაში იყო, პოლიციამ საცხოვრისის უნებართვოდ მიტოვებისთვის დააპატიმრა. ეს ამბავი მოკრივისათვის ახალი სულაც არ ყოფილა, რადგან მას 1991 წელს გაუპატიურებისთვის ორი წელი უკვე მიუსაჯეს. ტრევორი 1986 წელს გალახა ტაისონმა და ვბკ-ის ტიტული წაართვა.

თენგიზ არტამონოვი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29